# 50 თეთრი

**გამოდის:**
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია

N49/3365/ 5 მაისი 2016 წ
PRESS
ფასი 50 თეთრი
ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## რასაც „ალია“ წერდა, ერთ-ერთში ასრულდა...

**რაში გამოიჭირეს კულტურის მინისტრი?**


11

**სადაცაა ხელისუფლება ქუდს დაიხურავს და წავა გამოტენილი ჯიბეებით სახლში... უნდა შერჩეს?**


9

**რა იქნება ივანიშვილის მორიგი სამიზნე? - რა ბედი ელის თბილისის შემდეგ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღსა და ბათუმის მწვანე კონცხს**


2

**გივი თარგამაძე: ,,ქართველმა სამართალდამცავებმა ,,კანონიერი ქურდი“ არ დააკავეს“**


2

**რა ქონებას ფლობს სუს-ის უფროსის მოადგილე?!**


2

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# კუკავას და ინაშვილის პარტიები საარჩევნოდ ერთიანდებიან?

3

**რატომ ამბობენ უარს ნინო ბურჯანაძე და ნათელაშვილი?**





# სამი ცვლილება მეცნიერებათა აკადემიისთვის და გაურკვევლობაში დატოვებული მეცნიერები

7

# რა სამოთხეს აშენებს ივანიშვილი ახლად ნაყიდ 29 ჰექტარზე სასტუმროს გარდა?

5



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

**რა ქონებით დატოვა თანამდებობა ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა**



4

**ემიგრანტ შინამოსამსახურეებს და ძიძებს ევროკავშირში ოფიციალური სტატუსი მიეცემათ**


13

**დედას, რომელიც შვილს ძილის წამლებს ასმევდა, 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება**



7

**თბილისის ზოოპარკს 100-ზე მეტი ახალი ცხოველი შეემატება**


7

## გივი თარგამაძე: „ქართველმა სამართალდამცავებმა „კანონიერი ქურდი“ არ დააკავეს“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გივი თარგამაძის ინფორმაციით, ქართველ სამართალდამცავებს არ დაუკავებიათ საქართველოში რუსეთიდან დეპორტირებული ოთარ ყალიჩავა, მეტსახელად „ოთარ ზუგდიდსკი“ იმ მოტივით, რომ მას „ქურდობა შეჩერებული“ აქვს.

– „კანონიერი ქურდი“ „ოთარიკ ზუგდიდსკი“, იგივე ოთარ თენგიზის ძე ყალიჩავა. დაბადებული 1980 წლის 29 სექტემბერს. მიმდინარე წლის 29 აპრილს დეპორტირებულ იქნა რუსეთიდან საქართველოში. შსს-მ იმ საოცარი მოტივით, რომ ყალიჩავას ქურდობა შეჩერებული აქვს, ხსენებული პირი არ დააკავა. შესაბამისად, ის იმყოფება ზუგდიდში, საკუთარ სახლში, ენგელსის 126 ნომერში, სადაც არაფერს ამბობს ქურდობის შეჩერებაზე, ამტკიცებს საწინააღმდეგოს, იბარებს ადამიანებს და ატარებს ქურდულ გარჩევებს. გილოცავთ, შსს-ვ, თქვენ, ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი „კანონიერი ქურდის“ კურთხევა მოახდინეთ. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, ან არ გადაამოწმოთ და აღიაროთ, რომ ეს აქტი წინასაარჩევნო საჭიროების გამო ჩაატარეთ, - წერს თარგამაძე „ფეისბუკზე“. (presa.ge)

## „ანა დოლიძესთან დაკავშირებით ვერ ვიტყვი, პრეზიდენტის კანდიდატობის გამოა დაწუნებული თუ ხიდაშელის მოადგილეობის გამო“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების არჩევის გაჭიანურების გამო პარლამენტს აკრიტიკებს და ამბობს, რომ ის ასეთი ქმედებით თავს სერიოზულად იზიანებს.

– ანა დოლიძესთან დაკავშირებით ვერ ვიტყვი, პრეზიდენტის კანდიდატობის გამოა დაწუნებული, თინა ხიდაშელის მოადგილეობის გამო, თუ მისი სავარაუდო რესპუბლიკური კავშირების გამო, თუმცა იგი ჩვენი პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა.

პარლამენტი სერიოზულად იზიანებს თავს, როდესაც უზენაეს სასამართლოს არ აძლევს კანდიდატებს. მე გულში ვერ ჩავხედავ ვერც გია ვოლსკის და ვერც სხვებს, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის წარმოდგენილი კანდიდატების მხარდაჭერა შეიძლებოდა, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. (kvira.ge)

## რა იქნება ივანიშვილის მორიგი სამიზნე? - რა ბედი ელის თბილისის შემდეგ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღსა და ბათუმის მწვანე კონცხს



რატომ უნდა მოგინდეს ააშენო ასწლოვანი ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ სასტუმრო და რატომ უნდა იყიდო ის, რაც ეკუთვნის ქალაქს - ეს ის კითხვებია, რომელიც საზოგადოებას გაუჩნდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ კრწანისი-შინდისის გზის მიმდებარედ არსებული 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ბიძინა ივანიშვილის სახელთან დაკავშირებულმა თანაინვესტირების ფონდმა შეიძინა.

ფონდის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ პროექტი უმაღლესი კლასის სასტუმროს აშენებასთან ერთად მოეწყობა ველობილიკები, რეკრეაციული ზონა, გოლფის მოედნები...

თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებული აუქციონი ხმაურიანი აქციის ფონზე დასრულდა. აუქციონზე გატანილი იყო ოქროყანის ტერიტორიაზე არსებული 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. აუქციონის პირობების თანახმად, გასაყიდი ტერიტორიის საწყისი ფასი 6 233 000 ლარს შეადგენდა. აუქციონში მონაწილეობა ერთმა პრეტენდენტმა მიიღო. გაყიდული ქონების ფასმა 6 326 495 ლარი შეადგინა.

ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ფონდის მიერ ქონების შეძენამ საზოგადოებასა და პოლიტიკოსებში პროტესტი გამოიწვია. ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი სასამართლოში შესატან სარჩელს ამზადებენ ამის პარალელურად კი ფართომასშტაბიანი აქციები დაანონსდა.

ამასთან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და დამოუკიდებელი დეპუტატები საკრებულოში ბოტანიკური ბაღის საზღვრების ცვლილებასა და ტერიტორიის ნაწილის გასხვისებასთან დაკავშირებით რიგგარეშე სხდომის მოწვევას ითხოვენ.

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ აუქციონზე გაყიდულ 29 ჰექტარს თბილისის ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვება.

ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაზე გაამახვილა ყურადღება „ნიუპოსტთან" საუბრისას თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ირაკლი აბესაძემ.

მისი თქმით, თუკი ბიძინა ივანიშვილი არ შეისყიდიდა აღნიშნულ ტერიტორიას, იქ არსებული გაზის მილების გადატანა მერიას 618 000 ლარი დაუჯდებოდა, ახლა კი 1 320 000 ლარი უჯდება.

– ეს ნიშნავს, იმას რომ ორჯერ უფრო მეტი უნდა გადაიხადონ თბილისელებმა საკუთარი ბიუჯეტიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნაკვეთზე ვიღაცის რეზიდენცია აშენდეს. ეს თანხები არის პირდაპირი გაფლანგვა საბიუჯეტო სახსრების, - ამბობს ირაკლი აბესაძე.

ენმ-ს წევრი დავით ნარმანიასგან ელოდება პასუხს, დედაქალაქის მერი ვალდებულია, რომ პასუხი გასცეს მოსახლეობის კითხვებს, რომლებიც ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით არსებობს.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია გაერთიანებული „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ზაზა ვეკუა კი იმედს გამოთქვამს, რომ დავით ნარმანია საკრებულოში გამოცხადდება და საკრებულო მას უნდობლობას გამოუცხადებს.

საპარლამენტო უმცირესობის მიერ პარლამენტში გარემოს დაცვის მინისტრის დაბარების მოთხოვნას პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანმა უპასუხა.

– „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში ჩვენ ვერ ჩავერთვებით. მოვუწოდებ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ყველა ექსპერტს, რომ ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ნებისმიერი საკითხი რომელიც საზოგადოებისათვის აქტუალურია. პარასკევს 3 საათზე ისედაც გვაქვს კომიტეტი, ჩვენ მზად ვართ ეს საკითხიც განვიხილოთ, - განაცხადა ჟორჟოლიანმა

კომენტარი გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემაც. ირაკლი სესიაშვილის მიიჩნევს, რომ ბოტანიკური ბაღის განვითარებაში ივანიშვილის მხრიდან სერიოზული ინვესტიციაა ჩადებული.

– უბრალოდ, ბევრი შეჩვეულია, რომ სიკეთეს უნდა ებრძოლოს. ვისაც ბიძინა ივანიშვილზე მეტი სიკეთის გაკეთება შეუძლია, შეეჯიბროს. ძალიან სერიოზული ინვესტიციაა ჩადებული ბოტანიკური ბაღის განვითარებაში და ეს ასე გაგრძელდება, - განაცხადა სესიაშვილმა.

დაგეგმარების და რესტავრაციის ცენტრის ხელმძღვანელი ცირა ელისაშვილი ერთ-ერთია იმ 25 25 არასამთავრობო ორგანიზაციისგან შემდგარი საზოგადოებრივი გაერთიანებიდან, რომლებიც ბოტანიკური ბაღის დასაცავად შაბათს, 13:00 საათზე საპროტესტო აქციას გამართავენ.

– თანაინვესტირების ფონდი, რომელმაც შეიძინა აღნიშნული ტერიტორია, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა, შესაბამისად, ცალსახად იკვეთება ბიძინა ივანიშვილის ინტერესი, - აღნიშნავს ელისაშვილი.

გარდა თბილისის ბოტანიკური ბაღისა, მედიის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა თვალი ზუგდიდის ბოტანიკური ბაღსაც დაადგა. როგორც ჩანს, ყოფილ პრემიერს მრავალწლოვანი ხეების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. როგორც ზუგდიდელები ყვებიან, სამი უიშვიათესი ხე, რომელიც ეკატერინე დადიანმა საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა, ყოფილი პრემიერის დაინტერესების საგანი გახდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მათი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს ამ ხეების გადატანა შეკვეთილში სურს.

ამასთან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის წევრების ინფორმაციით, ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი მწვანე კონცხზე „ბათუმი პანორამას“ გაშენებას აპირებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ლადო ბედუკაძეს ჰქონდა ურთიერთობა იმ დროისთვის დაკავებულ თამაზ თამაზაშვილთან“ - ადეიშვილთან თათბირის დეტალები - რას იხსენებს ჩხატარაშვილი?

წამების, არაადამიანური მოპყრობის და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი გაიმართა. საქმეზე ბრალდებულები იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ჭაკუა არიან. მოწმის სტატუსით დაიკითხა მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე დავით ჩხატარაშვილი, რომლის განცხადებითაც, გამოძიებას ჰქონდა ვერსია, რომ წამების კადრების გადაღება ორგანიზებული იყო იმჟამინდელი ოპოზიციის მიერ, თუმცა ამის მტკიცებულება იმ დროისთვის არ არსებობდა. ჩხატარაშვილმა ზურაბ ადეიშვილთან შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა:

– შეხვედრა გვქონდა ზურაბ ადეიშვილთან, რომელსაც ვესწრებოდით მე და დავით ჭაკუა. ზურაბ ადეიშვილი იყო გაბრაზებული, რადგან არსებობდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ საერთაშორისო სტრუქტურას ჰქონდა ციხეში წამების კადრები. აქამდე, როდესაც გვქონდა თათბირები, მუდმივად იყო საუბარი, რომ არსებობდა ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით და მუდმივად იყო მოწოდება სასჯელაღსრულების წარმომადგენლების მიმართ, რომ აღნიშნულ ინფორმაციებზე მომხდარიყო შესაბამისი რეაგირება. ამიტომაც ზურაბ ადეიშვილი იყო გაბრაზებული, რომ ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებობდა წამების კადრები და დაგვევალა მე და დავით ჭაკუას შესაბამისი ზომების გატარება წამების კადრების გამოსავლენად, - განაცხადა დავით ჩხატარაშვილმა.

ჩხატარაშვილის განცხადებით, შესაბამისი ზომების გატარების შემდეგ მოპოვებული იქნა ინფორმაცია, რომ წამების კადრების გადაღება ხდებოდა ვლადიმერ ბედუკაძის მიერ, რომელმაც გაიტანა ქვეყნიდან აღნიშნული კადრები. ასევე, ჩხატარაშვილმა დაასახელა „ბასტი და ბუბუ“ და აღნიშნა, რომ მათი სახელები არ იცოდა.

– მოვიპოვეთ ინფორმაცია კადრების შინაარსის შესახებ და ჭაკუამ



ასევე მომაწოდა ინფორმაცია, რომ ლადო ბედუკაძეს ჰქონდა ურთიერთობა იმ დროისთვის დაკავებულ თამაზ თამაზაშვილთან. ასევე, სხვა პატიმართან ჰქონდა ნალაპარაკები, რომ წამების კადრების გამოქვეყნებას წინასაარჩევნოდ გეგმავდა. ყველა ეს ინფორმაცია მივაწოდეთ მომდევნო თათბირზე იუსტიციის მინისტრს და დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიება. კერძოდ, უნდა მისცემოდა დავალება კონკრეტულ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომელიმე პატიმრის ცემა და ამის გადაღება უნდა მომხდარიყო, რათა გამოძიებას ჰქონოდა კონკრეტული მტკიცებულებები პატიმრების წამებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განკარგულების შესრულება დაევალა დავით ჭაკუას და მან მეორე დღეს დამირეკა და მომახსენა, რომ დავალება შესრულებული იყო. ამის შემდეგ პროკურატურის მიერ დაკავებული იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაახლოებით ათამდე თანამშრომელი, მათ შორის, მაღალჩინოსნები, - განაცხადა დავით ჩხატარაშვილმა. ჩხატარაშვილის განცხადებით, თათბირზე არ იყო ნათქვამი, რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული კადრების გადაღების ორგანიზება და ჰქონდა თუ არა მას პოლიტიკური დატვირთვა. (პირველი რადიო)

## რა ქონებას ფლობს სუს-ის უფროსის მოადგილე?!



არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის" დამფუძნებელი ლადო სადღობელაშვილი საკუთარ „ფეისბუკის" გვერდზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პირველი მოადგილე სოსო გოგაშვილის დეკლარაციას აქვეყნებს. როგორც დეკლარაციიდან ირკვევა, გოგაშვილი საკმაოდ დიდ ქონებას ფლობს. ქონებებს შორისაა შვილის, ნიკოლოზ გოგაშვილის სახელზე დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ზემო მაჩხაანი, ფართობი — 177.00 კვ.მ, საქართველო, დედოფლისწყაროს რ- ნი, სოფ. ზემო მაჩხაანი, ფართობი — 1038.00 კვ.მ, დედოფლისწყაროს რ-ნი,სოფ. ზემო მაჩხაანი, ფართობი — 500.00 კვ.მ.

როგორც აღმოჩნდა, გოგაშვილის მეუღლეც მდიდარი ყოფილა – მის ანგრიშზე 25000.00 ლარი ირიცხება, ხოლო თავად გოგაშვილის ანგარიშზე - 85000.00 ლარი.

ასეთივე კოლოსალურია ჩვენი უსაფრთხოების დამცველის ხელფასი , რომელზეც სადღობელაშვილი საუბრობს:

– ხელფასის სახით მიღებული ანაზღაურება — 77777+58495=136272 ლარი, საშუალოდ თვეში გასულ წელს 11356 ლარი. მას სუსის უფროსის მოადგილეობის პირობებში ყოველთვიური შემოსავალი აქვს თითქმის 20 000 ლარი!!! ამას დამატებული ყველა ის პრივილეგია, დაწყებული უზარმაზარი შავი ჯიპიდან, რომლითაც ეს ბატონი სარგებლობს ჩვენს ხარჯზე!!!

აღარაფერს ვამბობ მის მეუღლეზე, რომელსაც თვეში 5000 ლარი აქვს შემოსავალი, არც მის ქალიშვილზეც არ არის საუბარი, რომელსაც ასევე სოლიდური ხელფასი აქვს!

პ.ს. აი, რა დღეშია კალაძეს კლანი! თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ როგორი მოძლიერებულია კალაძე-არეშიძეები და თუ დღეს საერთოდ ვინმეს უნდა ვუსაყვედუროთ და პასუხი მოვთხოვოთ ნეპოტიზმზე, ესენი არიან მხოლოდ კალაძე-არეშიძეები, - წერს სადღობელაშვილი. (ttaoba.ge)

## აპრილის თვეში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შემოწირულობის სახით 900 ლარი მიიღო




„ნაციონალური მოძრაობისთვის“ ყველაზე დიდი შემოწირულობა - 200 ლარი ჩიორა თაქთაქიშვილმა გაიღო.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობის აპრილის თვის მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე მეტი შემოწირულობა ამ თვეში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ მიიღო. (ipress.ge)

## მაკა ჩიჩუა ზოოპარკის წინააღმდეგ



პირველი ლედი „ფეისბუქში“ აზიარებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მალე თბილისის ზოოპარკი ცხოველებით შეივსება.

მაკა ჩიჩუა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შემდეგ პოსტს აქვეყნებს:

„რა კოშმარია!!!! და რომ უნდა გვიხაროდეს!!! დაპატიმრებული ცხოველები თან შეივსებაო!!! რა დამოკიდებლებააა!!!! ეჰ!“ - წერს მაკა ჩიჩუა. (daijesti.pia.ge)

## ,,იყურება აივნიდან და რასაც დაინახავს, ყიდულობს“ - თბილისში აქციები იწყება



7 მაისს ბიძინა ივანიშვილის ვაჟის, ბერა ივანიშვილის კუთვნილ ტელევიზიასთან 25 არასამათავრობო ორგანიზაცია მასშტაბური აქციის გამართვას გეგმავს. არასამთავრობო სექტორი 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გასხვისებას ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირებს.

როგორც დაგეგმარებისა და რესტავრაციის ცენტრის ხელმძღვანელმა, ცირა ელისაშვილმა განაცხადა, არასამთავრობოები სასამართლოში შესატან სარჩელსაც ამზადებენ.

– თანაინვესტირების ფონდი, რომელმაც შეიძინა აღნიშნული ტერიტორია, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა, შესაბამისად, ცალსახად იკვეთება ბიძინა ივანიშვილის ინტერესი, - აღნიშნავს ელისაშვილი.

მისი თქმით, 25 ორგანიზაცია სპეციალური წერილით მიმართავს საკანონმდებლო ორგანოს, დაინტერესდეს აუქციონზე გაყიდული ტერიტორიის საკითხით.

არასამთავრობოების მსგავსად სარჩელს ამზადებს „ნაციონალური მოძრაობაც“. ენმ საკრებულოში თბილისის მერის მისვლას და ღია სხდომის ჩატარებას ითხოვს.

– პროტესტი ნამდვილად არ შეწყდება. ვაპირებთ მივმართოთ სასამართლოს და ამის პარალელურად ქუჩაში გავაპროტესტოთ ის ფაქტი, რომ ბიძინა ივანიშვილმა მიისაკუთრა დედაქალაქის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, - აღნიშნავს ირაკლი აბესაძე.

„ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივას მხარს უჭერს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილიც. მისი თქმით, თბილისის მერმა ქალაქის ინტერესებს უღალატა.

– ივანიშვილი არის კაცი, რომელსაც თავისი ხუშტურები აქვს... იყურება აივნიდან და რასაც დაინახავს, ყიდულობს და ღობავს... - აცხადებს დეპუტატი. (ნიუპოსტი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა არასაპარლამენტო პარტიებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ის მზა რეცეპტს სთავაზობს კოლეგებს, როგორ უნდა მოიცილონ ორი კორუმპირებული პოლიტიკური ძალა. კუკავა პირობას დებს, რომ ოქტომბრის არჩევნებზე შუაზე გააპობს სააკაშვილ-ივანიშვილის ორპარტიულ სისტემას, თუმცა მათი დემონტაჟის ძალა, მხოლოდ გაერთიანებაშია. დარჩება თუ არა კუკავას ხმა მღაღადებლისა, ამომრჩეველმა უნდა იცოდეს ვინ, ვინ არის! ამომრჩევლის მოთხოვნაა „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ შეხმატკბილებული კოჰაბიტაცია დასრულდეს და არა ის, რომ ჭიჭიკოს პარტიამ გადალახოს ხუთპროცენტიანი ბარიერი. ამიტომ ყველა, ვინც ამ გეგმაზე უარს იტყვის, საკუთარი თავის ლუსტრაციას მოახდენს, ამომრჩეველი დაინახავს, რომ ამ პარტიებს არ აინტერესებთ ქართველი ხალხის დაკვეთა. ეს ნიშნავს, რომ ასეთ პარტიებს, ივანიშვილთან ან სააკაშვილთან აქვთ სატელიტური გარიგება და მზად არიან, თავისი სამი თუ ხუთი პროცენტის სანაცვლოდ უარი თქვან ხელისუფლების შეცვლაზე.

**— ინტერპარტიულ ჯგუფში სააკაშვილის სატელიტი პარტიები რომ არიან, ხარატიშვილი-დავითაიას სახით, საარჩევნო ბლოკში მათ ყოფნას დაუშვებთ?**

– მათთან არანაირი ბლოკი არ შედგება. ინტერპარტიული ჯგუფი მხოლოდ საარჩევნო კოდექსის ცვლილებების მიზნითაა შექმნილი, რაც შეეხება იმას, ვინ იქნება საარჩევნო ბლოკში, განცხადებაში მივუთითეთ, რომ სიის ფორმირება უნდა მოხდეს ბოლო არჩევნებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, მინიმუმ ერთი პროცენტი მაინც უნდა ჰქონდეს პარტიას აღებული, ბლოკში შეყვანაზე რომ ვიმსჯელოთ. დამეთანხმები, ყველა იწყებს ლაპარაკს ერთიანობაზე და როცა საქმე საქმეზე მიდგება, გვერდზე გადიან ხოლმე, ამიტომ ეს საზოგადოებისთვის ერთგვარი ლუსტრაციის პროცესიცაა.

**— 20 წელია, საზოგადოებამ კარგად იცის, ქართულ პოლიტიკაში ვინ ვინ არის, ოპოზიციამ ყველაზე რთულ და გადამწყვეტ მომენტში ვერ მოახერხა გაერთიანება და ხალხი მიშას მიუგდო საჯიჯგნად. ახლა როგორ აპირებთ გაერთიანებას?**

– შეიძლება ახლაც ვერ მოხდეს გაერთიანება, მაგრამ საზოგადოება კარგად დაინახავს, რომ პარტია „თავისუფალი საქართველო“ ოპოზიციის გაერთიანების მომხრეა, ხოლო წინააღმდეგია ბურჯანაძე და ნათელაშვილი. ესეც ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანი არგუმენტია გადაწყვეტილების მიღებისას.

**— ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, ირმა ინაშვილი მოგიწოდებდათ ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნისკენ, რატომ არ მიიღეთ მისი შეთავაზება და რა საჭიროა „ორი სათაური“ ერთ თემაზე?**

– ზოგადი საუბრები, რომ ვიმეგობროთ და ერთად ვიყოთ, სხვა არის. ერთიანი ოპოზიცია არჩევნებზე ნიშნავს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციას, პროპორციული სიისა და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენას. ეს არის ერთიანობა და არა ის, რომ სუფრასთან ჭიქები უჭახუნოთ ერთმანეთს.

**— ხელისუფლება არ მიდის დათმობაზე და არ ცვლის საარჩევნო გარემოს, არასაპარლამენტო ოპოზიციაც ვერ გამოიყურება დალაგებულად, ამ გაერთიანებით ფიქრობთ, რომ მთებს გადადგამთ?**

– დალაგებულ ქვეყნებში აზრად არავის მოუვა, რომ სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიები ერთიანი საარჩევნო ბლოკით გავიდნენ არჩევნებზე, ზუსტად იმიტომ, რომ შექმნილია არაკონკურენტული საარჩევნო გარემო. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, ამას დავუპირისპიროთ, ეს არის ერთიანობა. გაერთიანების შემთხვევაში შეგვიძლია, „ქართულ ოცნებას“ მივაყენოთ გამანადგურებელი დარტყმა როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული სისტემითაც. თბილისში არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ერთიანი მაჟორიტარები თუ დავაყენეთ, შეიძლება 22 ოლქიდან ყველა მოვიგოთ. იმისთვის, რომ ცვლილება განახორციელო, პარლამენტში ამომრჩეველს დაპირება შეუსრულო, ან არჩევნები უნდა მოიგო, ან მოგების შანსი მაინც უნდა გქონდეს, ახლა სიმართლე უნდა ვთქვა, არც ერთი არასაპარლამენტო პარტია მოგებისთვის არ იბრძვის, ყველა იბრძვის იმისთვის, რომ პარლამენტში მიიღოს ხელფასიანი სამსახური.

**— პარტიები კი ბჭობთ, მაგრამ პრეზიდენტი დუმს და ცოცხალი თავით არ აცხადებს არჩევნების თარიღს, რომელიც დიდი ხანია სადავოდ იქცა, შევიდა პრეზიდენტი დეპოში თუ რა ხდება?**

– პრეზიდენტის თავს რა ხდება, ვერაფერი გავიგე. ტყვედ ხომ არ აიყვანეს ან რამე უბედურებამ ხომ არ უწია?! პირადი არხებით ვცადე ინფორმაციის გადამოწმება, მაგრამ ვერაფერი გავარკვიე. არასოდეს დამიმალია პრეზიდენტისადმი სიმპათია, მადლობაც გადამიხდია მისთვის, რომ გვხვდება და ოპოზიციას აზრს გვეკითხება, მაგრამ პრეზიდენტმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებს აზრი არ ჰკითხო, ეს დაახლოებით იგივეა – ომი დაიწყო და თავდაცვის სამინისტროს არ გააგებინო. მართალი გითხრათ, პრეზიდენტ მარგველაშვილისგან ეს ძალიან მიკვირს, ასეთი სადავო და კონფლიქტური თემაა და ის ამ საკითხზე ოპოზიციას არ ხვდება, მეწვრილმანეობასთან გვაქვს საქმე, იყოს ოქტომბრის ბოლო და არა ვთქვათ 8 ოქტომბერი, ოქტომბრის მეორე ნახევარი უკეთესია არჩევნებისთვის, მაგრამ ხელისუფლებაში რომ მოდიან, მერე ახსენდებათ ბიუჯეტი და ა.შ. სააკაშვილმა გასაგებია, რატომ დანიშნა 1-ელ ოქტომბერს არჩევნები, პარტიებს ჩამოართვა საარჩევნო კამპანიის უფლება, რადგან საქართველოში ტოქშოუები სექტემბრის პირველ კვირაში იწყებს მუშაობას და შესაბამისად, პრობლემაა საარჩევნო კამპანიის წარმართვა. ამ ხელისუფლებასაც უნდა, რომ იგივე გაიმეოროს.

**— ოპოზიცია ჯიუტად აცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდება, რასაც ფერადი რევოლუციები მოჰყვება ხოლმე. ამას**



# კუკავას და ინაშვილის პარტიები საარჩევნოდ ერთიანდებიან?

## რატომ ამბობენ უარს ნინო ბურჯანაძე და ნათელაშვილი?

უდაბნოსა შინა? ამას დიდი გამოცნობა არ სჭირდება. ვინც ქართული პოლიტიკის ანა-ბანა იცის, ყველა მიხვდება, რომ ეს ერთობა ვერ შედგება, რადგან აქ უზენაესი არა ხალხი, არამედ პოლიტიკური ლიდერების დაუმარცხებელი ამბიციააა... კუკავას ინიციატივას პირველი პოლიტიკური მერცხალიც ჰყავს – ბურჯანაძე და ნათელაშვილი. ისინი უარს აცხადებენ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებაზე...

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრი გოჩა თევდორაძე კი აცხადებს: „ჩვენი წინადადებაა გავერთიანდეთ წინასაარჩევნოდ, ჩავატაროთ არჩევნები დავამარცხოთ მოქმედი და წინა ხელისუფლება და შევცვალოთ საარჩევნო კანონმდებლობა. სასწრაფოდ გავაუქმოთ მაჟორიტარული სისტემა და ამის შემდეგ გამოვაცხადოთ რიგგარეშე არჩევნები, რომელშიც ყველა პოლიტიკურ ძალას ექნება იმის საშუალება, მიიღოს მანდატი საზოგადოებაში მისდამი არსებული სიმპათიის ადეკვატურად“.

დღეს საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტს შეხვდება და ალბათ, კუკავას შეთავაზებაზეც გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ.

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს კახა კუკავა:**

**— „დემოკრატიული მოძრაობა“ და „ლეიბორისტული“ პარტია კატეგორიულ უარს აცხადებენ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებაზე, ვისთან ერთად აპირებთ საარჩევნო ბლოკის შექმნას. ვინ შეგეხმიანათ და რა პასუხი მიიღეთ?**

– რამდენიმე თვეა, რაც ყველა პარტიასთან გვაქვს არაფორმალური კონსულტაცია და ძალიან ხშირად არის, როცა პარტია ერთს ამბობს და რეალურად საქმე ბოლომდე არ მიდის, ამიტომაც ძალიან კარგია, რომ პარტიები ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, დაამატეთ, საიდანღაც „გამოჩხრეკილი“ 700 ათასამდე ამომრჩეველი. პოსტსაარჩევნო პერიოდში მოსალოდნელია ბარიკადების აღმართვა?

– დავესესხები ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც თქვა, „მაიდანს“ თბილისში ამზადებს ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. „ნაციონალური მოძრაობა“ უშუალოდ ამზადებს დესტაბილიზაციასა და ბარიკადებს, ხოლო „ქართული ოცნება“ ქმნის ყველა მიზეზს იმისთვის, რომ მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს ამ პროცესს. რასაც ეს ხელისუფლება აკეთებს, სავარაუდოდ, „მაიდანი“ არის გარდაუვალი. ზოგს ჰგონია, რომ რევოლუციას დასავლეთი აწყობს, თუ ხალხის მუხტი არ არის, რევოლუცია შეუძლებელია მხოლოდ დასავლეთმა მოაწყოს, რევოლუციურ მუხტს კი ელემენტარულ არითმეტიკამდე დაყვანილი პოლიტიკური თამაშის წესი ქმნის, თუ ხელისუფლება აყალბებს 10%-ს, ეს შეიძლება შეირგოს, მაგრამ, თუკი რეალურ შედეგებსა და ხელისუფლების მიერ დადებულ შედეგებს შორის სხვაობა 20-25%-ია, ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს რევოლუციას! შეგახსენებთ, რომ 2003 წელს გაყალბება იყო 6 პროცენტი, სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ მიიღო 25%, ოფიციალური შედეგების მიხედვით კი ჰქონდა 19%. მოხდა რევოლუცია, დღეს გამოკითხვებით ჩანს, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს 15%. მართალია, სადავოა „ენდაისა“ და „აირაის“ კვლევები, მაგრამ ხალხის დიდი ნაწილი რომ მხარს არ უჭერს ამ ხელისუფლებას, ეს ხომ ჩანს. ამ ფონზე გამოდის ვიცე-პრემიერი კალაძე და აცხადებს, ჩვენ მივიღებთ კონსტიტუციურ უმრავლესობასო. არ ვიცი კალაძეს როგორ ასწავლიდნენ მათემატიკას, მაგრამ საკონსტიტუციო უმრავლესობა არის – 67%. ჰოდა, 15-პროცენტიანი პარტია არჩევნებზე 67 პროცენტს რომ დაიწერს, ძალიან დიდი ალბათობით უნდა ველოდოთ სახალხო პროტესტსა და მღელვარებას.

## სერგეი შოიგუ: რუსეთი ნატოსთვის წინააღმდეგობის გასაწევად ახალ დივიზიებს ჩამოაყალიბებს



ნატოსთვის წინააღმდეგობის გასაწევად რუსეთი დასავლეთის და სამხრეთის სამხედრო ოლქებში ახალ დივიზიებს ჩამოაყალიბებს. რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა. შოიგუს ინფორმაცით, დასავლეთის სამხედრო ოლქში ორი, სამხრეთის სამხედრო ოლქში კი ერთი დივიზია განლაგდება.

სამხრეთის სამხედრო ოლქი - რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ კავკასიას. აღნიშნულ ოლქს ექვემდებარებიან სამხედრო ბაზები სომხეთის, ასევე ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ოლქის დაქვემდებარებაშია შავი ზღვის ფლოტი და კასპიის ფლოტილია.

– თავდაცვის სამინისტრო მიმართავს რიგ ზომას, რუსეთის საზღვრების სიახლოვეს ნატოს ძალების გაზრდისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. წლის ბოლომდე დასავლეთის სამხედრო ოლქში ორი დივიზია, სამხრეთის სამხედრო ოლქში კი ერთი დივიზია ჩამოყალიბდება, - განაცხადა შოიგუმ უწყებაში გამართულ თათბირზე.

თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს დივიზიების დისლოკაციის ადგილების კეთილმოწყობა.

სააგენტო „TACC~-ის ინფორმაციით, თითოეული დივიზიის შემადგენლობაში დაახლოებით 10 000 სამხედრო იქნება. (რეპორტიორი)

## ჯაფარიძე შემოწირულობებზე: სამწუხაროდ მესამე ადგილზე ვართ



ახალი პოლიტიკური ცენტრ „გირჩის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ზურაბ ჯაფარიძე, აუდიტის სამსხურის მიერ პარტიათა შემოწირულობებზე გამოქვეყნებულ მონაცემებს ეხმაურება, რომლის თანახმადაც, „გირჩი" შემოწირული 124 000 ლარით მესამე ადგილზეა.

დეპუტატის თქმით, მათი ფინანსები არის გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე ნახოს ინფორმაცია შემოწირულობების შესახებ. მისი თქმით, ძირითადი შემომწირველები არიან ბიზნესმენები და მხარდამჭერები.

– სამწუხაროდ, მესამე ადგილზე ვართ. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, რომ არჩევნებამდე პირველ ადგილზე ვიყოთ და შევინარჩუნოთ, ძალიან გაგვიხარდება და ძალიან წაგვადგება არჩევნების კარგად და უფრო ეფექტურად ჩატარებაში, - განაცხდა ჯაფარიძემ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა თანხებს უხდიდა მერია დედაქალაქის ბიუჯეტიდან „იმედს" პიარისთვის



როგორი იყო გიგი უგულავას და როგორია დავით ნარმანიას პიარპოლიტიკა. რა თანხები გაიცემოდა მაშინ და რა თანხები მიდის ახლა დედაქალაქის ბიუჯეტიდან სხვადასხვა პიარ მომსახურებისთვის.

გაგაცნობთ იმ დოკუმენტებს, რომელიც გიგი უგულავას დროს, მერიამ ტელეკომპანია „იმედთან" გააფორმა. მასალა 2008-2010 წლებს მოიცავს.

როგორც ირკვევა, პირველი ასეთი ხელშეკრულება „იმედთან" ბადრი პატარკაციშვილის შემდეგ დაიდო.

ამ დროს, ტელეკომპანიას უკვე მაშინდელი ხელისუფლება აკონტროლებდა.

ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 2008 წლის 15 სექტემბრით თარიღდება, „იმედი" ამზადებდა საინფორმაციო-ანალიტიკურ გადაცემა „ქრონიკა თბილისს". სპეციალური გადაცემა თბილისურ ამბებზე იყო აწყობილი და ის შაბათ-კვირის გარდა, ეთერში ყოველდღე გადიოდა.

გადაცემა დღეში ორჯერ გადიოდა: დილით 7-10 წუთიანი სიუჟეტი, საღამოს — 10-12 წუთიანი.

ხელშეკრულების მიხედვით, მომსახურება ტელეკომპანიას 2008 წლის პირველი ოქტომბრიდან უნდა დაეწყო და ამავე წლის 26 დეკემბრის ჩათვლით სულ 126 გადაცემა უნდა მოემზადებინა.

ამ სამთვიან მომსახურებაში მერიამ დედაქალაქის ბიუჯეტიდან 4 მილიონზე მეტი თანხა გადაიხადა. ერთი გადაცემის ფასი 33 500 ლარით განისაზღვრა.

ტელეკომპანია „იმედმა" საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა „ქრონიკა თბილისის" მომზადებაში სულ 4 მილიონ 221 ათასი ლარი მიიღო.

თითო გადაცემის ღირებულებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 33 500 ლარი შეადგინა. ეს მხოლოდ სამ თვეში.

პროექტი 2009 წელსაც გაგრძელდა. მხოლოდ მარტის მონაცემებით, ტელეკომპანიამ მერიის დაკვეთით ეთერში 12 გადაცემა გაუშვა, რომლის საერთო ღირებულება 428 568 ლარი იყო. თითოეული გადაცემის ფასმა 35 714 ლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, გამოდის, რომ პროექტი თითქმის სამი ათასით გაძვირდა.

2009 წელს, უკვე აპრილში, მერიამ „ქრონიკა თბილისის" პროექტში 678 566 ლარი გადაიხადა. ეთერში 19 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემის მომზადებაში „იმედმა„ 35 714 ლარი აიღო.

2009 წლის ივნისში 22 გადაცემა მომზადდა, საერთო ღირებულებით 785 708 ლარი.

ივლისში 7 გადაცემაში დედაქალაქის ბიუჯეტიდან 249 998 ლარი ტელეკომპანიის ანგარიშზე გადაირიცხა. აგვისტოში 4 გადაცემის ღირებულებად 142 856 ლარი განისაზღვრა. სექტემბერში თბილისის ამბები ეთერში 12-ჯერ გავიდა, რომლის საერთო ღირებულებამ 428 568 ლარი შეადგინა.

პროექტი 2010 წელსაც გაგრძელდა. „იმედმა" 10 გადაცემაში 357 140 ლარი მიიღო; თებერვალში — 17 გადაცემაში 607 138 ლარი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვეკუა: იმედი მაქვს საკრებულო დავით ნარმანიას უნდობლობას გამოუცხადებს



საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარე აცხადებს, რომ დავით ნარმანია არასოდეს ყოფილა არჩეული მერი, ის იყო დანიშნული მერი. ზაზა ვეკუა იმედოვნებს, რომ დედაქალქაის საკრებულო დავით ნარმანიას უნდობლობას გამოუცხადებს.

– ბატონი ნარმანიას დედაქალაქის მერად წარდგენა ემსახურებოდა იმას, რომ ის არასოდეს არ იქნებოდა არჩეული მერი, ის იქნებოდა დანიშნული მერი. ბატონ ნარმანიას ნამდვილად გამოუცხადა დედაქალაქმა უნდობლობა, ახლა ჯერი საკრებულოზეა. მიმაჩნია, რომ ბატონი ნარმანია უნდა გამოცხადდეს საკრებულოში და იმედი მაქვს, რომ დედაქალაქის საკრებულო ნამდვილად გამოუცხადებს მას უნდობლობას, ყოველ შემთხვევაში ეს პოროცედურები დაიწყება, -განაცხდა ვეკუამ. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რა ქონებით დატოვა თანამდებობა ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა




საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ თანამდებობა 96 421 ლარით, 50437 დოლარით, მიწის ნაკვეთითა და მსუბუქი ავტომანქანით დატოვა.

ამის შესახებ გიორგი ქადაგიძის ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული, რომელიც მან 2016 წლის 24 აპრილს შეავსო.

როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, ქადაგიძე ფლობს მიწის ნაკვეთს ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, „დიდველის" ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 3720.00 კვ.მ-ია. ასევე, 2001 წელს გამოშვებულ მსუბუქ ავტომანქანა NISSAN X-TRAIL-ს.

რაც შეეხება ქადაგიძის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის მიხედვით, თანამდებობის დატოვების მომენტში, მის ანგარიშებზე 96 421 ლარი და 50437 დოლარი იყო.

კერძოდ, „ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე „სმარტივი" 571,00 ლარი; ამავე ბანკის შემნახველ ანგარიშზე 28650,00 ლარი; საკრედიტო ანგარიშზე 437,00 დოლარი (დებეტი(-); მსოფლიო ბანკის საკრედიტო კავშირის შემნახველ ანგარიშზე 50000,00 დოლარი; „ბაზისბანკის" სახელფასო ანგარიშზე 7200,00 ლარი; ხოლო „საქართველოს ბანკის" დეპოზიტზე 60000,00 ლარი ჰქონდა. მის მეუღლეს, თამარ ჟორჟოლიანს კი, „საქართველოს ბანკის" საკრედიტო ანგარიშზე 728.23 ლარი ერიცხებოდა.

რაც შეეხება ოჯახის 1 წლის შემოსავალს, რომელიც მათ 2015 წელს მიიღეს, დეკლარაციის მიხედვით ასე გამოიყურება:

გიორგი ქადაგიძემ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობიდან 150000,00 ლარი; საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი თანამდებობიდან 78000,00 ლარი; ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობისთვის 8572.00 ლარი მიიღო; რაც საერთო ჯამში 236 572 ლარია.

მისმა მეუღლემ თამარ ჟორჟოლიანმა კი, რეფერალური დახმარების ცენტრის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან 1072.00 ლარი მიიღო; ხოლო სამედიცინო კვლევის ორგანიზაცია - პიესაი კლინიკური კვლევის მონიტორის თანამდებობიდან კი, 17580.00 დოლარი მიიღო.

რაც შეეხება გიორგი ქადაგიძის წინა წლების შემოსავლებს, 2014 წელს, მისი შემოსავალი 228 984 ლარი იყო; 2013 წელს - 195 000 ლარი; 2012 წელს - 192 000 ლარი; 2011 წელს - 152 937 ლარი; 2010 წელს - 197 400 ლარი; 2009 წელს - 163391.97 ლარი; ხოლო 2008 წელს - 101 259 ლარი.

2016 წელს ოჯახის გასავალი მხოლოდ შვილების სწავლისთვის გადახდილი 6750 ლარია, რომელიც მათ ნიუტონის სკოლას ჩაურიცხეს.

ცნობისთვის, ქადაგიძემ თანამდებობა 2016 წლის 25 თებერვალს, ვადის ამოწურვის შემდეგ დატოვა. (gurianews.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სანდრო ბრეგაძე: ვინც ე.წ. ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვის ინციატივას ჩააგდებს, უმრავლესობიდან უნდა გაირიცხოს!




„ეროვნულების" ლიდერი სანდრო ბრეგაძე მიიჩნევს, რომ კონსტიტუციაში ოჯახის განმარტების შესახებ შესატანი ცვლილება პარლამენტის მხრიდან განზრახ ჭიანურდება.

– საკითხი დგას მთელი სერიოზულობით. მას შემდეგ, რაც პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადავდექი, პირადად მე მომცეს სრული გარანტია იმისა, რომ თუ პროცესების რადიკალიზაციას არ მოვახდენდი (ვაპირებდით ხელმოწერების შეგროვებას, მასობრივ შიმშილობას და რეფერენდუმს), მაშინ პარლამენტში შეგროვდებოდა 113 ხმა და ე.წ. ერთსქესიანთა ქორწინების ამკრძალავი საკონსტიტუციო ცვლილება მიღებული იქნებოდა. ჩვენთვის მთავარი იყო შედეგი და არა ის, თუ ვინ ჩაიწერდა ქულებს ჩვენი ინციატივის მიღებით, ამიტომ ვიფიქრეთ, რომ დაე, ჩაიწერონ ქულები, ოღონდ საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს.

დღეს ჩანს, რომ 113 ხმა არ გროვდება, ხოლო პროცესი ხელოვნურად დროში იწელება, რათა ამ მოწვევის პარლამენტმა ვერ მოასწროს საკონსტიტუციო ცვლილების მიღება. თავის მართლება, რომ მე მივეცი ხმა და სხვებმა მხარი არ დაუჭირესო, თვალებში ნაცრის შეყრა და ტყუილია, ამას ვერავის ვაპატიებთ.

ამიტომ, ვაყენებთ ასეთ მოთხოვნას - თუ საპარლამენტო უმრავლესობა გულწრფელია და მას სისხლხორცეულად სურს საკონსტიტუციო ცვლილების მიღება, მაშინ ის ფრაქცია, რომელიც ჩააგდებს ე.წ. ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვის ინციატივას, გარიცხულ უნდა იქნას უმრავლესობიდან. გადაყენებულ უნდა იქნას „რესპუბლიკური პარტიის" წევრი პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი, კომიტეტის „რესპუბლიკელი" თავმჯდომარეები, ხოლო მთავრობიდან გამოყვანილი უნდა იყოს სამივე „რესპუბლიკელი" მინისტრი. თუ პარტია შეგნებულად აგდებს და ეწინააღმდეგება მმართველი გუნდისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, მაშინ ასეთი პარტიის წევრები სასწრაფო წესით უნდა გადააყენონ თანამდებობებიდან და გარიცხონ უმრავლესობიდან, - აცხადებს ბრეგაძე. (რეპორტიორი)

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა" აცხადებს №MT-2016-3 ღია კონკურსს K -300-240-3 KM3 ტიპის ტურბინის მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 6 ივნისი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1" აცხადებს №X1-2016-2 ფასთა ღია გამოკითხვას №2 და 3 ჰიდროაგრეგატების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 19 მაისი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა" აცხადებს №MT-2016-10 ღია კონკურსს ქიმიური საამქროს შენობის სახურავის, ნეიტრალიზაციის აუზისა და მჟავისა და ტუტის მიმღები კვანძის შეკეთებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 6 ივნისი 15 საათი.*

## „სამოქალაქო ომი გარდაუვალია!“



„სამოქალაქო ომი გარდაუვალია!“ - ამის შესახებ „ძლიერი ქალი ¬ ძლიერი სახელმწიფოს“ დამფუძნებელი ლალი მოროშკინა სოციალურ ქსელში წერს. მისი თქმით, პოლიტიკურ ანალიზში არასდროს შემცდარა და ახლაც აცხადებს, რომ თუ ქვეყანაში ვითარება არ შეიცვლება, სამოქალაქო ომი გარდაუვალი გახდება.

– სამოქალაქო ომი კარს მოგვადგა! არასოდეს შევმცდარვარ პოლიტიკურ ანალიზში, ახლაც გეტყვით, რომ თუ ასე გაგრძელდა, სამოქალაქო ომი გარდაუვალია! ნაციონალების სტრატეგია: ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მდგომარეობიდან გამოიყვანონ ბიძინა ივანიშვილი, აიძულონ, საფრანგეთში დაბრუნდეს და ჩაშალონ არჩევნები! თითიდან გამოწოვილ თემებს რა დალევს?

ხან ხე, ხან უხეობა...

ხან ცოცხი, ხან უცოცხობა...

სამწუხაროა, რომ ე.წ. არასამთავრობოების და მარგინალი ნაციონალების პათოსს იზიარებენ ივანიშვილის ძალისხმევით პარლამენტში მოკალათებული ან დაშლილი კოალიციის წევრებიც! პოზიტივიც გვაქვს! განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, რომელიც არგუმენტირებულად და პროფესიონალურად არის ჩაბმული ქვეყნის წინააღმდეგ აგორებულ პროვოკაციაში, მაგრამ, ვაი, რომ ცალკეული მინისტრებისა და დეპუტატების გამოკლებით, „ოცნება“ ვერ დაიტრაბახებს ადეკვატური და „მიმწოლი“ კადრებით! ქვეყანაში კი აშკარად მატულობს უკმაყოფილოთა რიცხვი, ზოგი კოჰაბიტაციას აპროტესტებს, ზოგი ლინჩის წესისკენ იხრება, ზოგიც არ მალავს, რომ თვითსამართალს მიმართავს და ნაციონალთა სისხლით მორწყავს სადარბაზოებს...

ასე რომ მეგობრებო, სამოქალაქო დაპირისპირება კარს მიგვადგა, გონს მოდით! მხოლოდ წინასაარჩევნო მშვიდობიანი მორატორიუმი გადაგვარჩენს! თორემ მერე, გაციებულ ცხედრებზე ცრემლის ღვრა და ძმათამკვლელებზე გოდება გვიანი იქნება! ისტორია ამას არ გვაპატიებს!!! - წერს მოროშკინა. (რეპორტიორი)

## მშენებარე კორპუსის მე-6 სართულიდან, მამაკაცი გადმოვარდა




ბათუმში, ლუკა ასათიანის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის მე-6 სართულიდან 40-წლამდე მამაკაცი გადმოვარდა.

მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ბათუმში ლუკა ასათიანის ქუჩაზე, კომპანია „შველას" საცხოვრებელ კორპუსს აშენებს. (pia.ge)



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

# რა სამოთხეს აშენებს ივანიშვილი ახლად ნაყიდ 29 ჰექტარზე სასტუმროს გარდა?

ბიძინა ივანიშვილის კომპანიამ „ფინსერვის 21“-მა რომ ბოტანიკურ ბაღს 4 ჰექტარი მიწის ფართი მისცა და სანაცვლოდ, ასევე 4 ჰექტარი კუთვნილი ტერიტორია მიიღო, აქ მეტნაკლებად სიტუაცია გაირკვა. ივანიშვილის დამცველებმა ისიც განაცხადეს, რომ მილიარდერი სახელმწიფოსთვის გადაცემული იმ 4 ჰექტარის აყვავებაში უნდა განახორციელოს არანაკლებ 80-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა; ასევე, სასტუმრო კომპლექსისთვის უზრუნველყოს არანაკლებ 50 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა. გარდა ამისა, განახორციელოს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის არ იქნება, მხოლოდ ივანიშვილის პირად სტუმრებს მოემსახურებაო. გოლფი, ყველამ იცის, რომ ის მდიდართა საყვარელი სპორტი და თავშესაქცევია. იმასაც ამბობენ, ივანიშვილს მილიონერი მეგობრებისთვის გოლფის ტურნირების მოწყობა აქვს დაგეგმილი, თავად სხვადასხვა ქვეყნებში, მეგობრების მამულებში თამაშობს გოლფს და უნდა, ახლა თავადაც იყოს მასპინძელიო. ეს თუ სიმართლეა, ჩათვალეთ, რომ იმ 29 ჰექტარი ფართობი იცით, რა დაუჯდა? ზუსტად 6 მილიონ 326 ათას 495 ლარი, ანუ 1 კვ.მ 21 ლარი. სირცხვილია, ეს სახელმწიფო ქონებას დახარბება და ჩალის ფასად ხელში ჩაგდებაა და სხვა არაფერი. არა, თბილისის მერის ცოცხალი კარიკატურა, დავით ნარმანია რომ ვერც ერთ თხოვნაზე უარს ვერ ეტყვის ივანიშვილს, ეს ვიცი, მაგრამ ეს უკვე ნამეტანია. თბილისის ცენტრში ადგილი არ არსებობს, რომ 1 კვ.მ მიწა ამ ფასად იყიდო, ამ ფასად



ბას საკუთარი სახსრებით აპირებს, თუმცა, ეს ჯერ საკითხავია. პოლიტიკური ოპოზიციისა და გარემოს დამცველთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ საქმე პირიქითაა, ივანიშვილმა სრულიად უვარგისი და გამოუსადეგარი ტერიტორია გადასცა სახელმწიფოს და სანაცვლოდ მასზე ბევრად უკეთესი მიიღო. ბოტანიკური ბაღი 81 ჰექტარზეა გადაჭიმული და იქ უვარგისი არც ერთი გოჯი მიწა არ არის, ამას ბევრი ისეთი ექსპერტი აცხადებს, რომელთაც ამ ბაღის ყოველი მეტრი მიწა აქვთ შესწავლილი. მათი ნათქვამი იმიტომაც არის დამაჯერებელი, რომ ბოტანიკური ბაღები საუკეთესო მიწეზე შენდება, მისი ყოველი გოჯი თავის დროზე საგანგებოდ აქვთ შესწავლილი სპეციალისტებს და არაერთგზის. მოკლედ, ამ გარიგებით სახელმწიფომ იზარალა, მილიარდერმა ივანიშვილმა კი იხეირაო, აცხადებს ხალხი. მერიისა და ივანიშვილის მორიგმა გარიგებამ და 29 ჰექტარმა მიწამ კი, ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა.

კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის სახელით ცნობილი 29 ჰექტარი მიწა, თბილისის მერიამ აუქციონის წესით გაყიდა და ის საქართველოს ბიძინა ივანიშვილის მიერ 2013 წელს დაფუძნებულმა თანაინვესტირების ფონდმა შეიძინა. აუქციონში მხოლოდ ერთმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა, შეძენილი ქონების ღირებულებამ კი საწყის ღირებულებას 100 ათასით გადააჭარბა და, საბოლოოდ, 6 მილიონ 326 ათას 495 ლარად გაიყიდა. ინფორმაცია ამის შესახებ თავად თანაინვესტირების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძემ გაავრცელა. მისივე თქმით, ამ ტერიტორიაზე იგეგმება „ბრწყინვალე რეკრეაციული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულების სივრცის მოწყობა“. მერიის ქონების მართვის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული აუქციონის პირობების მიხედვით, აუქციონში გამარჯვებულმა ამ ტერიტორიაზე ოთხი წლის განსაირიგაციო სისტემის მოწყობა. აი, ჯერჯერობით მხოლოდ ეს არის, რაც ივანიშვილის მიერ შეძენილი ამ 29 ჰექტარი ფართობის პერსპექტივის შესახებ ოფიციალურად გაცხადდდა, თუმცა, სარწმუნოა თუ არა ეს ინფორმაცია, კაცმა არ იცის. მე იმას არ ვამბობ, რომ, რაც აუქციონის მოთხოვნები იყო, იმ პირობებს არ შეასრულებს ივანიშვილი. იმ 80-ნომრიან სასტუმროსაც ააშენებს და კიდევ ერთსაც მიაყოლებს, თუ მოინდომა, საამისო საშუალება ნამდვილად აქვს. აქ მთავარი ის არის, რომ ივანიშვილის ფანები აცხადებენ, მამა-მარჩენალმა ეს ტერიტორია იმიტომ იყიდა, რომ იქ ამქვეყნიური სამოთხე მოაწყოს, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი და სხვა სიკეთეები გააკეთოს და ეს ყველაფერი ხალხს მოხმარდებაო. აი, ეს კი ძალიან საეჭვოა ივანიშვილის ხასიათის, მისი ფრთხილი ბუნებიდან გამომდინარე.

ერთ ამბავს მოგახსენებთ, რომელიც ადრე სოლოლაკის მაცხოვრებლებმა მომითხრეს. როცა ივანიშვილმა სოლოლაკში ცნობილი „შუშის სასახლე“ აიშენა, ახლომახლო თუ ვინმე ცხოვრობდა, ყველას სამმაგი ფასი გადაუხადა კერძო სახლებში, იყიდა, ის სახლები დაანგრია, ეს ტერიტორია კი მის სამფლობელოში არ შედის, მისი მამულის გარე ტერიტორიაა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ „შუშის სასახლის“ ახლოს არავის ეცხოვრაო. ახლა, ის 29 ჰექტარი მის ამ მამულს ემიჯნება და იმის ჩიტია ივანიშვილი, რომ იქ ისეთი კომპლექსი მოაწყოს, რომ ნებისმიერმა მსურველმა იქ არსებული სხვადასხვა ტიპის ობიექტებით და გასართობებით ისარგებლოს და მის ყურის ძირში, მთელი დღე რია-რია გაუდიოდეთ? მოკლედ, წარმოუდგენელია, ივანიშვილმა იმ 29 ჰექტარზე ისეთი რამეები მოაწყოს, რომ დიდი ხალხმრავლობა იყოს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილი ამ ტერიტორიაზე გოლფის სტანდარტული და მინიმოედნის მოწყობას აპირებს, ის 80-ნომრიანი სასტუმრო კი ტერიტორიაზე არავის შეასუნინებენ, ცხვირს არ შეაყოფინებენ. ნებისმიერი ამ ტიპის, დახურული გოლფის მოედანი საგანგებოდ არის დაცული და ვინც კლუბის წევრი არ არის, ახლომახლო არავის აკარებს დაცვა. იმასაც ამბობენ, რომ იმ ტერიტორიაზე აშენდება რესტორნები, ბარები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ფეშენებელური კოტეჯები, რომლებიც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ხელმისაწვდომი არ იქნება. თუ ამ ხმებს დავუჯერებთ, გამოდის, ბიძინა ივანიშვილი მილიონერთა მინიქალაქს აშენებს, სადაც მოხვედრა ჩეულებრივ მოკვდავთათვის შეუძლებელი იქნება და მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი „იგრიალებენ“. ეს დაახლოებით ისეთივე რეზიდენცია იქნება, როგორიც წყნეთის სამთავრობო აგარაკი იყო, მხოლოდ ელიტისთვის, ხალხისთვის მოუწვდომელი, ოღონდ ბევრად მასშტაბური, მრავალფეროვანი და კერძო. ეს კი არა ხალხზე, არამედ საკუთარ თავსა და იმ ადამიანებზე ზრუნვაა, რომლებიც ან ივანიშვილის მეგობრები და ნათესავები არიან, ან ამ კაცს სჭირდებიან თავისი მიზნების მისაღწევად, რადგან სხვა იქ მოხვედრაზეც ვერ იოცნებებს. კი, ბატონი, რაც ამ კაცს ქვეყნისა და ხალხისთვის გაუკეთებია, იმას არ ვუკარგავ, მაგრამ მისი ცხოვრების სტილში არ ჯდება საცხოვრებელი სახლის ახლოს ამგვარი რამეების გაკეთება, ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ სოლოლაკის მაგალითი, პირიქით, მეზობლები მოაშორა საკუთარ სახლს, რომ მშვიდად ყოფილიყო, ამიტომ, უნდა შევეგუოთ, რომ ეს 29 ჰექტარი ივანიშვილს საკუთარი და ახლობლების გასართობად სჭირდება და ხალხს, უკეთეს შემთხვევაში, უფასო ექსკურსიებს მოუწყობს ამქვეყნიური სამოთხის დასათვალიერებლად.

ბიძინა ივანიშვილი სადღეისოდ, როგორც ამბობენ, 5 მილიარდის მფლობელია. ადრე ეს კაცი ხელგაშლილი იყო, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, გაძუნწდა. ეს თბილისის ყველაზე უარეს და არაპრესტიჟულ ადგილას არ მოგყიდიან 1 მეტრ მიწასაც კი, მით უფრო, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, სადაც საუკეთესო ჰავაა და იქ ხალხი სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად საგანგებოდ დადის. ამ დროს თანაინვესტირების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე გვაბოლებს, ეს 29 ჰექტარი მოსალოდნელზე 100 000 ლარით უფრო ძვირად გაიყიდა აუქციონზეო. მოკლედ, უნდა გიხაროდეთ, რომ ივანიშვილმა საწყის ფასზე 100 ათასით მეტი გადაიხადაო. რატომ დაგვცინიან, ვერ გავიგე, ისეთი დებილიც არავინ მეგულება, რომ ამ მიწის რეალური ფასი არ იცოდეს. ახლა დამიწყებენ მისი ფანები, ამ კაცს იცი რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვისო? ჰოდა, ამ საქციელით, აი, იმ გაკეთებულ სიკეთეებს ზედ უქნა და მეტი არაფერი. აი, ეს არის ჩემი პასუხი და ვისაც გეწყინებათ, ცივი წყალი დალიეთ.

ივანიშვილმა ამ მიწის შეძენით სახელმწიფო კიდევ სხვა მხრივაც აზარალა. სწორედ იმ მიწის მონაკვეთზე, რომელიც ივანიშვილმა იყიდა, მიმდინარეობდა კრწანისი-შინდისის გზის მშენებლობა. ამ პროექტზე 700 ათასი ლარი დახარჯა მერიამ, მოიჭრა 528 ხე. ახლა კი, ეს გზა ივანიშვილის მიერ შეძენილ ტერიტორიიდან 2 კილომეტრის დაშორებით უნდა აშენდეს. ეს 700 ათასი ლარი წყალში გადაიყარა და ის 528 ხეც ტყუილად მოიჭრა. ახალ გზას, ცხადია, ახალი ხარჯები დასჭირდება ბიუჯეტიდან და სხვა ხეებიც მოიჭრება. წინასწარი ვარაუდით, 2000 ძირზე მეტი. შე კაი კაცო, ამ ქვეყნის მოკეთე თუ ხარ, ისე მოიქეცი, რომ მისი ისედაც გაძვალტყავებული ბიუჯეტიდან ასეულ ათასობით ლარი და ამ ისედაც ხრიოკ ქალაქის მწვანე საფარი არ შესწირო შენს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის გაუგებარ ვნებებს, რა! სხვაგან და საბაზრო ფასად გეყიდა მიწა, რაც გინდა, ის აგეშენებინა და ხმის ამომღები კაციშვილი არ იქნებოდა.

## 2015 წელს ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა 17,6 პროცენტით შემცირდა, ყალბი დოლარების 13,2 პროცენტით გაიზარდა



2015 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა 17,6 პროცენტით შემცირდა, ყალბი დოლარების კი 13,2 პროცენტით გაიზარდა, - ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის ანგარიშში.

– 2015 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა წინა პერიოდთან შედარებით შემცირდა 17,6 პროცენტით, ყალბი აშშ დოლარების რაოდენობა გაიზარდა 13,2 პროცენტით, ხოლო ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობა — 31,6 პროცენტით გაიზარდა. აგრეთვე, სხვა უცხოური ყალბი ვალუტა გაიზარდა 1,5-ჯერ, - ნათქვამია ანგარიშში.

რაც შეეხება 50 თეთრის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენობას, სებ-ის ანგარიშის თანახმად, ის წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 1,7-ჯერ, ხოლო 1 ლარის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენობა 4,5-ჯერ შემცირდა. (bpn.ge)

## „გასარკვევია, მერია როგორ იქცევა, ხომ არ ირღვევა სადმე კანონი“



საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნას, თბილისის ბოტანიკური ბაღის გარშემო მიმდინარე პროცესებზე პარლამენტში კომიტეტის სხდომის გამართვას, „რესპუბლიკელი“ ლევან ბერძენიშვილი ეხმაურება. დეპუტატის თქმით, საკითხთან გარემოს დაცვის მინისტრი და კულტურის მინისტრი არაფერ შუაშია.

– გარემოს დაცვის და კულტურის მინისტრი აქ არაფერ შუაში არ არის, ჯერ ყოველ შემთხვევაში. ჯერ გასარკვევია, მერია როგორ იქცევა, ხომ არ ირღვევა სადმე კანონი და ასე შემდეგ. წინასწარ ცნობილი არის ჩვენი უმცირესობისთვის, რომ ნაპოვნია დამნაშავე, ბიძინა ივანიშვილი, ეს ცოტა სახუმარო საქმე მგონია. მაშინ რატომ იწვევენ? იმისთვის, რომ სცემონ? ისინი არ მალავენ თავის განწყობას და გასაგებია, რომ ეს უფრო პოლიტიკური შოუს ელემენტებს შეიცავს, ვიდრე ბუნების დაცვის, - განაცხადა ბერძენიშვილმა. ცნობისთვის უმცირესობა პარლამენტში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მოწვევას ითხოვს. „ნაციონალური მოძრაობის“ განმარტებით, სხდომაში მონაწილეობა ასევე კულტურის მინისტრმა, თბილისის მთავრობისა და თანაინვესტირების ფონდის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პეტრე ცისკარიშვილი: ბიზნესმენებს აიძულებენ პროექტი Chek in Georgia უანგაროდ დააფინანსონ



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინფორმაციით, ბიზნესმენებს აიძულებენ, პროექტ Chek in Georgia-ში ჩაერთონ და უანგაროდ დააფინანსონ, - ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა.

ცისკარიშვილის თქმით, პროექტი თანდათან უფრო და უფრო ძვირდება.

– პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განკარგულებით, პროექტის ღირებულებას 3 მილიონი ლარი დაემატა. ასევე, ცნობილი გახდა, რომ ბილეთებიდან შემოსული თანხა ამავე ჯგუფების ხარჯების დაფარვას მოხმარდება. ასევე, გვაქვს ახალი ინფორმაცია, რომ ჯაზფესტივალის დაფინანსების ფონდი 2 მილიონი უნდა ყოფილიყო და ახლა 2 მილიონ ნახევარს გადასცდა. შედარებისთვის გეტყვით, რომ წინა წლებში ჯაზფესტივალის ხარჯები 600 000 ლარს შეადგენდა. ამ ყველაფერს აკეთებენ ცინიკურად. ხალხის თვალწინ, ყველას დასანახად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში. ფიქრობენ, რომ ეს მათ საარჩევნო კამპანიას წაადგება. საარჩევნო კამპანიის დახმარებას ფიქრობენ რამდენიმე კუთხით, ერთი მხრივ, რომ ამ კონცერტებით და მსგავსი ღონისძიებებით განწყობას აამაღლებენ და მეორე იმ თვალსაზრისით, რომ ის ჯგუფები, ვინც საორგანიზაციო საკითხებში იქნებიან ჩართული, დაფინანსებას მიიღებენ და ეს ირიბი მოსყიდვაა მათი, - განაცხადა ცისკარიშვილმა.

დამატებითი ინფორმაცია გვაქვს, რომ ბიზნესმენებსაც მიადგნენ, რათა გრანტის სახით დაეხმარონ აღნიშნულ პროექტს.

– აწუხებენ, რომ ისინი უსასყიდლოდ ჩაერთონ ამ პროცესში და დაფინანსება უანგაროდ გამოუყონ. ეს მათი გათავისუფლებული ბიზნესის შემადგენელი ნაწილია, - განაცხადა ცისკარიშვილმა, თუმცა პოლიტიკოსმა კონკრეტული ბიზნესმენების დასახელებისგან თავი შეიკავა. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აპრილში პარტიებს შორის ყველაზე მეტი შემოწირულება ირმა ინაშვილის „პატრიოტთა ალიანსმა“ მიიღო



მიმდინარე წლის აპრილში პოლიტიკურმა პარტიებმა შემოწირულების სახით ჯამში, 604 747 ლარი მიიღეს. პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, გასულ თვეში ყველაზე მეტი შემოწირულება - 268 500 ლარი „საქართველოს პარტრიოტთა ალიანსს“ ერიცხება.

შემოწირულების კუთხით, 149 020 ლარით მეორე ადგილი უჭირავს „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“, მესამე კი - 124 000 ლარით ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩს“.

სხვა პარტიების მაჩვენებელი ასე გამოიყურება: „გაერთიანება ბედნიერი საქართველოსთვის“ — 46 939 ლარი, „საქართველოს ქრისტიან -კონსერვატიული პარტია“ — 9 000 ლარი, „საქართველოს მშვიდობისთვის“ — 3 173 ლარი, „თავისუფალი საქართველო“ —

1 364 ლარი, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ — 1 131 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 900 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ — 600 ლარი და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ — 120 ლარი.

აღსანიშნავია, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი მისივე წევრი მანუჩარ მაჩაიძეა. საკრებულოს წევრმა პარტიას აპრილში 60 000 ლარი შესწირა. (ინტერპრესნიუსი)


### სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-19 წინადადებების ღია გამოკითხვას ეკოლოგიური უსაფრთხოების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 19 მაისი 15 საათი.


ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის პროექტის ცვლილების შემდეგ კიდევ 400-მდე ხე მოიჭრება



კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის პროექტის ცვლილების შემდეგ კიდევ 400-მდე ხე მოიჭრება, - ამის შესახებ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გივი კუბლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა. მერიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ჟურნალისტებს გზის მშენებლობის მიმდინარეობაზე ესაუბრა და განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ 50 ხის მოჭრაზეა ნებართვა გაცემული.

– გზის მიმართულების შეცვლის გამო კიდევ გაიჩეხება 400-მდე ხე, თუმცა პროექტის მიმდინარეობისას უფრო ზუსტად გვეცოდინება. ეს გულისხმობს როგორც ბუჩქოვან ნარგავებს, ასევე, ხეებს, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ 50 ხის მოჭრაზეა გაცემული ნებართვა, - განაცხადა გივი კუბლაშვილმა.

როგორც მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, გზის გეგმის შეცვლის შედეგად არ შეცვლილა კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ძირითადი ნაწილი, ცვლილება შეეხო მხოლოდ გზის 1/3-ს.

– გზის ძირითადი კონტური არ შეცვლილა, არც მიმართულებებია შეცვლილი, მოხდა გზის ღერძის გადატანა. ეს შეეხო 5 კილომეტრიდან 1/3-ს, ანუ დაახლოებით 2 კილომეტრამდე მონაკვეთს, - განაცხადა გივი კუბლაშვილმა. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უმუშევრობის ყველაზე მაღალი და დაბალი დონის მქონე ქვეყნები




მსოფლიოში უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე ყატარშია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2014 წელს ამ ქვეყანაში უმუშევრობის დონემ საშუალოდ 0,3 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს ამ კუთხით, კამბოჯა იკავებს 0,4 პროცენტით, მესამეს - რუანდა 0,6 პროცენტით, მეოთხეს კი ტაილანდი 0,9 პროცენტით. ამ ქვეყნების გარდა, უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონით გამოირჩევა ასევე ბენინი (1%), ლაოსი (1,4%), გვინეა (1,8%) და მაკაო (1,5%).

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, სადაც ყველაზე მაღალია უმუშევართა რიცხვი, პირველ ადგილზე 2014 წლის მონაცემებით, მავრიტანია გავიდა 31 პროცენტით. მეორე ადგილას მაკედონია და ბოსნია და ჰერცოგოვინაა. ამ ორ ქვეყანაში უმუშევრობის ერთი და იგივე მონაცემი — 27,9 პროცენტი დაფიქსირდა.

უმუშევართა დიდი რაოდენობით გამოირჩევა ევროკავშირის ორი ქვეყანა საბერძნეთი (26,%) და ესპანეთი (24,7%), ვინაიდან სწორედ ამ ქვეყნებზე აისახა ყველაზე მწვავედ ევროზონის ეკონომიკური კრიზისი. ამასთან, მსოფლიოს მასშტაბით, უმუშევრობის მაღალი დონეა ლესოტოსა (26,2%) და სამხრეთ აფრიკაშიც (25,1%).

საქართველოში კი მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2014 წელს უმუშევრობის დონემ 13,4 პროცენტი შეადგინა. მაშინ როდესაც 2013 წელი 14,6 პროცენტი იყო. (allnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 13 ივნისს ზოოპარკში შესვლა უფასო იქნება



– 13 ივნისს ზოოპარკში შესვლა უფასო იქნება, - ამის შესახებ ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მზია შარაშიძემ განაცხადა.

– 13 ივნისს, იმის გამო, რომ სტიქიის დროს ზოოპარკის მიმართ საოცარი მხარდაჭერა იყო, მადლობა შეგვიძლია გამოვხატოთ იმით, რომ ამ დღეს ზოოპარკში შესვლა უფასო იყოს, - განაცხადა მზია შარაშიძემ.

მისივე ინფორმაციით, ზოოპარკში 1-ელ ივნისს ბავშვებისთვის ახალი გასართობი ზონა გაიხსნება.

– 1-ელ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ზოოპარკში იქნება ძალიან საინტერესო აქტივობები ბავშვებისთვის. ასევე, ამ დღეს გაიხსნება ბავშვებისთვის გასართობი ზონა, რომელიც კეთდება ფილიპინებში საქართველოს საელჩოს და ფილიპინების საელჩოს საქართველოში ინიციატივითა და ბათუმის საერთაშორისო ტერმინალის დაფინანსებით, - განაცხადა მზია შარაშიძემ. (bpn.ge)


### სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-16 წინადადებების ღია გამოკითხვას ეკოლოგიური უსაფრთხოების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 19 მაისი 15 საათი.*

### შპს „მტკვარი ენერგეტიკა “ აცხადებს №MT-2016-19 ღია კონკურსს სხვადასხვა დანიშნულების ქიმიური მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:

ლოტი 1 - გოგირდმჟავა
ლოტი 2 - მწვავე ნატრიუმი
ლოტი 3 - კვარცის სილა

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 6 ივნისი 15 საათი.*

## ბობოყვათის ყოფილი სკოლის შენობაში თვითნებურად შეჭრილები გაასახლეს



ქობულეთში, ბობოყვათის ყოფილი დაწყებითი სკოლის შენობიდან თვითნებურად შეჭრილები გაასახლეს. სამართალდამცველებმა შენობიდან მათი ნივთები გაიტანეს, რასაც ხმაური მოჰყვა.

სოციალურად დაუცველმა რვა ოჯახმა სახელმწიფოს ბალანსზე არსებული შენობა 3 მაისს დაიკავა. მათ შორის არიან წალკიდან აჭარაში დაბრუნებული ეკომიგრანტები და სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც ბინის ქირას ველარ იხდიდნენ. თვითნებურად შეჭრილებს შორისაა ორი ფეხმძიმე ქალი, მცირეწლოვანი ბავშვები და მოზარდები. ისინი ყოფილი სკოლის ეზოში რჩებიან და აცხადებენ, რომ წასასვლელი არსად აქვთ. (ინტერპრესნიუსი)

## „წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მცირე ზრდა იქნება, თუმცა მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს“



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ არჩილ მესტვირიშვილის განცხადებით, წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მცირე ზრდა იქნება, თუმცა მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს.

როგორც არჩილ მესტვირიშვილმა განმარტა, ინფლაციის შემცირებას რამდენიმე ფაქტორი ჰქონდა.

– ინფლაცია დაბალი დარჩება წლის განმავლობაში, წლის მეორე ნახევარში მცირე ზრდა უნდა იყოს, მაგრამ მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იქნება, - განაცხადა მესტვირიშვილმა.

როგორც მესტვირიშვილმა აღნიშნა, ლარის კურსის გაუფასურება ინფლაციის ზრდას მაინცდამაინც არ უკავშირდებოდა. მისივე თქმით, ინფლაციის ზრდაზე დიდი გავლენა ჰქონდა ინფლაციის მოლოდინებს და არა კურსს, „თუმცა რა თქმა უნდა, გავლენა ამასაც აქვს“.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების შევსებას, მესტვირიშვილის თქმით, ეს დამოკიდებული იქნება სიტუაციაზე.

2016 წლის აპრილში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით -0,6 პროცენტი, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) 3,2 პროცენტი შეადგინა. (bpn.ge)

# სამი ცვლილება მეცნიერებათა აკადემიისთვის და გაურკვევლობაში დატოვებული მეცნიერები



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



საქართველოს პარლამენტის ბიურომ დაარეგისტრირა კანონპროექტი, რომელიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად 70 წელს გადაცილებული პირების არჩევას კრძალავს. კანონპროექტი „ქართული ოცნების“ დეპუტატ ივანე კილურაძეს ეკუთვნის.

გარდა ამისა, ივანე კილურაძემ წამოაყენა წინადადება, შეიცვალოს სახელწოდება „აკადემიური საბჭო“ და ეწოდოს მას „აკადემიის პრეზიდიუმი“, რომელშიც შევლენ – პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, მდივანი-აკადემიკოსი და აკადემიის სხვა წევრები.

დეპუტატი ითხოვს, რომ აკადემიის მართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან პირდაპირ მთავრობის ხელში გადავიდეს. ცვლილებების პროექტით ასევე აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა ინსტიტუტს სტიპენდიანტთა ინსტიტუტი ჩაანაცვლებს. სტიპენდიანტებს 5 წლის ვადით აირჩევენ. ეს ყველაფერი მეცნიერთათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ცვლილებების შესახებ არაფერი იცოდნენ.

**რატომ დაუმალეს მეცნიერებს კანონში შესატანი ცვლილებები და რატომ დააყენეს ფაქტის წინაშე? რისთვის კეთდება რეალურად კანონში ცვლილებები?**

**„ალიას“ განათლების ყოფილი მინისტრი, დიმიტრი შაშკინი ესაუბრა:**

– ამ კანონპროექტის ირგვლივ, მთავარი აჟიოტაჟი მოჰყვა ასაკობრივი ცენზის შემოღებას. მინდა გითხრათ, რომ მეცნიერებათა აკადემია, არ არის სამინისტრო, უნივერსიტეტი, ან რაიმე მსგავსი დაწესებულება. მეცნიერებათა აკადემია არ მართავს საწარმოებს, კვლევით ინსტიტუტებს, ან თუნდაც უნივერსიტეტებს. მეცნიერებათა აკადემია, გახლავთ საკონსულტაციო და სათათბირო ინსტიტუცია, რომლის მთავარი ამოცანაც არის, მეცნიერების განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება და ამ ხედვის განხორციელების პროცესის ხელშეწყობა. შესაბამისად, აკადემიის პრეზიდენტის სამუშაო გრაფიკი, ვერანაირად ვერ ჩაითვლება ისეთ გრაფიკად, სადაც საჭირო იქნება, რაიმე სახის ექსტრაორდინარული ფიზიკური შესაძლებლობების ქონა. ანუ, ეს არის სათათბირო, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებს და არ სჭირდება ასაკობრივი შეზღუდვა. არ არსებობს იქ რაიმე სახის განსაკუთრებული სამუშაო რეჟიმი, ისე, როგორც გამგეობაში, სამინისტროში, ან უნივერსიტეტში. არ უწევთ მათ 8 საათის განმავლობაში ლექციის წაკითხვა, იმიტომ, რომ სათათბიროა და ის, ვისაც ახლა მოაქვს არგუმენტად, ასაკობრივი ცენზი და ამას საფუძვლად უდებს, რომ ადამიანს არ შეუძლია გაუძლოს ფიზიკურ დატვირთვას, მაშინ, აუცილებლად უნდა გაიხსენოს, რომ, პირველ რიგში, მსგავსი ასაკობრივი ცენზი თვით პარლამენტარებისთვისაც კი არ არის დაწესებული. ასევე, ისიც გაიხსენონ, რომ პრეზიდენტის პოსტი არის არჩევითი, პრეზიდენტი არ არის ადამიანი, რომელსაც ვინმე ნიშნავს.

— **მეცნიერები აპროტესტებენ იმასაც, რომ ისინი არ იყვნენ საქმის კურში შესატანი ცვლილებების თაობაზე. რატომ დაუმალეს მათ ეს ყველაფერი და რატომ დააყენეს ფაქტის წინაშე?**

– საფუძველი ძალიან მარტივია. მიმდინარეობს კლანური დაპირისპირება. ეს, რაც ახლა ხდება მეცნიერებათა აკადემიაში, ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მანამდე მსგავსი რამ ხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არ მინდა კონკრეტულ პიროვნებებზე ვისაუბრო, უბრალოდ, ძალიან ბევრს აქვს გააზრებული, რომ არჩევნების შემდეგ, არც მთავრობაში და არც პარლამენტში არ იქნება და ამ ეტაპზე, სხვადასხვა საშუალებებით ცდილობენ გაინაღდონ მომავალი.

— **რას გულისხმობთ?**

– ცდილობენ, თავიანთი ხალხი შეიყვანონ აკადემიაში, რომ აკონტროლონ ის ფინანსური რესურსები, რომელიც არის აკადემიაში, რათა, გამოვიყენებ ჟარგონს და ვიტყვი, – გაინაღდონ კარგი ცხოვრება.

— **პროტესტის მორიგი საკითხი არის მეცნიერებათა აკადემიის ქონება. კანონში შესატანი ცვლილების თანახმად, მეცნიერებათა აკადემიის ქონება უნდა გადავიდეს განათლების სამინისტროდან მთავრობის ბალანსზე. განა ასეთი რა თანხაა?.. რა ქონებას ფლობს მეცნიერებათა აკადემია ან რა ფინანსები აქვს, ერთმანეთს რომ შეასკდნენ?**

– აქ მთავარია მეცნიერებათა აკადემიის შენობა, რომელიც მდებარეობს რუსთაველის გამზირზე. ზოგადად, ნებისმიერი სახელმწიფო ქონება არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. აქედან გამომდინარე, მეცნიერებათა აკადემიას კი გააჩნია ეს შენობა სარგებლობაში, მაგრამ დე იურე, მისი მფლობელი არის ეკონომიკის სამინისტრო.

მე ზოგადად, არ მესმის პრინციპი, რომელიც ჩადეს კანონში – ვის ეკუთვნის? ან რატომ უნდა გადავიდეს ეს ქონება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე, როცა ნებისმიერი სახელმწიფო ქონება ეკუთვნის ან ეკონომიკის სამინისტროს, ან ადგილობრივ ხელისუფლებას. ასეა ეს კანონით. ამიტომაც ვერანაირ არსს ვერ ვხედავ ვის ბალანსზე იქნება ეს შენობა – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე თუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე.

— **შეიძლება ამ შენობის გამო, იკვეთებოდეს კერძო პირთა ბიზნეს ინტერესები?**

– მეცნიერებათა აკადემიის შენობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. არავინ იცის, ვის რა იდეა გაუჩნდება მომავალში მასთან მიმართებაში. იმდენად ჰიპერინკოგნიტოა ამ საკითხთან მიმართებაში ხელისუფლების პოზიცია, რომ პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, ამოუცნობია და არ ექვემდებარება ჩემს ლოგიკას. აქ არის მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ლოგიკა – შემოუშვან თავიანთი კადრი ან კადრები, რომელთა მეშვეობითაც გააკონტროლებენ ფინანსურ წყაროებს და სხვა უამრავ დეტალსაც, თუმცა, ჩემი აზრით რომ ამჯერად, პირველი ამოცანა არის აკადემიის ამჟამინდელი პრეზიდენტის გადაყენება, რომელიც მათთვის მიუღებელია და ზუსტად იმ ასაკობრივ ცენზში ხვდება, რომელსაც აწესებენ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის ზოოპარკს 100-ზე მეტი ახალი ცხოველი შეემატება



თბილისის ზოოპარკის დირექტორის განცხადებით, 13 მაისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ზოოპარკის აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს - ხდება დაზიანებული ვოლიერების შეკეთება და ახალი ვოლიერების მშენებლობაც. მაისის ბოლოსკენ კი თბილისის ზოოპარკი მსოფლიოს სხვადასხვა ზოოპარკებიდან ახალი ცხოველების მიღებას გეგმავს, თუმცა იმისათვის, რომ თბილისის ზოოპარკმა ცხოველების მიღება შეძლოს, ის ევროპისა და მსოფლიო ზოოპარკების ასოციაციების მიერ დადგენილ სტანდარტებს უნდა პასუხობდეს, რისთვისაც აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს.

ზურაბ გურიელიძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იმ დაპირებების დიდი ნაწილი, რომელსაც ზოოპარკს საერთაშორისო ორგანიზაციები აძლევდნენ, შესრულებულია. სწორედ ამის შედეგია, ახალი ცხოველების ჩამოყვანაც და მათი ტრანსპორტირებისათვის საჭირო თანხის უზრუნველყოფაც.

– ბევრი ცხოველი იქნება ისეთი, რომლებიც თბილისის ზოოპარკში არასდროს ყოფილან, მაგალითად დეგუ, ასევე, ჩამოდის, ანტილოპა გნუ, იერუსალიმის ზოოპარკიდან მაიმუნის ორი სახეობა ჩამოვა, ჩამოვლენ კენგურუებიც, ხალებიანი ირმები, პინგვინები და კიდევ ბევრი სხვა ცხოველი, - განაცხადა გურიელიძემ. (news.ge)

## „ცეკვავენ ვარსკვლავების“ რომეო და ჯულიეტა — ვინ დაწყვილდა პროექტის ახალ სეზონში?



როგორც ჩანს, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ახალი სასიყვარულო რომანია – რატი გაჩეჩილაძე უკრაინელ მოცეკვავე კარინა ლისენკოს ხვდება.

საერთო ფოტო კარინამ გამოაქვეყნა, კომენტარებში კი წყვილს ერთად ყოფნას ულოცავენ.

შეგახსენებთ, რომ რატი გაჩეჩილაძე გიგი გაჩეჩილაძის ძმა და გოჩა ჩერტკოევის ცოლისძმაა, წლევანდელ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ის პარტნიორობას ლიზა ყენიას უწევს, კარინა ლისენკო კი მსახიობ ჯანო იზორიას მეწყვილეა. (droni.ge)

## დედას, რომელიც შვილს ძილის წამლებს ასმევდა, 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება




შინაგან საქმეთა სამინისტრომ იაშვილის კლინიკაში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედა კლინიკაში სამკურნალოდ შეყვანილ პატარას ძილის წამლებს ასმევდა, რომ თვითონ მედიის ყურადღების ქვეშ ყოფილიყო.

როგორც ერთ-ერთმა ექიმმა „ფეიბუკის“ პირად გვერდზე დაწერა, ბავშვს, რომელსაც უჩვეულო ძილიანობა აღენიშნებოდა, ჩატარებული გამოკვლევებისა და ტოქსიკოლოგიური სკრინინგის შემდეგ დაუდგინეს, რომ არაფერი სჭირდა. ბავშვის ძილიანობას დედის მიერ მიცემული დიდი ოდენობით დიმედროლი იწვევდა.

როგორც შს სამინისტროში განმარტავენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

უწყებაში დამატებით დეტალებზე არ საუბრობენ. აღნიშნული მუხლი თავისუფლების სამ წლამდე შეზღუდვას, ან თავისუფლების აღკვეთას, ვადით ერთიდან სამ წლამდე ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## ნადია სავჩენკოს უკრაინისთვის გადასაცემად საჭირო საბუთები მზად აქვს



უკრაინული მედიის ინფორმაციით, რუსეთის სასჯელაღსრულების ფედერალურ სამსახურს უკრაინელი სამხედრო მფრინავის ნადია სავჩენკოს უკრაინისთვის გადასაცემად საჭირო საბუთები უკვე მზად აქვს, მაგრამ უკრაინას მხოლოდ რუსეთის მიერ წაყენებული პირობების შესრულების შემთხვევაში გადასცემს.

რუსული მხარე მოითხოვს, რომ სავჩენკომ უკრაინაში მოიხადოს რუსული სასამართლოს მიერ მისჯილი სრული ვადა (22 წელი).

სავჩენკოს ადვოკატის თქმით, უკრაინელი მფრინავი კვლავ არ აღიარებს ბრალდებას და თანახმა მხოლოდ იმ 30 000 რუბლიანი ჯარიმის გადახდაზეა, რომელიც მას ასევე დააკისრეს.

თვითონ სავჩენკო მისი უკრაინისთვის გადაცემის პროცესის გაწელვის შემთხვევაში შიმშილობის ხელახლა დაწყებას აპირებს.

თავდაპირველად კრემლის ერთადერთი მოთხოვნა სავჩენკოს გადაცემის საქმესთან დაკავშირებით რუსული კანონმდებლობის დაცვა იყო.

შეგახსენებთ, უკრაინელ სამხედრო მფრინავს ბრალად ორი რუსი ჟურნალისტის მკვლელობა ედება. რუსულმა სასამართლომ მას განაჩენი მარტში, დაძაბული პროცესების შემდეგ გამოუტანა. (presa.ge)

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ამ მიწას ბოტანიკური ბაღისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს“





ხმაური ბოტანიკური ბაღის გარშემო არ წყდება. „ნაციონალური მოძრაობა“ ბაღის მიმდებარედ 29 ჰექტარი მიწის აუქციონის წესით გასხვისებას აპროტესტებს. მერიაში აცხადებენ, რომ ეს მიწა ბოტანიკური ბაღის საკუთრება არასდროს იყო, მიწის ახალი მფლობელი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული თანაინვესტირების ფონდი იქ სარეკრეაციო ზონის მოწყობას აპირებს, გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი კი ამ საკითხზე სასაუბროდ პარლამენტში მისვლაზე უარს ამბობს, რადგან „მისი კომპეტენცია არ არის“.

საკითხის შესახებ საუბრისას საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ ვერ ხედავს აჟიოტაჟის მიზეზს.

**— ბატონო გიორგი, როგორია თქვენი დამოკიდებულება ბოტანიკური ბაღის საკითხისადმი, რომლის 4 ჰექტარის გაცვლამ, შემდეგ კი მის მიმდებარედ 29 ჰექტარის გასხვისებამ დიდი ხმაური გამოიწვია?**

– მე არ მესმის რაზეა ატეხილი ეს აჟიოტაჟი, როცა ოთხი ჰექტარი გამწვანებული, განახლებული, ირიგაციის სისტემით აღჭურვილი მიწა გაიცვალა იმ 4 ჰექტარზე, რომელზეც გამწვანება არაა და მას ბოტანიკური ბაღისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ტერიტორია, რომელიც ბაღს მიემატა, არის პერსპექტიული მისი განვითარებისთვის.

ახლა უნდა დავაყენოთ საკითხი ბოტანიკური ბაღისათვის იმ ტერიტორიების დასაბრუნებლად, რომელიც მას 2009 წელს წაერთვა. ეს არის დამხმარე ტერიტორიები, არა ბოტანიკური ბაღის მოსაზღვრედ, არამედ ქალაქგარეთ.

**— თავად ის ფაქტი, რომ აქცენტი კერძო პირის ინტერესზე კეთდება და არა სახელმწიფოზე...**

– პრივატიზაცია კანონით დაშვებულია. რაც შეეხება აუქციონზე გატანილ 29,4 ჰექტარს, რომელიც თანაინვესტირების ფონდმა შეიძინა, როგორც ოფიციალური ინფორმაციითაა ცნობილი, რეკრეაციული ზონის მოწყობა იგეგმება იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აუქციონების თანახმად სამეურნეო დანიშნულებით არ აითვისებს. ეს კი დაახლოებით 10 ჰექტარია. ეს წმინდა ეკოლოგიური თვალსაზრისით უნიკალური რამ იქნება. (presa.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თქვენ ხართ მხარე“ - დიმიტრი ქუმსიშვილის ცხარე კამათი გიორგი გაბუნიასა და აკაკი გოგიჩაიშვილთან




– თქვენ გაქვთ პოლიტიკური დღის წესრიგი, თქვენ ხართ მხარე, - ასე მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა „არჩევანისა“ და „ბიზნესკურიერის“ წამყვანებს, გიორგი გაბუნიასა და აკაკი გოგიჩაიშვილს.

შეფასება ეკონომიკის მინისტრმა მას შემდეგ გააკეთა, რაც მაყურებლებს სხვადასხვა მიმართულებით არსებული მაჩვენებლების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, გიორგი გაბუნიამ კი აღნიშნა, რომ მოსახლეობას არა ციფრები, არამედ შედეგი აინტერესებს. ამასთან, „არჩევანის“ წამყვანი ქუმსიშვილისგან დაინტერესდა, ნიშნავს თუ არა მის მიერ „აფრიალებული ფურცლები“ და დასახელებული მაჩვენებლები იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობისთვის 4 წლის წინ მიცემული დაპირებები შეასრულა.

– მე არ ვაფრიალებ ფურცლებს - მე ინფორმაციას ვაწვდი მოსახლეობას და ამიტომ მოგიწოდებთ კორექტულობისკენ. მეორე - 4 წლის წინ თქვენ ასეთ გადაცემებს აკეთებდით, როდესაც 300 ათასი უმუშევარი იყო? დღეს ხომ იმაზე ნაკლები უმუშევარია, ვიდრე 4 წლის წინ იყო? შესაბამისად, მაშინაც შეგეძლოთ ასეთი გადაცემა გაგეკეთებინათ, თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენ პოლიტიკური დღის წესრიგი გაქვთ, - განაცხადა ქუმსიშვილმა.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში გაცემულ პრემიებსა და ადმინისტრაციული შენობების რემონტზე დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით აკაკი გოგიჩაიშვილის მიერ დასმულ შეკითხვას, ეკონომიკის მინისტრმა „სირცხვილი“ უწოდა.

– სირცხვილია. რაზე მთხოვთ პასუხს? შეადარეთ - ჩემს წინამორბედ ეკონომიკის მინისტრს 15 თუ 17 ათასი ჰქონდა ხელფასი. რას მელაპარაკებით? თქვენ გაქვთ პოლიტიკური დღის წესრიგი, თქვენ ხართ მხარე, - მიმართა ეკონომიკის მინისტრმა „არჩევანისა“ და „ბიზნესკურიერის“ წამყვანებს. (ambebi.ge)

## მამუკა კაციტაძე: ამომრჩეველთა სიიდან ამოღებულია იმ კატეგორიის ამომრჩეველი, რომელიც ყველაზე დიდი საპროტესტო ელექტორატია



„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ პრობლემებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. როგორც კაციტაძე აცხადებს, სამოქალაქო რეესტრის მიერ ამომრჩეველთა სიიდან ამოღებულია 98 ათასი ადამიანი, კერძოდ, ის ამომრჩეველი, რომელმაც სხვადასხვა მიზეზის გამო ბინა გაყიდა, ახალმა მფლობელმა კი მათი მისამართიდან ამოწერა მოითხოვა.

კაციტაძე განმარტავს, რომ ეს ღონისძიება 2014 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში განხორციელდა, რომლის თანახმადაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 185-ე მუხლში ჩაიწერა, რომ ამ კატეგორიის ადამიანები არ უნდა იყვნენ ამომრჩეველთა სიაში.

– დღეს მთავარი პასუხისმგებელი ამომრჩეველთა სიაზე და საერთოდ ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდება, ბუნებრივია არის ხელისუფლება. სამოქალაქო რეესტრი ამბობს, რომ მათი დათვლით საქართველოში 3 მილიონ 530 ათასი ამომრჩეველია საქართველოში, თუმცა ამავდროულად ის ამბობს, რომ 98 ათასი ამომრჩეველი, ე.წ. რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილი ამომრჩეველი, ამ ბაზაში არ შეიყვანეს. ეს არის ამომრჩეველი, რომელმაც ბინა სხვადასხვა მიზეზის გამო გაყიდა, ძირითადად ბანკის კრედიტის გამო. ამ ადამიანებს დღეს პირადობის მოწმობა აქვთ და მათ სახელმწიფო ეუბნება - „ბინა ხომ დაკარგე, ახლა ხმის უფლებასაც კარგავ“. ამ კატეგორიის ამომრჩეველი ყველაზე საპროტესტო ელექტორატია, ვინც ბინა დაკარგა და არც ერთ ხელისუფლებას არ აწყობს ეს ხალხი ამომრჩეველთა სიაში, - განაცხადა მამუკა კაციტაძემ. (ინტერპრესნიუსი)


**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-30 წინადადებების ღია გამოკითხვას ეკოლოგიური უსაფრთხოების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე : **+995 599 567520.**

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 19 მაისი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-5 ფასთა ღია გამოკითხვა OBTO1 ტიპის სარეზერვო ტრანსფორმატორის მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა’’-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 19 მაისი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-21 ფასთა ღია გამოკითხვას ქიმიური საამქროსთვის ქიმიური რეაგენტების, რექტივებისა და ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა’’-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე: **+995 599 567520.**

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 19 მაისი 15 საათი.*

## ალასანია: ეს ქვეყანა არავის საკუთარი ეზო არ არის



„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ბოტანიკური ბაღის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა. ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ საკითხი როგორც საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს განხილული, ასევე, საზოგადოებრივი პროტესტიც უნდა მოჰყვეს.

– გაუგონარი მასშტაბის უსამართლობა ჩაიდინეს თბილისის მერიამ და ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც თვალი დაადგეს და პრაქტიკულად, მიისაკუთრეს საზოგადოების და ყველა ჩვენგანის საკუთრება.

საკანონმდებლო დონეზეც და სხვა დონეზეც უნდა იყოს განხილული, ჩვენ აქტიურად ჩავერთვებით პროცესში, რომელიც საზოგადოებრივ მოძრაობას პროტესტს დააფქსირებინებს.

ეს ქვეყანა არავის საკუთარი ეზო არ არის, ეს არის ჩვენი საერთო ქვეყანა, აქედან გამომდინარე, ყველამ, მათ შორის, არაფორმალურმა მმართველმა ივანიშვილმა პატივი უნდა სცეს ხალხის აზრს, - განაცხადა ალასანიამ. (news.ge)

## მინაშვილი: შანტაჟის მიზნად „ქართული ოცნება" იყენებს იმას, რომ არ ამტკიცებენ ამ მოსამართლეებს



საპარლამენტო უმცირესობაში მმართველი გუნდისა და პრეზიდენტის ახალ დაპირისპირებაზე საუბრობენ. აკაკი მინაშვილი არ გამორიცხავს, რომ მმართველ გუნდი და პრეზიდენტი ვაჭრობენ ქვეყნისა და მოქალაქეების ბედით.

– „ქართულმა ოცნებამ" და ივანიშვილმა ვერ მოახერხეს მარგელაშვილის დათანხმება საარჩევნო თარიღთან დაკავშირებით. არსებობს ძალიან საფუძვლიანი ეჭვები, რომ შანტაჟის მიზნად „ქართული ოცნება" იყენებს იმას, რომ არ ამტკიცებენ ამ მოსამართლეებს და ეს რეალურად ნიშნავს იმას, რომ საკუთარი თანამდებობებისათვის, საკუთარი ამბიციებისათვის ეს ადამიანები, „ქართული ოცნების" დიდი გუნდის წარმომადგენლები, ივანიშვილის მეთაურობით, ერთი მხრივ პრეზიდენტი და მეორე მხრივ პრემიერ-მინისტრი და პარლამენტში „ქართული ოცნების" ფრაქცია ვაჭრობენ ქვეყნის ბედით, ვაჭრობენ მოქალაქეების ბედით და ეს არის ძალიან სავალალო ვითარება, რაშიც „ქარულმა ოცნებამ" ჩააგდო ჩვენი ქვეყანა, - განაცხდა მინაშვილმა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



„ალია" გია კორკოტაშვილს ესაუბრა:

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისიის" დამფუძნებელმა გია კორკოტაშვილმა, თავისი ჩვეული გულწრფელი აღშფოთებით, უკვე მერამდენედ დაამუნათა „ოცნების" ხელისუფლება: „თქვენ ერთი რამე ვერ აღადგინეთ, ღირსება ვერ აღგვიდგინეთ. ვერ დააფასეთ ის ადამიანები, რომლებსაც, როდის რა მოუვიდოდა, კაციშვილმა არ იცოდა...

**— საკმაო ხანია ხელისუფლებას ნამუსზე აგდებთ, ხალხს მიხედეთო, მაგრამ მათ თავში არაფერი არ შედის. ახლა რაღა აზრი აქვს ასეთი განცხადებების გაკეთებას? სადაცაა ხელისუფლება ქუდს დაიხურავს და წავა გამოტენილი ჯიბეებით სახლში...**

– ჩემო ძვირფასო, იმის მიხედვით რომ იცხოვროს ადამიანმა, რომ ადაპტაცია გააკეთოს ყველა დროში, მაშინ განთავსლაფის დასხმას, ასეთ ცხოვრებას — რა ვქნათ, გავუძლოთ, ეგება, ხვალ უკეთესი იყოსო. კაცო, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ მე ვამბობ იმას, რაც არის სიმართლე! თუ უნდათ დადგნენ ამ სიმართლესთან. შეიძლება ამ სიმართლის გულისთვის „ნაციონალების" დროსაც ბევრი მომხვედრია ცხვირში და ვერ ამიწყვია ჩემი ოჯახური ცხოვრება იმ თვალსაზრისით, რომ მატერიალურად არ ვყოფილვარ ნორმალურად, შეიძლება ამ ნების" ბრალი და არა „ნაციონალური მოძრაობის". „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაინახა, რომ ხვრელი აქვს და შეიძლება, რომ რაღაც ცუდი გააკეთოს და ქმედება დაიწყო. კი, ბატონო, აქამდე როგორღაც მოვიდნენ, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი შეიძლება აჯაფსანდალივით ისე აურიონ, რომ მოხდეს საშინელება და ჩვენს ქვეყანაში დაპირისპირება მოხდეს. „ოცნებას" სცემდა ხალხის ნაწილი პატივს, მაგრამ ახლა აღარ სცემს; აი, ამათ გარ-



# სადაცაა ხელისუფლება ქუდს დაიხურავს და წავა გამოტენილი ჯიბეებით სახლში... უნდა შერჩეს?

თქვენ სამუშაო ადგილზე ის ხალხი არ დანიშნეთ, ვინც თავის დროზე მართლა თავი გაწირა, ჩვენ თქვენი იმედი გვქონდა, ბოლომდე გაგილელეთ, ჩაგისვით გულში, მაგრამ ვერაფერი ვერ გააკეთეთ სამაგისოდ", – განაცხადა კორკოტაშვილმა.

რთულია, არ დაეთანხმო ამ ადამიანს... ლამის, ძაღლის ყბა გამოგვაბეს უკვე „მეოცნებეებმა" იმის ძახილში, რომ სამართლიანობა აღადგინონ, რომ ხალხს „ნაციონალების" დროს წართმეული ქონებები დაუბრუნონ, რომ მოსახლეობის დაკვეთა სულაც არ იყო „ნაციონალებთან" კოჰაბიტაცია და ეს მარაზმი, ბოლო-ბოლო, დაასრულონ, მაგრამ ესმის ვინმეს? — არავის! ამ წინასაარჩევნო პერიოდში ხომ საერთოდ გადავიდნენ ჭკუიდან — ყველა იმაზე ფიქრობს, რომელ მათგანს დატოვებს ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო სიაში და ხალხის ყოფაზე ფიქრში ახლა გაათევენ ღამეებს? მეტი არაა ჩემი მტერი...

სხვავებული ადამიანები აღარ იქნებოდნენ და აზრი აღარ ექნებოდა არაფერს. ჩემი შიდა კონსტრუქცია ასეა მოწყობილი, რომ უსამართლობას, ან ადამიანების არასწორ საქციელს რომ ვხედავ, პროტესტი მიჩნდება. იმიტომ არა, რომ მე ან ფრთიანი ანგელოზი ვარ, ან რამე... მაგრამ ვიღაცას რომ აბარია და ამხელა ტვირთი რომ აქვს აღებული თავის თავზე, რასაც ქვეყნის მართვა ჰქვია, ცოტა მეტი უნდა გატოკდეს და გაინძრეს! თუ ვერ ტოკდება და ვერ ინძრევა, მანდ არის ორი ვარიანტი: ჰგონია, რომ ასეა სწორი და მაგიტომ აკეთებს, ან მეორეა – შეეგუა ხალხის სიმხდალეს, რომ სიმართლე თქვას და მაგიტომ აკეთებს. ადამიანში სადღაც სულ წყდება ხოლმე ეს ძაფი, რა და სიმართლე სულ იმარჯვებს. ხანდახან უკვე შიგნიდან გამოდის ყველაფერი და ადამიანი ამბობს, რომ სიმართლე უნდა ვთქვაო, თორემ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე შეჩვეულია ამ „ოცნების" დროსაც ასეა და მე მატერიალური ცხოვრება ვერ დავალაგე, რადგან არ ვიცი თავზე ვაზელინის წასმა და ვინმესთან შეძრომა, მაგრამ... ვისაც უნდა დადექით სიმართლესთან, ვისაც გინდათ თავლაფდასხმულებმა იარეთ მთელი ცხოვრება, რა...

**— ფაქტია, „ოცნების" ხელისუფლებამ მარტო თავისი ოცნებები შეასრულა.**

– ეგ ყველაფერი ძალიან ზუსტად აქვს აღწერილი იმ სულით ცხონებულ ადამიანს, ჯავახიშვილს, თავის „ჯაყოს ხიზნებში", რა. იქ არის ჩვეულებრივი კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ იქცევა ოჯახის უფროსი. თუ ოჯახის უფროსი ვერ დადგა ისე, როგორც საჭიროა, ესე გაგრძელდება ყოველთვის. მე მაგას მოვუწოდებ სწორედ — სადღაცა ეს შემოსილი სიტყვა „დემოკრატია" ჩვენთვის უნდა დამთავრდეს, რადგან თავხედობა არის ყველაფერი ჩვენს ცხვირწინ. დღეს ან ხვალ თუ რამე არეულება მოხდა, ეს არის „ოცდა არის კიდევ საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს სუფთა ქართულ ინტერესებს, შვილის ნორმალურ აღზრდას, მამა-პაპის ძვლების გახსენებას, საფლავზე გასვლას, აღდგომის დღესასწაულს, ბიჭობას, გოგოობას, ჩვეულებრივ ქალვაჟის ქორწინებას — ასეთ რამეებს სცემს პატივს ხალხის ეს ნაწილი და ახლა მაგათმა თუ არ გაიღვიძეს, მაშინ დაიხურონ ლეჩაქი, ძმაო და მოაყვანინონ თავის ბიჭებს ბიჭები ცოლად და ეგ იქნება, რა!

**— თქვენი ნათქვამი გამახსენდა, თუ ხელისუფლება ხალხის აზრს არ შეისმენს, პასუხი უნდა მოეთხოვოთო. აქციის მოწყობას ხომ არ აპირებთ, უნდა შერჩეს ხელისუფლებას ხალხის აბუჩად აგდება?**

– ასეა თუ ისე, დღეს ხელისუფალი „ოცნებაა", მე შეიძლება კრიტიკული ვიყო მათ მიმართ, მაგრამ ბოლომდე უნდა დავაცადოთ და დანარჩენი, თუ ისე არ მოხდა, როგორც უნდა იყოს წესით და რიგით, ეს უკვე ხალხის ნებაა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მწვანე კონცხზე მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ქონება იყო და 2015 წელს გაიყიდა - აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განმარტება



აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მწვანე კონცხზე მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით განმარტებებს აკეთებს. ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის უფროსის ზურაბ ჭურკვეიძის განცხადებით, მწვანე კონცხზე არსებული 2,5 ჰექტარის მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ქონება იყო, რომელიც 2015 წელს პირობიან აუქციონზე გაიყიდა.

– უძრავი ქონება იყო აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრება. დაინტერესებული ფირმის „ბიზნეს დეველოპმენტის" განაცხადის საფუძველზე მოხდა მისი დამოუკიდებელი აუდიტის მიერ შეფასება და გატანილ იქნა პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე. საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა არანაკლებ 150-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა, ღია და დახურული ტიპის საცურაო აუზების მოწყობა, კვების ობიექტების მოწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. უნდა გაკეთდეს ასევე, გამაჯანსაღებელი სპაცენტრები. არანაკლებ 30 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს 3 წლის ვადაში. 2015 წლის ნოემბერში გაიყიდა და ნასყიდობის საფასური 1 678 330 ლარია, - აღნიშნა ზურაბ ჭურკვეიძემ.

ჭურკვეიძის განცხადებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ბოტანიკური ბაღის მომიჯნავედ არ მდებარეობს, მათ შორის კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიებია, სადაც ხალხი ცხოვრობს. რაც შეეხება ბათუმის უნივერსიტეტის შენობას, ჭურკვეიძის განცხადებით, ის არ გაყიდულა და ბათუმის უნივერსიტეტის სარგებლობაშია. (pirveli radio)

## უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოსა და უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის დაუყოვნებლივ მიცემას ითხოვს



უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პეტერ სიიარტო უკრაინისა და საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მიცემას ითხოვს. ამის შესახებ ინფორმაციას რადიო „თავისუფლება" ავრცელებს.

– უკრაინამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი. როდესაც მე ვამბობ „დაუყოვნებლივ", სწორედ ამასვე ვგულისხმობ! მე არ მაქვს მხედველობაში ინსტიტუციონალური კუთხე, არამედ ის, რომ ვამბობ - დაუყოვნებლივ. უკრაინამ და საქართველომ შეასრულეს ყველა მოთხოვნა და ამიტომ უვიზო რეჟიმი მათ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიეცეთ, - განაცხადა სიიატრომ რადიო „თავისუფლებასთან" ინტერვიუში, ვიშეგრადისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დასრულების შემდეგ. (ინტერპრესნიუსი)

## ანდრეი კელინი: ნატოს ბატალიონების განლაგებაზე რუსეთი „გარკვეულ საპასუხო ზომებს" მიიღებს



პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატოს ოთხი დამატებითი ბატალიონის განლაგებაზე საპასუხოდ, რუსეთი იძულებული იქნება „გარკვეული საპასუხო ზომები" მიიღოს.

ამის შესახებ რუსულ სააგენტო „ინტერფაქსს" რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ანდრეი კელინმა განუცხადა.

– ეს იქნება სამხედრო ძალის ძალიან საშიში ზრდა ჩვენი საზღვრების სიახლოვეს. ვშიშობ, ამას დასჭირდება გარკვეული საპასუხოდ ზომები, - განაცხადა კელინმა. (ინტერპრესნიუსი)

## მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე ივანე კიღურაძემ ელიზბარ ჯაველიძეს „მოსყიდული" უწოდა

– ეს კანონპროექტი პარლამენტში იმიტომ გააქვთ, რომ გიორგი კვესიტაძე და როინ მეტრეველი თანამდებობიდან გადადგნენ, - ამის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ განაცხადა, რომელიც „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს გამოეხმაურა.

ელიზბარ ჯაველიძემ კანონპროექტით გათვალისწინებული სტიპენდიის ინსტიტუტის შესაძლო დაწესება გააპროტესტა და განაცხადა, რომ ამით წევრ-კორესპონდენტის სტატუსით გარდაცვლილი ქართველი მეცნიერების უგულებელყოფა მოხდება. ელიზბარ ჯაველიძემ ასევე მიმართა დარბაზში მყოფ პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს ივანე კიღურაძეს და განაცხადა, რომ იგი ეროვნული აკადემიის წინააღმდეგაა.

– აქ არის შეთქმულება, ოთხი წელია ივანე კიღურაძე ებრძვის ეროვნულ აკადემიას. მას აქვს ნათქვამი, რომ სანამ კომიტეტის თავმჯდომარეა, აკადემიიდან არც ერთი წინადადება პარლამენტში არ გავა, - განაცხადა ელიზბარ ჯაველიძემ.

ივანე კიღურაძემ ელიზბარ ჯაველიძეს „მოსყიდული" უწოდა. ასევე, ელიზბარ ჯაველიძის განცხადებამ დარბაზში მყოფი გოგი ჩაგელიშვილი გააღიზიანა, რომელმაც ჯაველიძის გამოსვლას „დემაგოგია" უწოდა. თავის მხრივ ელიზბარ ჯაველიძემ ჩაგელიშვილი „დესანტად" მოიხსენია. ჩაგელიშვილისა და ჯაველიძის შეკამათება სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. იყო ფიზიკური შეხლა-შემოხლის მცდელობაც. ისინი აკადემიის სხვა წევრებმა შეაჩერეს. (ინტერპრესნიუსი)

## „პრეზიდენტს უნდა აჩვენოს, რომ პრემიერ-მინისტრზე უფრო მაგარია“



ოპოზიცია ხელისუფლებას მიმართავს დროულად მიიღოს გადაწყვეტილება საარჩევნო კამპანიის საკითხზე და უმოკლეს პერიოდში გამოაცხადოს თარიღი. რაც შეეხება უმრავლესობას, ისინი პრემიერის მოსაზრებას იზიარებენ და მიაჩნიათ, რომ 8 ივლისი ყველაზე ოპტიმალური დროა, რადგან სამი თვე სრულებით საკმარისია.

– პრემიერის ინისციატივა სამი თვით ადრე გამოაცხადოს არჩევნების თარიღი, მე მიმაჩნია, რომ სავსებით საკმარისია ეს ვადა. გამომდინარე აქედან, მე მაინც მგონია, რომ პრეზიდენტი ცოტა ნაკლებად თუ იჯიუტებს, კარგი იქნება. ეს უფრო არა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე ხდება, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, არამედ უნდა აჩვენოს, რომ პრემიერ-მინისტრზე უფრო მაგარია. ასეთი კინკლაობა საქმეს არ წაადგება, - აცხადებს თამაზ მეჭიაური. (პირველი რადიო)

## ლადო ბედუკაძის გეორგიევსკის ბაფთა




ლადო ბედუკაძემ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე პროფილის სურათად გეორგიევსკის ბაფთა დააყენა.

– მონობაში განსხვავებას ვერ ვხედავ, ვის ემონები საბჭოეთს (თუმც ნებით არ დავმონებულვართ!) თუ „დემოკრატიულ“ ჯოჯოხეთს - აშშ-ს. დღეს კი სწორედ რომ ნებსით ვიმყოფებით მონობაში და ამას „თავისუფლებას“ ვეძახით. ვისაც აშშ კეთილ მტრედად, თქვენი უფლებების და თავისუფლებების გარანტად, ჩვენი ტკივილის გამზიარებლად მიგაჩნიათ, თქვენი ნებაა, მე ჩემი ქვეყანა მტკივა და მისი ბედი მაწუხებს. მჯერა, ადრე თუ მალე დამთავრდება ეს მარაზმი და გარკვეულწილად ჩვენ გადავწყვეტთ ჩვენს ბედს, - წერს ბედუკაძე ფოტოს კომენტარში.

გეორგიევსკის ბაფთა - რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ რუსული ოკუპაციის სიმბოლოდ იქცა. (პირველი რადიო)

## საქართველოს დელეგაციამ უეფაში კოსოვოს გაწევრიანებას მხარი არ დაუჭირა

საქართველოს დელეგაციამ უეფაში კოსოვოს გაწევრიანებას მხარი არ დაუჭირა, თუმცა კოსოვო ორგანიზაციის 55-ე წევრი მაინც გახდა. შესაბამისი გადაწყვეტილება ბუდაპეშტში უეფას კონგრესზე გამართული კენჭისყრის შედეგად მიიღეს.

სფფ-ს ინფორმაციით, კოსოვოს უეფაში გაწევრიანებას მხარი არ დაუჭირა 24-მა ქვეყანამ და მათ შორის იყო საქართველო, ხოლო წევრობას 28 ქვეყნის ფედერაციამ მისცა ხმა. (პირველი რადიო)

## ზაზა ხატიაშვილი შალვა რამიშვილის საქმესთან დაკავშირებით ეფექტურ გამოძიებას მოითხოვს

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ჟურანლისტ შალვა რამიშვილის საქმესთან დაკავშირებით ეფექტურ გამოძიებას მოითხოვს.

ადვოკატთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ შალვა რამიშვილის მიერ წარმოდგენილი მომოწერა ტელეკომპანია „იმედის" დირექტორთან, სავარაუდოდ, კანონდარღვევებს შეიცავს. კერძოდ, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლასა და პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, ან პერსონალური მონაცემების ხელყოფას.



ადვოკატთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ ჟურანლისტ შალვა რამიშვილზე „განხორცილებული ზეწოლის ფაქტის გამოძიება დაიცავს სხვა ჟურანლისტებს ანალოგიური ზეწოლისგან“.

– რამდენიმე დღის წინ, ტელეკომპანია „იმედის" ერთ-ერთმა სახემ, ცნობილმა ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ მასზე, როგორც ჟურნალისტზე, ტელეკომპანია „იმედის" დირექტორის გიორგი ბახტაძის მიერ განხორციელებული ზეწოლის ფაქტს ადასტურებს. საზოგადოებას შევახსენებ, რომ ჟურნალისტ რამიშვილზე განხორციელებული ზეწოლა უკავშირდებოდა ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური წარსულის მქონე პიროვნების, ლევან მურუსიძის სავარაუდო ლობირებას ტელეკომპანია „იმედის" დირექტორ გიორგი ბახტაძის მხრიდან. მაშინ, როდესაც სამოქალაქო სექტორი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან ვითხოვდით ხმა არ მიეცათ ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნისთვის, ტელეკომპანია „იმედის" დირექტორი, ჟურნალისტ შალვა რამიშვილის განცხადებით, ლევან მურუსიძეს ლობირებდა, რაც გამოუძიებელი არ უნდა დარჩეს.

ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა რამდენიმე დღის წინ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მასზე, როგორც ჟურნალისტზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტზე გამოძიება მოითხოვა. მან პროკურატურას მისი და გიორგი ბახტაძის მიმოწერა წარუდგინა. ტელეკომპანია „იმედის" დირექტორი გიორგი ბახტაძე არ უარყოფს მიმოწერას შალვა რამიშვილთან და აღნიშნულს ჩვეულებრივ კომუნიკაციად მიიჩნევს.

მოვითხოვ, სასწრაფოდ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, ვინც ჟურნალისტ შალვა რამიშვილის მიმართ ზეწოლას ახორციელებდა და ღიად ერეოდა მის ჟურნალისტურ დამოუკიდებლობაში. მოვითხოვ, სასწრაფოდ დაიკითხოს ტელეკომპანია „იმედის" დირექტორი გიორგი ბახტაძე, რომელმაც უნდა ახსნას, რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ მოწვეული ტელეკომპანიის ეთერში ლევან მურუსიძის მიმართ კრიტიკულად განწყობილი პირები: ზაზა ხატიაშვილი და საიას წარმომადგენლები. მოვუწოდებ პროკურატურას, სასწრაფოდ გაარკვიოს საიდან ჰქონდა ინფორმაცია ტელეკომპანია „იმედის" დირექტორს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრების შესახებ, რომლებიც უნდა მიეწვია ჟურნალისტ შალვა რამიშვილს თავის გადაცემაში, კონკრეტულად თამარ ალანია, მერაბ გაბინაშვილი, დიმიტრი გვრიტიშვილი, გიორგი ტყავაძე. საიდან იცოდა გიორგი ბახტაძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ტელეფონის ნომრები. საიდან იცოდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები დაუსვამდნენ თუ არა კრიტიკულ კითხვებს ლევან მურუსიძეს. ვის უკავშირდებოდა ტელეფონით ტელეკომპანია „იმედის" დირექტორი, შალვა რამიშვილთან მიმოწერის მომენტში და ვისგან იღებდა დირექტივებს.

შალვა რამიშვილის მიერ წარმოდგენილი მომოწერა ტელეკომპანია „იმედის" დირექტორთან, სავარაუდოდ, შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლის (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხლით (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

ჟურანლისტ შალვა რამიშვილზე განხორცილებული ზეწოლის ფაქტის გამოძიება დაიცავს სხვა ჟურანლისტებს ანალოგიური ზეწილისგან. თუ პროკურატურა არ გამოიძიებს შალვა რამიშვილის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტს, მაშინ ჟურნალისტებთან ანალოგიური ურთიერთობა დასაშვებად ჩაითვლება, რაც ქვეყანაში დამოუკიდებელი ჟურნალისტის ინსტიტუტს მოსპობს, - ნათქვამია ადვოკატთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ელისაშვილი: ივანიშვილი ჩვეულებრივი „ტიპია“, მაგრამ სახელმწიფო მის დაკრულზე ცეკვავს



– როგორც სააკაშვილის ხუშტურებს ასრულებდა ყველა, ისეა ახლა ივანიშვილზე. ეს კიდევ უფრო მძიმე შემთხვევაა. სააკაშვილი პრეზიდენტი მაინც იყო, - ამის შესახებ საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა, ალეკო ელისაშვილმა გადაცემა „რვიანში“ ოქროყანის ტერიტორიის 29 ჰექტარის გაყიდვაზე საუბრისას განაცხადა.

ელისაშვილის თქმით, ივანიშვილი იმ ტერიტორიებს ღობავს თავისთვის, რომელსაც აივნიდან დაინახავს და მოეწონება.

– რა აუცილებელი იყო, რომ ეს ტერიტორია გაყიდულიყო? აუქციონი სამართლიანად ჩატარდაო, მერე რა, საერთოდ რატომ უნდა გაყიდულიყო ეს ტერიტორია? დაათვალიერეთ თბილისის მწვანე ტერიტორიები „გუგლის“ რუკიდან. მხოლოდ ნაგლეჯები დარჩა მწვანე სივრცეების. ეს იყო საშვილიშვილო სივრცე, სადაც კომუნისტები მიდიოდნენ, აფეთქებნდნენ და ისე რგავდნენ შავ ფიჭვს. რატომ უნდა გაყიდონ და სასტუმრო რატომ უნდა ააშენონ იქ?!

ივანიშვილს, ალბათ, ლილო არ უნახავს, ნორიოს მაღლა ავიდეს, ან ქვემოთ ჩავიდეს, წალკა ნახოს, რამხელა ტრამალებია და შემოღობოს, რაც უნდა, ის აკეთოს. მაინცდამაინც ძველ თბილისში დარჩენილ ნაფლეთებში რატომ უნდა ყველას რაღაცის გაკეთება?! ეს არის ჩემთვის გაუგებარი.

როგორც სააკაშვილის ხუშტურებს ასრულებდა ყველა, ისე ახლა ივანიშვილზე. ეს კიდევ უფრო მძიმე შემთხვევაა. სააკაშვილი პრეზიდენტი მაინც იყო და რაღაც სახელისუფლებო ვერტიკალში მაინც ჯდებოდა და ბიძინა ივანიშვილი არის ერთი ჩვეულებრივი ტიპი, მაგრამ მის დაკრულზე ცეკვავს მთელი სახელმწიფო, - განაცხადა ელისაშვილმა. (ipress.ge)

## ცხინვალის რეჟიმი საქართველოს სამი მოქალაქის დაკავების შესახებ იუწყება

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი საქართველოს სამი მოქალაქის დაკავების შესახებ იუწყება. სააგენტო „რესი" ე.წ. უშიშროების კომიტეტზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმად, ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის დაკავება 3 მაისს განხორციელდა. დაკავებულები გორის, სოფელ ტახტიძირისა და ქვრინისის მცხოვრებლები არიან.

– ამ დროისთვის განიხილება საკითხი მათი საქმეების სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ, - განაცხადეს დე ფაქტო უწყებაში. მათივე ინფორმაციით, 2 მაისს საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს, რომელთაგან 2 თბილისის მცხოვრები იყო და ჯარიმის გადახდის შემდეგ, ე.წ. რესპუბლიკის ტერიტორია დაატოვებინეს.

ოსური მხარე ირწმუნება, რომ ეს ადამიანები ქართულ მხარეს 3 მაისს ცხინვალი-ერგნეთის პუნქტზე გადასცეს. (ინტერპრესნიუსი)

## დავით დარჩიაშვილი: ორი უწყების ასეთი არაკოორდინირებული მუშაობა მაფიქრებინებს, რომ ეს არის საზოგადოებაში ნიჰილიზმის განმტკიცების მცდელობა



ორი უწყების ასეთი არაკოორდინირებული მუშაობა მაფიქრებინებს, რომ ეს არის ხელისუფლების უნიათობა ან საზოგადოებაში ნიჰილიზმის განმტკიცების მცდელობა, - ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დავით დარჩიაშვილმა საარჩევნო სიებთან დაკავშირებით საუბრისას, „PALITRANEWS“-ის გადაცემაში „360 გრადუსი“ სტუმრობისას განაცხადა.

მისი თქმით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აიღოს პასუხისმგებლობა და ისაუბროს ამომრჩეველთა რეალური რაოდენობის შესახებ.

– მე მიჩნდება აზრი, რომ ორი უწყების ასეთი არაკოორდინირებული მუშაობა, მაფიქრებინებს ორ რამეს - ერთი ეს არის უნიათობა ხელისუფლების, მათ შორის საარჩევნო პორცესების მართვის სფეროში და მეორე არის ის, რომ არ გამოვრიცხავ შეგნებულად ავრცელებდნენ ასეთ მესიჯებს, რომ ნაკლები იყოს საზოგადოებაში არჩევნების გზით ცვლილებების მოლოდინი და განწყობა და ამ გზით ამომრჩეველში განამტკიცონ ნიჰილიზმი. მთავარი პრობლემა არის ის, რომ 2012 წლის დაპირებები არ შესრულდა, შესაბამისად, საზოგადოებაში არის უზარმაზარი ფრუსტრაცია, - განაცხადა დავით დარჩიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტში სუს-ის წლიური ანგარიშის მოსმენა შესაძლოა, დახურულ რეჟიმში გაიმართოს



საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ანგარიშის წარდგენა შესაძლოა, დახურულ ფორმატში წარიმართოს.

ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი საუბრობს.

ვოლსკის განმარტებით, სუს-ის ანგარიშის საკომიტეტო მოსმენისას დეპუტატების მხრიდან დაისვა კითხვა, რომელსაც პასუხი დახურულ რეჟიმში უნდა გაეცეს.

– მოხსენების ძირითადი ნაწილი ჩვენ კომიტეტზე მოვისმინეთ. იყო კრიტიკული შენიშვნები. ვფიქრობ, მოხსენების ძალიან დიდი ნაწილი დახურულ რეჟიმში უნდა იყოს განხილული, გამომდინარე იმ შეკითხვებიდან, რაც დეპუტატებს კომიტეტის სხდომაზე ჰქონდათ, - აცხადებს ვოლსკი.

ცნობილია, რომ ვახტანგ გომელაური ამ დროისათვის სამუშაო ვიზიტით გრძელვადიან მივლინებაში იმყოფება. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი მზადყოფნას გამოთქვამს, საკანონმდებლო ორგანოში წლიური ანგარიშით წარსდგეს. (ნიუპოსტი)

## ცისკარიშვილი: ერთი კაცის აღვირახსნილი ახირებების წინააღმდეგ ბრძოლა იწყება



„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი პეტრე ცისკარიშვილი აცხადებს, რომ აუქციონზე გაყიდული 29 ჰექტარი რეალურად ბიძინა ივანიშვილმა შეისყიდა. მისივე თქმით, ივანიშვილმა მიწა საბაზრო ღირებულებაზე 4-5-ჯერ ნაკლებ ფასში იყიდა.

– თანაინვესტირების ფონდი არის ფინანსური და კომერციული ინსტრუმენტი ბიძინა ივანიშვილის ხელში, მან შეიძინა ეს მიწა, 10 დოლარად შეიძინა ერთი კვადრატული მეტრი, რაც ამ მიწის საბაზრო ღირებულებაზე 4-5-ჯერ ნაკლებია.

პარლამენტში ჩვენ ვეცდებით, რომ მოვიწვიოთ გარემოს დაცვის კომიტეტი და იქ იყოს ამაზე მსჯელობა, ასე რომ ბრძოლა მხოლოდ იწყება, ამ ერთი კაცის აღვირახსნილი ახირებების წინააღმდეგ, -განაცადა პეტრე ცისკარიშვილმა. (ipress.ge)

## ამერიკული — აბრამსები საქართველოსკენ მოემართებიან



აშშ-ის შეიარაღებული ძალების ტანკები „აბრამსები“, ასევე, შეჯავშნული საბრძოლო მანქანები „ბრედლი" უკვე საქართველოსკენ მოემართება. მათთან ერთად საქართველოში 650 ამერიკელი ჯარისკაცი ჩამოვა.

ამერიკული სამხედრო ტექნიკა საქართველოში სამხედრო წვრთნის „ღირსეული პარტნიორის" ფარგლებში ჩამოდის.

ამერიკელი სამხედროების გარდა, წვრთნებში მონაწილეობას მიიღებს 500 ქართველი და 150 ბრიტანელი სამხედრო. (news.ge)

## 50 წლის მამაკაცი ქალის გინების გამო დააკავეს



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გარიყულაში მცხოვრები 50 წლის მამაკაცი ქალის გინების გამო დააკავეს.

მოსამართლე ნინო შარაძემ ადმინისრაციული წესით დაკავებულ პიროვნებას სიტყვიერი გაფრთხილება მისცა და მოუწოდა, რომ მსგავს სიტუაციაში მომავალში ნერვები და გრძნობები მოთოკოს.

სოფელ გარიყულაში 2 მაისს მომხდარი ინციდენტი სასამართლოში განიხილეს. საქმე ის არის, რომ ქალბატონი, რომლის გინების გამო პოლიციამ პიროვნება დააკავა, გზაზე მანქანით გადაადგილდებოდა.

შეამჩნია, რომ გზის სავალ ნაწილზე თანასოფლელის მანქანა არასწორად იდგა და მეორე მანქანის მძღოლის ძებნა დაიწყო.

– ოჯახში ვიყავი, ნასვამი, ამ დროს მეძახის ქაბატონი, მანქანა ვისია, გადააყენეთო, გავიხედე, ჩემი მანქანა იდგა, ქალბატონი კი ჩემი თანასოფლელი აღმოჩნდა. გამიკვირდა, მანქანის გადაყენებას რატომ მთხოვდა. იქ, სადაც გავლა უნდოდა, ნანა კი არა, კიდევ ხუთი კაცი გაეტეოდა მანქანებით. ნასვამი ვიყავი, მანქანა არ გადავაყენე და სწორედ ამ მიზეზით არ დავჯექი საჭესთან. მერე შემოვიდა ოჯახში და გამლანძღა, მარტო ლანძღვაც არ იკმარა, მაგინა ქალმა და ამას როგორ მოვუთმენდი, ავდექი და მეც ვაგინე, რაზეც ახლა თქვენს წინაშე ბოდიშს ვიხდი, ბატონო მოსამართლევ, - მიმართა მოსამართლე ნინო შარაძეს მამაკაცმა.

სასამართლოზე პოლიციელმა დაკავებული დადებითად დაახასიათა.

– ბატონო მოსამართლე, მე მეკუთვნის ის ზონა, სადაც ეს ადამიანი ცხოვრობს, ხშირად მიწევს მორიგეობა და მინდა აღვნიშნო, რომ ეს პიროვნება სხვა დროს მსგავს სიტუაციაში არ შემინიშნიშნავს, სოფელშიც დადებით პიროვნებად ხასიათდება. რაც შეეხება მომხდარს, ეს ადამიანი არ ტყუოდა, ის ქალბატონი, რომელიც მანქანის გადაყენებას ითხოვდა, თავისუფლად გაივლიდა ისე, რომ მანქანას არაფერი დაუშავდებოდა, მე თვითონ, ჩემი თვალით ვნახე ის ადგილი, - თქვა პოლიციელმა. (qartli.ge)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# რასაც „ალია“ წერდა, ერთ-ერთში ასრულდა...

## რაში გამოიჭირეს კულტურის მინისტრი?





კულტურის სამინისტროს მიერ წამოწყებული პროექტი Chek in Georgia მორიგ სკანდალში ეხვევა. კულტურის მინისტრის მიხეილ გიორგაძის ინტერესთა კონფლიქტსა და ნეპოტიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორც ცნობილი ხდება, პროექტის ორგანიზატორების მხრიდან ბიზნესმენების მიმართ ზეწოლა მიმდინარეობს, რათა რამდენიმე მილიონი უანგაროდ სთვის გეტყვით, რომ წინა წლებში ჯაზფესტივალის ხარჯები 600 000 ლარს შეადგენდა. ამ ყველაფერს აკეთებენ ცინიკურად. ხალხის თვალწინ, ყველას დასანახად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში. ფიქრობენ, რომ ეს მათ საარჩევნო კამპანიას წაადგება. საარჩევნო კამპანიის დახმარებას ფიქრობენ რამდენიმე კუთხით, ერთი მხრივ, რომ ამ კონცერტებითა და მსგავსი ღონისძიებებით განწყობას ფლანგავენ, ესეც არ იკმარეს და ადამიანებს აიძულებენ, საკმაოდ სოლიდური თანხები გაიღონ, კეთილი ნებით შესწირონ სახელმწიფოს თავიანთი ნაშოვნი ფული.

**— რა თანხაზეა მთლიანობაში საუბარი?**

– ჯამში, 5 მილიონამდე, ზრდიან და ზრდიან ორგანიზატორები ბიუჯეტს, ასეთი უტიფრობა უკვე მართლა სირცხვილია. მაპატიეთ ახლა მეტს ვეღარ ვისაუბრებ ამ თემაზე.

ჯიბეებს, ეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, თუმცა მინისტრის მიერ ნეპოტიზმისა თუ თანხების არაგამჭვირვალობის დადასტურება რომ ხელისუფლებისა თუ შუშის სასახლის ბინადარის წყრომას არ იწვევს, ძალიან საეჭვოა. მით უმეტეს, კარგად მოგვეხსენება, რომ „ბატონ ბიძინას“ ფინანსების კონტროლი ძალიან უყვარს და თუ თავისი თუ პირადი ინტერესები და კეთილგანწყობა არ აქვს მინისტრის მიმართ, არავის არაფერს „პატიობს“. „კაბელებისა“ და მოახმარონ პროექტის ფარგლებში გასამართ ფესტივალებს. ყოველ შემთხვევაში ამას ამტკიცებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პეტრე ცისკარიშვილი.

„ალია“ წინა ნომრებში საბიუჯეტო თანხებიდან, 29 მილიონის გარდა, კულტურის სამინისტროს მხრიდან ბიუჯეტიდან დამატებით ხუთ მილიონიან მოთხოვნაზე კულუარული ინფორმაციის საფუძველზე წერდა. როგორც ჩანს, ესეც გამართლდა, თუმცა ცისკარიშვილის ინფორმაციით, პრემიერმა კვირიკაშვილმა მხოლოდ სამი მილიონი გამოუყო დამატებით კულტურის სამინისტროს.

როგორც პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, გარდა იმისა, რომ ბიზნესმენებს ავიწროებენ და ბიუჯეტიდან ფულს ფლანგავენ ხელისუფლების წარმომადგენლები, პროექტი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კეთდება, რასაც ამომრჩევლის ირიბ მოსყიდვად მიიჩნევენ.

„პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განკარგულებით, პროექტის ღირებულებას 3 მლნ ლარი დაემატა. ასევე, ცნობილი გახდა, რომ ბილეთებიდან შემოსული თანხა ამავე ჯგუფების ხარჯების დაფარვას მოხმარდება. ასევე, გვაქვს ახალი ინფორმაცია, რომ ჯაზფესტივალის დაფინანსების ფონდი 2 მილიონი უნდა ყოფილიყო და ახლა 2 მილიონნახევარს გადასცდა. შედარებიაამაღლებენ და მეორე იმ თვალსაზრისით, რომ ის ჯგუფები, ვინც საორგანიზაციო საკითხებში იქნებიან ჩართული, დაფინანსებას მიიღებენ და ეს ირიბი მოსყიდვაა მათი.

**ასევე, აწუხებენ ბიზნესმენებს რომ ისინი უსასყიდლოდ ჩაერთონ ამ პროცესში და დაფინანსება უანგაროდ გამოუყონ“, — განაცხადა ცისკარიშვილმა.**

**„ალია“ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატს დეტალების დასაზუსტებლად დაუკავშირდა და შევიწროებული ბიზნესმენების ვინაობის დაკონკრეტება სთხოვა. ასევე, დავინტერესდით, რა თანხაზეა საუბარი, რომლის „შეწირვასა“ თუ „შეწერვას“ ბიზნესმენებს სთხოვენ:**

**— ბატონო პეტრე, თქვენ შევიწროებული ბიზნესმენების დასახელებისგან თავი შეიკავეთ და ასე სიტყვაზე უნდა გენდოთ? არ გვეტყვით, ვინ არიან?**

– თავი ერთადერთი მიზეზით შევიკავე, მე არ მაქვს თქმის პრობლემა. უბრალოდ, ამ ადამიანებს არ უნდათ ვინაობის გამხელა, შიშის ფაქტორია, მაგრამ რაც განვაცხადე, ეს ნამდვილად ასეა. ის, რომ ბიზნესი დღეს თავისუფალია და ჩვენ დროს იყო დაშინებული და შევიწროებული, სრული ილუზიაა. გარდა იმისა, რომ ბიუჯეტიდან ამდენ მილიონს მოგვიანებით პეტრე ცისკარიშვილის ბრალდებებს კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ უპასუხა, თუმცა მას ბიზნესზე ზეწოლაზე არაფერი უთქვამს და განმარტებები მხოლოდ ხარჯებთან დაკავშირებით გააკეთა.

**„ალის“ მიერ წინა ნომრებში გამოთქმული ვარაუდიც, რომ ფესტივალებიდან შემოსული თანხები, არა ბიუჯეტში, არამედ კერძო კომპანიების მოგებაში წავა, ფაქტობრივად, დაადასტურა:**

„ჯაზფესტივალი და GEM Fest-ი დაფინანსდნენ chek in Georgia-ს ფარგლებში. ეს მოხდა იმისთვის, რომ როგორც მასშტაბის, ისე პროგრამირების თვალსაზრისით გაზრდილიყო ფესტივალები იმიტომ, რომ ყველაზე მაღალი ეკონომიკური სარგებელი რეგიონებში სწორედ ამ ფესტივალებმა აჩვენა. როგორც ბილეთებიდან შემოსული თანხები, ასევე სასპონსორო თანხები, რომელსაც ჩვენ ახლო მომავალში დავაანონსებთ, სწორედ იმისთვის გამოიყენება, რომ შემცირდეს საბიუჯეტო დაწოლა ბიუჯეტზე“, – განაცხადა გიორგაძემ.

მოკლედ, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თუ ბილეთებიდან ამოღებული მილიონობით ლარით კონკურსგარეშე გამარჯვებული კომპანიებისკენ რომ გადაიქაჩება და ადამიანების ერთი ჯგუფი რომ გაისქელებს „ტრაქტორების“ საქმემ ეს თვალნათლივ დაგვანახა. მის გარეშე რომ ბუზიც ვერსად აფრინდება მთავრობაში, ესეც მოგვეხსენება, მაგრამ წინასაარჩევნოდ ადამიანების განწყობის ასამაღლებლად და „ოცნების“ მთავრობის შესანარჩუნებლად, რას არ გაიღებს კაცი? ჩვენი თუ არა, ივანიშვილის ოცნებები ხომ სრულდება? მოუნდება? ბოტანიკურ ბაღს მიწას გადაუცვლის, კიდევ ვინ იცის, სად წავა მისი ფანტაზია, ამიტომ რაც შეიძლება მეტხანს ეცდება, „ოცნების“ ხელისუფლება შეინარჩუნოს.

მერე რა, რომ მილიონები ბიუჯეტს „შეაწერეს“?! ცოტას სხვასაც „შეაწერენ“ და მხიარულების ქარავანი დაიძრა, მშიერმუცელების გულს თუ არა, შეძლებულებისას მაინც ხომ მოიგებენ. არც ისე დიდი პროცენტია წინასაარჩევნოდ, მაგრამ რეიტინგდავარდნილი „ოცნებისთვის“ დამატებით 5-10%-იც ეტყობა რაღაცას ნიშნავს. არც ნეპოტიზმზე არავინაა ხელისუფალთაგან ხმის ამომღები, გიორგაძესთან ვალში არიან, საყდრისის აფეთქების ბრძანებაზე ხელმოწერა, ახლობლების ფესტივალებისთვის მილიონების სანაცვლოდ, არც ისე ცუდი ბარტერია. ბოლოს და ბოლოს, ხალხისთვის ოდესმე ვის რა უფეშქაშებია?! ახლა რომ გაემეტებინათ რამე?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 93 მილიონი ევრო - „ბაიერნის“ დამამშვიდებელი პრიზი




მიუნხენის „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებას ნახევარფინალურ ეტაპზე მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ბრძოლისას გამოეთიშა. მიუხედავად ამისა, გერმანელებმა ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე წელსაც საკმაოდ ბევრი გამოიმუშავეს. „ბაიერნი“ უეფასგან ბონუსის სახით 38 მილიონ ევროს მიიღებს: 12 მილიონი მონაწილეობისთვის, 7,5 მილიონი - ჯგუფიდან გასვლისთვის, 5,5 მილიონი - ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისთვის, 13 მილიონი - პლეიოფის სტადიებისთვის.

გარდა ამისა, „ბაიერნმა“ 6 საშინაო მატჩი ჩაატარა, რომლებზეც დასასწრები ბილეთებიდან დაახლოებით 30 მილიონი ევრო გამოიმუშავა. სატელევიზიო ტრანსლაციებისგან შემოსავალმა 25 მილიონ ევროს მიაღწია. ამგვარად, ჩემპიონთა ლიგაზე ჩატარებულმა 12 მატჩმა გერმანელები 93 მილიონი ევროთი გაამდიდრა.

იმ შემთხვევაში, თუ „ბაიერნი“ ფინალში გავიდოდა, ავტომატურად კიდევ 10,5 მილიონ ევროს მიიღებდა. (რეპორტიორი)

## სირიის პრეზიდენტს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თანამშრომლობაში ამხელენ



ბრიტანული ტელეკომპანია Sky News-ის ინფორმაციით, ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ საიდუმლო დოკუმენტები, რომელშიც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადისა და „ისლამური სახელმწიფოს“ თანამშრომლობაზეა საუბარი.

დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ სირიის ქალაქი პალმირა პრეზიდენტ ასადის მომხრე არმიას გარკვეული, მათ შორის, ნავთობის გაცვლის შესახებ მოლაპარაკებების სანაცვლოდ დაუბრუნდა.

ტელეკომპანიის ჟურნალისტების განცხადებით, დოკუმენტები მათ მებრძოლებისგან მიიღეს, თუმცა ინფორმაციის სანდოობა დამტკიცებული არ არის. (pia.ge)

## ეკა ბესელია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მიღებულ შემოწირულებაზე - ასეთი ტიპის ტენდენციებს ყველანი უნდა დავუპირისპირდეთ




– ასეთი ტიპის ტენდენციებს ყველანი ერთად უნდა დავუპირისპირდეთ, - ასე უპასუხა მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ ჟურნალისტების შეკითხვას, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ პარტიებს შორის ყველაზე მეტი შემოწირულების მიღებას შეეხებოდა.

დეპუტატის განცხადებით, უმჯობესი იქნება მოსახლეობის უმეტესობისთვის დასავლური ფასეულობები უფრო მეტად იყოს მიმზიდველი.

– ასეთი ტიპის ტენდენციებს ყველა ერთად უნდა დავუპირისპირდეთ და დასავლური ფასეულობები, რომელიც ქართულ იდენტობასთან სინთეზსა და თანხვედრაშია, უფრო მეტად მიმზიდველი იყოს ჩვენი მოსახლეობის უმეტესობისთვის. ვფიქრობ, ის, რაც კეთდება საგარეო პოლიტიკის კუთხით, ამას ემსახურება, ამიტომ მიმაჩნია, რომ სხვანაირად უნდა შევხედოთ ამ პრობლემას, - განაცხადა ბესელიამ.

შეკითხვაზე, „ქართული ოცნება“ „პრობლემაში“ გულისხმობს თუ არა „პატრიოტთა ალიანსს“, ბესელიამ აღნიშნა: „მე არ ვამბობ, რომ საფრთხეს წარმოადგენს "პატრიოტთა ალიანსი, თუმცა პრორუსული განწყობების კუთხით არსებული ტენდენცია მიზეზებშია დასანახი და არა ის, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ გავაიგივოთ ამ ყველაფერთან“.

მიმდინარე წლის აპრილში პოლიტიკურმა პარტიებმა შემოწირულების სახით, ჯამში, 604 747 ლარი მიიღეს. პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, გასულ თვეში ყველაზე მეტი შემოწირულება - 268 500 ლარი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ერიცხება. (ინტერპრესნიუსი)

## რუსული შოუების ტრიუმფატორი ქართველი გოგონა იურმალაზე ჩვენი ქვეყნის სახელით გამოვა



მუსიკალურ კონკურს იურმალაზე წელს საქართველოს ორი კონკურსანტი წარადგენს და ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს სახელით ორი მომღერალი იასპარეზებს.

ერთ-ერთი მონაწილე, როგორც ცნობილია, მომღერალი გიორგი ნადიბაიძეა, მეორე კი ბათუმელი გოგონა ალისა დანელია.

ალისას ქართველი მსმენელი კარგად არ იცნობს, თუმცა გოგონას რუსული მუსიკალური პროექტებიდან მაყურებელი უკვე მოხიბლული ჰყავს.

ალისა დანელია:

– მე ვარ ალისა დანელია, 23 წლის. წარმოშობით ვარ მზიანი ბათუმიდან. წელს მე მივდივარ „ახალი ტალღა 2016“-ზე, რომ წარმოვადგინო ჩვენი ულამაზესი ქვეყანა - საქართველო!

კონკურსისთვის მოსამზადებლად ჩემი ოჯახი მეხმარება. ისინი ყველანაირად მიჭერენ მხარს. მათი აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ეს ეხება მუსიკალური მასალის ამორჩევას და უკვე ზაფხულში ჩვენ მოგვამზადებს ახალი ტალღის დიდი გუნდი და პატივცემული ალექსანდრე რევზინი ჩაატარებს უდიდეს სამუშაოს თითოეულ მონაწილესთან და მოუთმენლად ველოდები ამ მომენტს.

ადრეული ასაკიდან ვადევნებ თვალყურს ამ კონკურსს და ეს პორველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს წარმოაჩენს ორი მონაწილე, მე და ქართული „ვოისის“ გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე. ძალიან მინდა ან მე ან გიორგიმ გავიმარჯვოთ. ვამაყობ ჩემი ქვეყნით, რომელიც არის მდიდარი ტალანტებით.

სოჭში ჩვენ ვიქნებით 16 მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ყველა მონაწილე არის ძალიან ძლიერი და ნიჭიერი და ყველას აქვს მოგების შანსი, მაგრამ მე გავაკეთებ ყვრლაფერს იმისათვის, რომ ჩამოვიტანო გამარჯვება სახლში, ჩემს საქართველოში!!!

დაე იყოს მუდამ მზე! (droni.ge)

## მკვდარი თაგვი და „ჯადო“ - რისი პოვნა შეიძლება ბალიშში



კომპანია, რომელიც ბალიშების წმენდას და განახლებას ახორციელებს, საკუთარ „ფეისბუკ“ გვერდზე ბალიშებში ნაპოვნი ნივთების ფოტოებს აქვეყნებს.

ფოტოებზე აღბეჭდილი ნივთები საკმაოდ მრავალფეროვანია, დაწყებული ფურცლებით, უცხოენოვანი წარწერით, დამთავრებული მკვდარი თაგვით.

ფოტოებს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგიერთი „ფეისბუკ“ მომხმარებლის აზრით, ეს ნივთები ე.წ. „ჯადოს" წარმოადგენს, ზოგიერთი კი ეჭვობს, რომ ეს უბრალოდ მარკეტინგული ხრიკია და ამით კომპანია მომხმარებლების გაზრდას ცდილობს. (ნიუპოსტი)

## „...კლიენტთან მოპყრობა და ღიმილი მაინც ისწავლონ!“





საქართველოში წელს ტურისტულ ბუმს ელიან. წლის დასაწყისიდან მიღებული მონაცემები სწორედ ამას ადასტურებს. ტურისტული კომპანიები კი სასტუმროების მეპატრონეებს მოუწოდებენ, სტუმრებს შესაფერისი მომსახურება და შესაბამისი ფასები დაახვედრონ.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, აპრილში ტურისტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. წინა თვეში 462 ათასზე მეტი ვიზიტორი ეწვია ქვეყანას, რაც 17 პროცენტიანი მატებაა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

– აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 24 საათზე მეტი ხნით დარჩენილი ვიზიტორების რიცხვი გაზრდილია 20 პროცენტით. შესაბამისად, საერთაშორისო მეთოდოლოგიით, ესენი არიან სწორედაც რომ ტურისტები. შესაბამისად, ჩვენ ჯამურად, 4 თვის განმავლობაში 15%-იანი ზრდა გვაქვს. წინა წლის აპრილში გვყავდა 394 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი, წელს აპრილში გვყავს 462 ათასი ვიზიტორი, ხოლო მთლიანად ოთხი თვის მანძილზე, თუ შარშან ჩვენ გვყავდა ანალოგიურ პერიოდში მილიონ 83 ათასი ვიზიტორი, ახლა გვყავს მილიონ 596 ათასი ვიზიტორი. თანხაში რომ გადავიყანოთ აღნიშნული ციფრი, უნდა გავამრავლოთ 700 ლარზე და, შესაბამისად 140 მილიონზე მეტია შემოსავალი ქვეყანაში, - განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

მისივე თქმით, ეს მაჩვენებლები მიუთითებს ახალ სამუშაო ადგილებსა და ვალუტის სიმყარეზე.

– ეს არის კონკრეტულად შემოსავლები ჩვენს ქვეყანაში, ეს არის შემოსავალი უცხოურ ვალუტაში, რაც აისახება კიდეც ეროვნულ ვალუტაზე. ძალიან კარგი რიცხვები გვაქვს და დარწმუნებული ვართ, მატება გვექნება შემდგომ თვეებშიც, - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, წლის დასაწყისიდან საქართველოს, თითქმის, 1,6 მილიონი ადამიანი ეწვია, რაც 2015 წლის აპრილთან შედარებით 15,4 პროცენტით მეტია.

სტუმრების რაოდენობით, ტრადიციულ სამეულში კვლავ თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი ლიდერობს, საიდანაც ვიზიტების მატებამ აპრილში — 12, 17,6 და 8,7 პროცენტი შესაბამისად, 115,9 და 105,7-105,7 ათასი შეადგინა. ტურისტების რაოდენობამ 26,7 პროცენტით მოიმატა რუსეთიდან (74 ათასამდე), ხოლო უკრაინიდან - 25,9 პროცენტით (11,7 ათასამდე). სამაგიეროდ, უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა ევროკავშირის მიმართულებით, საიდანაც აპრილში ტურისტების რაოდენობამ, პირიქით, 2,2 პროცენტით მოიკლო (18 ათასამდე).

ქვეყნების მიხედვით, ვიზიტორთა მომდევნო ხუთეულში შედის: ისრაელი (6,6 ათასი), ირანი (3,6 ათასი), პოლონეთი (3,3 ათასი), ყაზახეთი (2,5 ათასი) და გერმანია (2,3 ათასი).

ტუროპერატორები მიუთითებენ, რომ მარტო ტურისტების შემოყვანა არ არის მთავარი – აუცილებელია აქ შესაბამისი მომსახურება და ფასები დახვდეთ.

– როდესაც ტურისტი ჩამოდის, აქ ისეთი სიტუაცია უნდა დახვდეს, რომ მეორედაც დაბრუნდეს. ამაში ჩვენ სახელმწიფოს თანადგომა გვჭირდება. საჭიროა კონტროლი თუნდაც ფასებზე - საკვების ფასი არ უნდა იყოს ისე კატასტროფული, როგორც გახმაურებულ „კაზანტიპის“ ფესტივალზე იყო, სადაც ხაჭაპური 15-16 ლარი ღირდა, 40-თეთრიანი წყალი 3-4 ლარი, ხინკალი კი - 2 ლარი და ა.შ. ტურისტები ამ ფასებით გაოცებულები იყვნენ, რამაც ჩვენი ქვეყნის იმიჯს სერიოზული დარტყმა მიაყენა.

ამაში მოსახლეობას ვერ დავადანაშაულებთ. მაგრამ თუ ტურისტული ბიზნესის განვითარება გვსურს, სტუმრებისთვის შესაბამისი გარემოც უნდა შევქმნათ. გარდა ამისა, ჩვენ არა გვაქვს იმდენად გამართული ინფრასტრუქტურა, რომ ტურისტთა დიდი ნაკადის მიღება და დაბინავება შევძლოთ, - აღნიშნავს ტურისტული კომპანია „ვულქერის“ დირექტორი შალვა ციკოლია.

ტურისტულ კომპანია „ტიფლის თრეველში“ ვარაუდობენ, რომ წელს საქართველოში რუსი ტურისტების 5-10 პროცენტი წამოვა, მაგრამ თუ კარგ სერვისს არ დავახვედრებთ, შემდეგ სეზონებზე აქ აღარ ჩამოვლენ.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსებისთვის ეგვიპტე შეიძლება გაიხსნას. არის შემთხვევები, როდესაც რუსეთის მოქალაქეები ჩვენ გვიკავშირდებიან და ჩვენი მეშვეობით ყიდულობენ საგზურებს ეგვიპტის კურორტებზე. ტურისტული კომპანიები სასტუმროს ფასებზე ვართ დამოკიდებული, სასტუმროები კი, ტურისტებს ძალიან მაღალ ფასს სთავაზობენ. ხომ შეიძლება უკეთესი სერვისი შესთავაზონ, ან - ბოლოს და ბოლოს, კლიენტთან მოპყრობა და ღიმილი მაინც ისწავლონ! - აცხადებს თამაზ ჩიტაიშვილი. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული სახელმწიფო ჯარისკაცების რაოდენობით ვერც ერთ ომს ვერ მოიგებს“



თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა გადაცემა 20/30-ში სტუმრობისას განაცხადა, რომ სავალდებულო სარეზერვო სამსახურის გაუქმება აუცილებელი იყო.

ხიდაშელის თქმით, საქართველოს წარმატება არ არის ჯარიკაცების რაოდენობაში, საქართველოს წარმატების საიდუმლო არის პატარა, მაგრამ პროფესიონალ, მოქნილ, ნატოს სტანდარტების შესაბამის ჯარში.

– სპეკულაცია იმის შესახებ, რომ მე თურმე ანტისახელმწიფოებრივი საქმით ვარ დაკავებული იმ გამოწვევების ფონზე, რომლის წინაშეც საქართველო დგას, სავალდებულო სამსახურის გაუქმება ნიშნავს რაღაცის დაუკმაყოფილებლობას, ეს არის ან ძალიან ღრმა არაპროფესიონალიზმი, ან ჩვეულებრივი ტყუილი, რომელიც ახასიათებთ ქართველი პოლიტიკოსების ნაწილის. ეს არ მიკვირს, - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი თქმით, ქართული სახელმწიფო ჯარისკაცების რაოდენობით ვერც ერთ ომს ვერ მოიგებს.

– ვისთან გვაქვს ჩვენ პრობლემა, მგონი, ყველამ კარგად ვიცით, რამხელაა ის ქვეყანა, ესეც ვიცით, რამხელა ჯარი ჰყავს იმ ქვეყანას, ესეც ვიცით. საქართველოში მცხოვრები ყველა ქმედუნარიანი ქალი და მამაკაცი იარაღით ხელში რომ დადგეს, მაინც იქნება ნაკლული იმ ჯართან, რომელზეც ჩვენ ღიად და დიდ ომზე ვლაპარაკობთ. საქართველოს წარმატება არ არის რაოდენობაში, საქართველოს წარმატების საიდუმლო არის პატარა, მაგრამ პროფესიონალ, მოქნილ, ნატოს, სტანდარტების შესაბამის ჯარში, რომელსაც შემაკავებლის ფუნქცია აქვს და რომელთან დაპირპისრებაზეც ორჯერ და სამჯერ მეტად დაფიქრდებიან, ვიდრე მანამდე სხვა შემთხვევაში დაფირდებოდნენ. ეს არის ქართული შეიარაღებული ძალების წარმატების გასაღები და არა ის, რამდენი ძალით მოყვანილი ახალგაზრდა გვეყოლება, რომელსაც პრინციპში მონათმფლობელობის პირობებში ვამყოფებთ, დაცვის ფუნქციებს ვასრულებინებთ, შეიძლება 9 თვის განმავლობაში იარღთან შეხება რამდენიმე ერთეულ შემთხვევებში ჰქონდეთ მხოლოდ, შემდეგ ისინი ნეგატიური, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძალადობით უარყოფითი განწყობებით ბრუნდებიან საზოგადოებაში და შემდეგ ვრცელდება ის ამბები, რომელიც ვრცელდება. მე ვამბობ, რომ ეს არ ჭირდება ქართულ ჯარს, ეს არ ჭირდება ქართულ სახელმწიფოს, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჰაკერები მსოფლიოს ცენტრალურ ბანკებზე თავდასხმებით იმუქრებიან



ჰაკერების ჯგუფმა Anonymous-მა სერვერ „იუთუბზე“ ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც იმუქრება, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცენტრალურ ბანკებზე ჰაკერულ თავდასხმას განახორციელებენ. როგორც Anonymous-ის განცხადებაშია აღნიშნული, ჰაკერებმა საბერძნეთის ბანკზე თავდასხმა განახორციელეს, ამჯერად კი შეტევას მთელი მსოფლიოს მასშტაბით გეგმავენ.

სააგენტო „როიტერს“ ანონიმურმა წყარომ განუცხადა, რომ 3 მაისს, Anonymous-მა საბერძნეთის ცენტრალური ბანკის ვებგვერდზე ჰაკერული შეტევა განახორციელა, რასაც მცირე ხნით ბანკის მუშაობის შეფერხება მოჰყვა.

– თავდასხმა რამდენიმე წუთის განმავლობაში გაგრძელდა, მათ წარმატებით მოახერხეს ბანკის უსაფრთხოების სისტემაში შესვლა, - განაცხადა ბანკის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. (ipress.ge)

## „საკაცეზე ჯერ ის დავაწვინეთ, მერე მისი ფეხი დავდე“ - თვითმხილველი „კომედი შოუს“ მსახიობის ავარიაზე



„კომედი შოუს" მსახიობს გიორგი გოცირიძეს 27 აპრილს გვიან ღამით ბელიაშვილის ქუჩაზე, ფეხით გადაადგილების დროს მსუბუქი მანქანა დაეჯახა. როგორც ქირურგიის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, პაციენტი შოკის მდგომარეობაში შეიყვანეს, გულ-მკერდისა და მუცლის ღრუს დახურული ტრავმებით, ამასთან ერთად წვივის ძვლების მოტეხილობით. მას ორი მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა.

უბედურ შემთხვევას განათლების მინისტრის მრჩეველი, ოთარ აბესაძე შეესწრო, რომელიც იმ მომენტისთვის ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობიდან გამოდიოდა. როცა მანქანის დაჯახების ხმა გაიგო, ძირს დავარდნილი ადამიანის დასახმარებლად ერთ-ერთი პირველი მივიდა. ოთარ აბესაძემ მომხდარის დეტალები „სარკეს“ უამბო:

– დაახლოებით ღამის 11 საათიდან 12-ის ნახევრამდე შუალედი იქნებოდა. შეჯახების მომენტი არ დამინახავს, მანქანის დამუხრუჭების ხმა გავიგონე და დავინახე, შეჯახების შედეგად ადამიანი ძირს რომ დავარდა. მანქანა გავაჩერე და შევეცადე, პირველადი დახმარება გამეწია. იმ მომენტში არც ვიცოდი, ვინ იყო. ჩემი ჭკუით რაც მოვიფიქრე, ის დახმარება აღმოვუჩინე.

გონზე იყო, ადგომას ცდილობდა. თავი ჰქონდა დარტყმული, სისხლი სდიოდა. ვცდილობდი, ფეხზე არ ამდგარიყო და მისი ხელები გამეჩერებინა, არ ემოძრავებინა. რაღაცები მეც არ მახსოვს, რადგან შოკში ვიყავი. ყველაზე მძიმე დაზიანება ფეხზე ჰქონდა. საკაცეზე რომ გადავიყვანეთ, ჯერ ის დავაწვინეთ და მერე ხელში ავიღე მისი ფეხი და დავდე, მხოლოდ კანს ეკავა. გიორგის, გულის და ტვინის გარდა, თითქმის ყველა ორგანო დაზიანებული აქვს. ნაწლავები დახეთქილი ჰქონია და საკმაოდ მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა. ჯანმრთელი ბიჭია, კარგი იმუნიტეტი აქვს და იმედი გვაქვს, რომ ყველაფერს მოერევა. რაც ადამიანის ძალებსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ექიმები ყველაფერს აკეთებენ. (ნიუპოსტი)

## ევა ბარბაქაძის დასახმარებლად ანგარიში გაიხსნა

„კურიერში“ გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობ შორენა ბეგაშვილის ქალიშვილ ევა ბარბაქაძეს რეაბილიტაციის ხანგრძლივი კურსის გავლა საზღვარგარეთ ესაჭიროება, ამისთვის კი ფინანსებია საჭირო. ოჯახს ფინანსური რესურსი ამოეწურა და თანადგომას საჭიროებს.

ევას დასახმარებლად გაიხსნა საბანკო ანგარიში. ბანკი რესპუბლიკა: GE39BR000001092969-1997 მიმღები პირი — შორენა ბეგაშვილი. (ნიუპოსტი)

## ემიგრანტ შინამოსამსახურეებს და ძიძებს ევროკავშირში ოფიციალური სტატუსი მიეცემათ



შინამოსამსახურეებსა და ძიძებს, რომელთა უმეტესობა ემიგრანტი ქალია, ევროკავშირში ოფიციალური სტატუსი უნდა მიეცეთ, - შესაბამისი რეზოლუცია ევროპარლამენტმა მიიღო.

ევროპარლამენტარების რეკომენდაციით, უნდა შემუშავდეს ადვილად სამართავი მოდელები, რომლებიც დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ლეგალური ურთიერთობების დამყარებაზე იქნება ორიენტირებული. ეს კი ბოლოს მოუღებს არადეკლარირებულ და არასაიმედო დასაქმებას ოჯახებში. როგორც კანონმდებლები აცხადებენ, მსგავსი მოდელები საფრანგეთსა და ბელგიაში უკვე ფუნქციონირებს.

– შინამოსამსახურეები და ძიძები გვეხმარებიან, მივყვეთ ჩვენს კარიერას და დავტკბეთ სოციალური ცხოვრებით. მათ ვანდობთ საკუთარ სახლებს, ბავშვებსა და მშობლებს, თუმცა, თავად უჩინარი, არადეკლარირებული სოციალური იზოლაციისა და დაუცველობის მსხვერპლნი ხდებიან.

ამასთანავე, უმეტესობა ქალია, რომლებსაც საკმაოდ ხანგრძლივი სამუშაო გრაფიკი აქვთ, გამოსასვლელი დღის გარეშე, არ აქვთ სამედიცინო დაზღვევა და საპენსიო გეგმა, - განაცხადა რეზოლუციის ერთ-ერთმა ინიციატორმა, კოსტადინკა კუნევამ.

– ჩვენი ასაკოვანი მოსახლეობისა და შრომის ბაზარზე ქალების აქტიური შემოდინების გათვალისწინებით, როგორც არასდროს, გვჭირდება ისინი (შინამოსამსახურეები). ევროკავშირის წევრი ქვეყნები კი მათ უფლებას აძლევენ, იმუშავონ ჩრდილოვანი ეკონომიკისთვის, - აღნიშნა მან.

შინამოსამსახურეთა და ძიძების ღირსების შესახებ შრომის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ყველა ანტიდისკრიმინაციულ კანონში უნდა დაფიქსირდეს, მათ უფლება უნდა მიეცეთ, შევიდნენ პროფკავშირებში, - მითითებულია ტექსტში.

გარდა ამისა, ევროკავშირის ქვეყნებმა სახლში დასაქმებულები უნდა უზრუნველყონ ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვით (ისევე როგორც ბავშვები და მოხუცები), ხელსაყრელი და ლეგალური კარიერული შესაძლებლობებით სოციალური დაცვის სამსახურებში.

ევროპარლამენტარების თქმით, საჭიროა, ასევე, შინამოსამსახურეების „პროფესიონალიზაცია", რაც ხელს შეუწყობს მათი სოციალური უფლებების დაცვას. გარდა ამისა, დეპუტატებმა ევროკომისიისგან არაპროფესიონალი ძიძების სტატუსის აღიარების შესახებ კანონმდებლობის შემუშავება მოითხოვეს, რომლის თანახმად, ძიძები უზრუნველყოფილნი იქნებიან ხელფასითა და სოციალური დაცვით მანამდე, ვიდრე კვალიფიკაციას აიმაღლებენ.

– მხოლოდ ინსპექტირების ადეკვატურ მეთოდებსა და ჯარიმებს შეუძლია, შეაჩეროს ადამიანთა ტრეფიკინგი და შინამოსამსახურეების ფინანსური ექსპლუატაცია, - აცხადებენ ევროპარლამენტარები. (eugeorgia.info)

## „კონფრონტაციის პირველი მერცხლები ბერძენიშვილი და ხიდაშელი იქნებიან“



„რესპუბლიკური პარტიის“ კოალიციიდან გასვლის შემდეგ, პირველი ხმაურიანი განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა. როგორც მოსალოდნელი იყო, „რესპუბლიკელები“ ხელისუფლებასთან ოპონირებას საგარეო კურსით შეეცდებიან, ამაზევე მეტყველებს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესში სამ მცირე პრობლემას ხედავს. სამიდან ერთ-ერთი „ქართული ოცნების“ არცთუ ნორჩ ლენინელსა თუ სტალინელს უკავშირდება, რომელთა ზოგიერთი განცხადება ბრიუსელში ხვდებათ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა დავით უსუფაშვილი და კოლეგებს მიმართავს: „თუ რამე მე მეშლება, მოხარული ვარ, მიმითითონ და გამოვასწორებ ამას, მაგრამ ჩემს კოლეგებსაც ნუ ეთაკილებათ, თუ მათ ზოგჯერ შევახსენებთ, მივუთითებთ, რომ ეს განცხადებები საქართველოს მთავრობის, დღევანდელი, მისი და კიდევ მისი წინამორბედი პრემიერ-მინისტრების განცხადებებს და კურსს ეწინააღმდეგება. ნუ ექნებათ მერე გაოცებული სახეები, თუ ამის თაობაზე ჩვენ მათ მივუთითებთ იმიტომ, რომ ეს არის ქვეყნის პოზიციაზე, სახელმწიფო ინტერესებზე საუბარი“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს ცისკარიშვილი.

პოლიტოლოგის განცხადებით, სავარაუდოა, რომ მმართველ პარტიასა და „რესპუბლიკელებს“ შორის დაპირისპირების ერთ-ერთი საკითხი საგარეო ვექტორი გახდება: „ვფიქრობ, რომ შინაურ ვითარებაში უნდა განიხილოს ეს საკითხი „მეოცნებეთა“ ჯგუფმა. ძალიან დიდ კმაყოფილებას იწვევს ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ბატონი კობახიძის მიდგომები, რომელიც „მეოცნებეთა“ სიაში მოხვედრის წინაპირობებს აყალიბებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მისთვის მიუღებელია ის განცხადებები, რასაც სტალინიზმის ეფექტი ახლავს.

ერთადერთი, რასაც ბატონ რადგან საკმაოდ უხერხულად ჩაეჭიდებოდნენ სამთავრობო პორტფელებს.

„ერთადერთი რითაც შეუძლიათ, პოზიციონირება მოახდინონ, გახლავთ ის, რომ გადაბარგდნენ რადიკალურ პროდასავლურ ბანაკში და ამ ნიშნით მოახდინონ პოზიციონირება, სხვა განმასხვავებელი რა აქვს ამ პარტიას? საერთოდ, სკეპტიკურად ვუყურებ მათ პოლიტიკურ პერსპექტივას, იმიტომ, რომ ეს სეგმენტი, რასაც დასავლური ვექტორი ჰქვია, მთლიანად დაკავებულია სხვა პარტიების მიერ. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მინისტრების პორტფელებიც კი არ ეთმობათ, ამ ფონზე ძალიან ბუნდოვანია მათი პოლიტიკური მოსაზრება.

პარლამენტის თავმჯდომარეს ტონი დაუწუნეს უმრავლესობის წევრებმა, რომელთა განცხადებით, „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ ნორჩი ლენინელები და სტალინელები არ ჰყავს. ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მიიჩნევს, რომ უსუფაშვილმა, ალბათ, უნდა დააკონკრეტოს, ვის გულისხმობდა ლენინელებსა და სტალინელებში.

„ვის გულისხმობდა დავით უსუფაშვილი, ალბათ, უნდა დააკონკრეტოს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანას არავითარი დაბრკოლება არ ექნება ვიზალიბერალიზაციაზე და ძალიან ურყევი, ძალიან მკაფიო მხარდაჭერა აქვს ჩვენს ქვეყანას ევროპარლამენტისა და კონკრეტული დეპუტატების. „სახალხო პარტიიდან“ ინდივიდუალური განცხადებები, ნამდვილად ვერ მოახდენს გავლენას ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, რომელსაც უმრავლესობით მიიღებენ ძალიან მალე ევროპარლამენტში“, – განაცხადა კობახიძემ.

უკვე ნათქვამი განცხადების უკანვე წაღებას არ აპირებს ცისკარიშვილი თვლის, რომ უსუფაშვილის განცხადების ტირაჟირება არაფერს მატებს „ქართულ ოცნებას“, რადგან ყველამ კარგად იცის, ვის გულისხმობდა პარლამენტის თავმჯდომარე. მისივე თქმით, ახლა საფიქრალია, გამოცხადდება თუ არა „ქართული ოცნების“ ნაწილად „მრეწველთა პარტია“, თუ სხვა პოლიტიკური ქოლგის მოძებნა მოუწევს უფრო მშვიდი მომავლისათვის.

„არაფერი გაუგებარი და მიუღებელი არ ყოფილა ნათქვამში. თუ ვინმეს „ქართულ ოცნებაში“ ჰგონია, რომ ფრაქციის თავმჯდომარეს „ქართული ოცნების“ კოალიციიდან მიუღებლობა აქვს ნატოს წევრი თურქეთის მიმართ და ლტოლვა სტალინიზმის მიმართულებით, ეს დამაფიქრებელია იმ პოლიტიკური წრეებისთვის, რომელთათვის სულ ერთი არ არის საქართველოს პერსპექტივა. სულ რომ არაფერი ეთქვა ამ თემაზე ბატონ უსუფაშვილს, რასაკვირველია, „მეოცნებეთა“ ანგაჟირებულ გუნდს წინასაარჩევნოდ ექნება მითითება, რომ რაც შეიძლება ხშირად და მწარედ მიჭირხვნონ რესპუბლიკელები“, – უსუფაშვილს საკმაოდ საინტერესო ფრაზაში შევუსწორებდი, ნაცვლად ნორჩი ლენინელებისა და სტალინელებისა, ვიხმარდი ფრაზას – ნორჩი ლენინელები და ურჩი სტალინელები. აი, ეს ურჩები არიან გარკვეული ხინჯის დამამკვიდრებლები „ქართული ოცნების“ პარტიის შიგნით. ნურავის გაუკვირდება, რომ ასეთი თემები წინასწარ იყოს შეთანხმებული ადამიანთან, რომლისგანაც აღარავის ახსოვს ბოლოს როდის გამოიყენა ტერმინი „ნატო“, ვგულისხმობ „ქართული ოცნების“ მამა-მარჩენალს, ბიძინა ივანიშვილს“, – ამბობს ცისკარიშვილი.

ექსპერტ გია ხუხაშვილის განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარე ნორჩ ლენინელებსა და სტალინელებში „მრეწველებს“ უფრო გულისხმობდა, ვიდრე „ქართული ოცნების“ წევრებს. მაგრამ რატომ აიგივებს თოფაძეს „ქართულ ოცნებასთან“, ამ კითხვაზე პასუხს ისევ უსუფაშვილისგან ელოდება. ხუხაშვილი ამბობს, რომ „რესპუბლიკური პარტია“ მზად არ არის იმისთვის, რომ პოლემიკაში შევიდეს „ქართულ ოცნებასთან“, პერსპექტივა, ვერ ვხედავ ამომრჩევლის სეგმენტს, რომელმაც შეიძლება ხმა მისცეს „რესპუბლიკურ პარტიას“, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

მისივე თქმით, უსუფაშვილი არ არის ის ადამიანი, რომელიც კონფრონტაციას დაიწყებს. ხუხაშვილი ვარაუდობს, რომ კონფრონტაციის პირველი მერცხალი ბერძენიშვილი და ხიდაშელი იქნებიან.

„უსუფაშვილი გულისხმობდა თოფაძეს, მაგრამ კარგად ესმის, რომ თოფაძეს ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს „ქართულ ოცნებაში“. ზოგადად, არა მარტო „ქართულ ოცნებაში“, არამედ სხვა პარტიებშიც არიან ყოფილი ლენინელები და სტალინელები, ამ დროს გულში რას ფიქრობ, ეს არავინ არ იცის.

ის ადამიანები, რომლებიც დღეს აღშფოთებით ლაპარაკობენ, რომ ჩვენთან ლენინელები და სტალინელები არ არიან, ისინი თავის დროზე კომპარტიის ინსტრუქტორებადაც მუშაობდნენ და კაბინეტში ლენინის სურათიც ეკიდათ. ეს მათი წარსულია და ამიტომ გადაჭარბებული აღშფოთება მხოლოდ ღიმილის მომგვრელია“, – ამბობს ხუხაშვილი. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## ირაკლი კობახიძე: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს ფინანსები გამჭვირვალეა“

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის განცხადებით, პარტიის ფინანსები გამჭირვალეა.

ირაკლი კობახიძე ამით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პოლიტიკური პარტიების შემოწირულობებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მონაცემებს გამოეხმაურა.

– ჩვენი ფინანსები აბსოლუტურად გამჭვირვალეა. შემომწირველები პარტიის მხარდამჭერები არიან. ვგეგმავთ, კიდევ უფრო გავააქტიუროთ ეს პროცესი. დიდი იმედი გვაქვს, რომ მოვახდენთ სათანადო შემოწირულობების მობილიზებას, რაც საშუალებას მოგვცემს, საპარლამენტო არჩევნებისთვის ღირსეულად გავიაროთ წინასაარჩევნო კამპანია, - აღნიშნა პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა.

ცნობისთვის, პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, გასულ თვეში, შემოწირულების სახით, 149 020 ლარი მიიღო პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. (pia.ge)

## საქართველო ვიზალიბერალიზაციას 2016 წელს მიიღებს - იოჰანეს ჰანი



ევროკავშირის კომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში იოჰანეს ჰანმა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას 2016 წელს მიიღებს.

ჰანის განცხადებით, საქართველომ, უკრაინამ და კოსოვომ უვიზო მიმოსვლისთვის ყველა საჭირო პირობა დააკმაყოფილეს და ამ დროისათვის, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა საჭირო.

მისი თქმით, საქართველომ და უკრაინამ უკვე მიიღეს პოზიტიური რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. (ნიუპოსტი)

## „გაოცებული ვარ, როგორ შეიძლება ასეთი რაღაცების კადრება“




„მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ „რუსთავი 2"-მა საშინელი სიცრუე და სიყალბე გაავრცელა, რითაც გაჭირვებული მოსახლეობა უფრო გაალიზიანა.

გია გაჩეჩილაძის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცლებული ინფორმაცია, თითქოს საქართველოს პარლამენტი იხილავს კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობა დაჯარიმდება ტყეში და მდინარის ნაპირებზე ფიჩხის მოგროვების გამო.

– ეს არის აბსოლუტური სიყალბე, დეზინფორმაცია. გაოცებული ვარ, როგორ შეიძლება ასეთი რაღაცების კადრება, რაც არ უნდა პოლიტიკურად ანგაჟირებული იყოს მედია, - განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

მან მედიის წარმომადგენლებს სატყეო კოდექსიდან ამონარიდი გააცნო, სადაც ნათქვამია, რომ მოსახლეობას უფლება აქვს, პირადი მოხმარების მიზნით, შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები და ხის მეორე ხარისხოვანი მასალები ყოველგვარი გადასახადისა და შეზღუდვების გარეშე.

– ასეთი ინფორმაციების გავრცელება არის მიზანდასახული სტრატეგია „ნაციონალური მოძრაობისა“ და მასზე მიბმული „რუსთავი 2“-ის მიერ, საქართველოში დესტაბილიზაციის მოსაწყობად, - აღნიშნა გაჩეჩილაძემ. (pia.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ღია საზაფხულო კაბა
2. სახელმწიფო აფრიკაში
3. სასამართლოს გადაწყვეტილება
4. ძვ. სიმებიანი საკრავი
5. ნუსხა
6. ნარდის სათამაშო კუბები
7. გემის მზარეული
8. ჯგუფი „... და ხანუმები"
9. ნიდერლანდის დედაქალაქი
10. ქიმიური ელემენტი
11. ესპანეთის დედაქალაქი
12. თევზის ჯიში
13. მინის ჭურჭელი
14. სრუტე პა-დე-...
15. შარდის ბუშტის ანთება
16. მოკლე პალტო
17. მაღალი წინდა
18. კონსტ. გამსახურდიას მოთხრობა
19. დრამატურგი ფრიდრიხ ...
20. უცნობი ადამიანი
21. იტალიური მაკარონი
22. რიცხვი 3,14
23. მთის გამოძახილი
24. ზამბახი
25. ქალაქი რუსეთში
26. კურკიანი ხილის ჩირი
27. მხატვარი ... გრეკო
28. მკერდის კორექციის მასალა
29. რეჟისორი ... რიჩი
30. ქალაქი ჩეხეთში
31. ნაბიჯი ბალეტში
32. ბანდის მეთაური
33. ქალაქი აშშ-ში
34. ტუჩი
35. ეგვიპტის დედაქალაქი
36. მომღერალი ედიტ ...
37. უბანი თბილისში
38. კომპოზიტორი რიჰარდ ...
39. კრემიანი ნამცხვარი
40. დიზაინერი ჯორჯო ...
41. ქალაქის მუნიციპალიტეტი
42. ქალაქი გერმანიაში
43. მსახიობი ... დელონი
44. ... აბრაამის ბატკანი
45. მხ/ფ „... თქვენ გელით სიკვდილი"
46. მდინარე ინდოეთში
47. ყანწის მასალა
48. ვაჟა-ფშაველას პოემა
49. შვედური ხურდა ფული
50. მხ/ფ „ჯონი ..."
51. აბელის მკვლელი
52. სახუმარო კაფია
53. თევზის ჯიში
54. აკაკი წერეთლის ნაწარმოები
55. მხატვარი ნელი ...
56. რევოლუციური სამალავი
57. დაშიფრული ტექსტი
58. კომპოზიტორი ნინო ...
59. დედაქალაქი ...-ბატორი
60. თხელი, სიფრიფანა
61. საწოლი, ანუ ...
62. მწვადის ლუმელი
63. მსახიობი ... მანიანი
64. საძერწი მასალა ...-მაშე
65. თხის წინაპარი
66. ჯეიმს კამერონის ფილმი
67. იალქანი
68. შხამიანი ხე
69. ქალაქი ...-ვეგასი
70. მყარი ცხიმი
71. ზურიკელას ბებია
72. მსახიობი ჟან ...
73. ალ. ტოლსტოის მოთხრობა
74. ... დაიჭირავს სიკვდილსა
75. ადგილი თვალის ქვეშ
76. ზოდია-ქოს ნიშანი
77. ამოთხრილი ადგილი
78. მომღერალი ... კაკულია
79. გემის მთავარი კოჭი
80. მსახიობი ... ბენინგი
81. ხის მოჭრილი ტანი
82. ძაფის დასართავი წვირი
83. წარწერა საფლავის ქვაზე
84. მისი დედაქალაქია ტალინი
85. შვიდი დღე
86. სამხატვრო გამოფენა
87. ინგლისური ლუდი
88. რეჟისორი ... იოსელიანი
89. თანხმობის ფორმა
90. გიორგი დანელიას ფილმი
91. მსახიობი აიშვარია ...
92. მისი დედაქალაქია ტოკიო
93. პირის ღრუს თაღი
94. ფოსო მკლავის ქვეშ
95. იაპონური თაიგული
96. მოდელი ... კროუფორდი
97. ფრანგი მომღერალი ქალი
98. მთები ...-შანი
99. სიმებიანი საკრავი
100. მდინარე ინდოეთში
101. ვერდის ოპერა
102. კომპოზიტორი რევაზ ...
103. კომში
104. სიო
105. წყვილი ერთიანი ნარდში
106. მწერალი ... ლინდგრენი
107. საჭმელი ბავშვის ენაზე
108. მსახიობი ... მორო
109. დედამიწის გუმბათი
110. მდინარე იტალიაში
111. ... ბურთი და ... მოედანი
112. იაპონური თეატრი
113. უძველესი კოლხეთი







პასუხები: 1. სარაფანი; 2. სომალი; 3. ვერდიქტი; 4. მანდოლინა; 5. სია; 6. კამათელი; 7. კოკი; 8. კახაბერი; 9. ამსტერდამი; 10. იოდი; 11. მადრიდი; 12. კალმახი; 13. ბოთლი; 14. კალე; 15. ცისტიტი; 16. მანტო; 17. გეტრი; 18. „ლილ"; 19. შილერი; 20. ინკოგნიტო; 21. სპაგეტი; 22. პი; 23. ექო; 24. ირისი; 25. ორენბურგი; 26. კერია; 27. ელ; 28. სილიკონი; 29. გაი; 30. ბრნო; 31. პა; 32. ატამანი; 33. ფილადელფია; 34. ბაგე; 35. კაირო; 36. პიაფი; 37. ელია; 38. ვაგნერი; 39. ტორტი; 40. არმანი; 41. მერია; 42. ნიურნბერგი; 43. ალენ; 44. მამა; 45. ბოდიში; 46. განგი; 47. რქა; 48. „სტუმარ-მასპინძელი"; 49. ერე; 50. მნემონიკი; 51. კაენი; 52. შაირი; 53. ქარიყლაპია; 54. „ბაში აჩუკი"; 55. ოქროპირიძე; 56. იატაკქვეშეთი; 57. კრიპტოგრამა; 58. როტა; 59. ულან; 60. ფარატინა; 61. სარეცელი; 62. მაყალი; 63. ანა; 64. პაპიე; 65. ნიამორი; 66. „ავატარი"; 67. აფრა; 68. ანჩარი; 69. ლას; 70. ქონი; 71. ოლღა; 72. მარე; 73. „აელიტა"; 74. ვერ; 75. უპე; 76. ვერძი; 77. ორმო; 78. ეთერ; 79. კილი; 80. ანეტ; 81. მორი; 82. თითისტარი; 83. ეპიტაფია; 84. ესტონეთი; 85. კვირა; 86. ვერნისაჟი; 87. ელი; 88. ოთარ; 89. კი; 90. „პასპორტი"; 91. რაი; 92. იაპონია; 93. სასა; 94. იღლია; 95. იკებანა; 96. სინდი; 97. დალიდა; 98. ტიან; 99. არფა; 100. ინდი; 101. „აიდა"; 102. ლაღიძე; 103. ბია; 104. ნიავი; 105. იაგანი; 106. ასტრიდ; 107. ფია; 108. ჟანა; 109. ცა; 110. პო; 111. ჰა; 112. ნო; 113. აია. იკითხება: ფლამინგო. ფარშევანგი. თუთიყუში. ტუკანი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## როგორ დავგეგმოთ იდეალური დღე



როგორ უნდა დავგეგმოთ დღე, რომ წარმატებული და შედეგიანი იყოს. არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მეცნიერებს, როგორც სხვა ბევრ საკითხზე, პასუხი ამაზეც აქვთ. ჰოდა, ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩვენი ნაყოფიერი დღისთვის გეგმა შეადგინეს.

რაც მთავარია, დღე მსუბუქი ბიზნესით უნდა დავიწყოთ, მაგალითად იოგით. დილის 9 საათი ქირურგიული პროცედურებისთვის იდეალური დროა. თუ სასწავლო მასალა გვაქვს ასათვისებელი, მაშინ ამ საქმეს დილის 9-დან 10 საათამდე უნდა მივხედოთ. ხოლო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად დილის 11 საათზე უკეთეს დროს ვერ ვნახავთ. რაც შეეხება კუჭნაწლავის სისტემასა და ასთმას, სჯობს, საღამოს საათებში მივაქციოთ ყურადღება. ხოლო ვინც ჯანმრთელია და მსგავსი გართულებები არ აწუხებს, საღამოს შეუძლია, უბრალოდ, დაისვენოს.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## უცხო ენების შესწავლა კონცენტრაციის უნარს აუმჯობესებს




გიჭირთ ყურადღების მოკრება და კონცენტრაცია? ისწავლეთ უცხო ენა, თუნდაც მხოლოდ ერთი კვირით და სწრაფი შედეგით თავადვე დატკბით.

ბრიტანელი მეცნიერები იკვლევდნენ ჯგუფს, რომელიც უცხო ენას სწავლობდა. ჯგუფში იყვნენ როგორც არასრულწლოვნები, ისე 80 წელს მიღწეული ადამიანები. მეცნიერები აკვირდებოდნენ, როგორ უვითარდებოდათ ჯგუფის წევრებს კონცენტრაციის უნარი. წევრები სწავლის პარალელურად, ტესტებს აკეთებდნენ, რომლითაც მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ენის შესწავლის სულ რაღაც ერთკვირიანი კურსიც საკმარისია იმისთვის, რომ ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარი გაგიუმჯობესდეთ, თანაც ამით, ინტელექტსაც დიდ სარგებელს მოუტანთ.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რა გავლენას ახდენს პარტნიორების რიცხვი ჯანმრთელობაზე?



ჯიდას კლინიკური ცენტრის სპეციალისტებმა კვლევა ჩაატარეს იმის გასაგებად, როგორ მოქმედებს სექსუალური პარტნიორების რაოდენობა გულზე.

კვლევა მრავალცოლიან და მონოგამ მამაკაცებზე ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ მონოგამებს ძალიანაც კარგად ჰქონიათ საქმე და გულის დაავადებებსაც იშვიათად უჩივიან. აი, პოლიგამებს კი რა ეშველებათ, კაცმა არ იცის. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ქალთან წინ და უკან სირბილი პოლიგამებს გამუდმებული სტრესის საბაბს აძლევს. ასე რომ, არჩევანის წინაშე არიან, ან მრავალფეროვნება, ან ჯანმრთელობა.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## „ფეისბუკში" შეტყობინებები ავტომატურად წაიშლება




„ფეისბუკი" მიღებული შეტყობინებების ავტომატურად წაშლის ფუნქციაზე მუშაობს. აღნიშნულ სიახლეს სოციალური ქსელი საფრანგეთში 2015 წლის ნოემბრიდან ტესტავს.

მსგავსი ფუნქცია უკვე არსებობს Snapchat-ის მესენჯერში.

წყაროს ცნობით, „ფეისბუკმა" აუდიტორია გაზარდა. უახლოეს მომავალში გამოჩნდება ახალი პუნქტი, რომლის თანახმადაც 1 წუთის, 15 წუთის, 1 საათის, 4 საათის ან რამდენიმე დღის შემდეგ შეტყობინებები ავტომატურად წაიშლება.

**daijesti.pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მესის 5 წლის ავღანელი ფანის ოჯახს ემუქრებიან — ოჯახი იძულებული გახდა, ავღანეთი დაეტოვებინა




არგენტინელი ფეხბურთელის, ლიონელ მესის 5 წლის ავღანელი ფანის, მურთაზა აჰმადის ოჯახი იძულებული გახდა, ავღანეთი დაეტოვებინა და საცხოვრებლად პაკისტანში გადასულიყო. ამის შესახებ „ბიბისისთან" ბიჭის მამამ ისაუბრა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც პატარა მურთაზა ცნობილი გახდა, ოჯახმა მუქარის შემცველი არაერთი შეტყობინება მიიღო. მამაკაცის თქმით, ვინაიდან მისმა შვილმა მესისგან მაისურები მიიღო, ადგილობრივი კრიმინალები ფიქრობენ, რომ ფეხბურთელმა ფულიც გაუგზავნა და სწორედ მის გამოძალვას ცდილობენ. მათ ღაზნის პროვინციაში სახლი დატოვეს და პაკისტანის ქალაქ კვეტაში გადასახლდნენ.

ჯერ კიდევ უცნობი ბიჭის ფოტომ ინტერნეტი მაშინ ააფეთქა, როდესაც ის პოლიეთილენის პარკის მაისურით გამოჩნდა, რომელსაც ზედ ფლომასტერით მესი ეწერა.

პატარა მურთაზას ფოტოს გამოჩენის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში ბიჭს ინტერნეტსივრცის მომხმარებლები მთელი მსოფლიოდან ეძებდნენ, რათა მისთვის მესის ნამდვილი მაისური ეჩუქებინათ. პატარა ბიჭის ფოტომ თავად ფეხბურთელამდეც მიაღწია. მესიმ ტვიტერზე დაწერა, რომ თავის ფანს ეძებდა. ბიჭუნა ავღანეთში იპოვეს.

მურთაზას პოპულარობის შესახებ მისმა ოჯახმა მას შემდეგ შეიტყო, რაც ინტერნეტში გავრცელებულ სურათზე მისმა ბიძამ აზიმ აჰმადმა თავისი ძმისშვილი ამოიცნო. მურთაზას მამის თქმით, მას საშუალება არ ჰქონდა, შვილისთვის მესის მაისური ეყიდა. ამიტომ მურთაზასთვის უფროსმა ძმამ პოლიეთილენის პარკისგან ფეხბურთელის მაისური შექმნა.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მკვლევარების დასკვნით, 2015 წელს ექიმების შეცდომას 250 ათასი ადამიანი შეეწირა



გასულ წელს შეერთებულ შტატებში სიკვდილიანობის შემთხვევების უმრავლესობა ექიმების შეცდომამ გამოიწვია.

როგორც აშშ-ის ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაასკვნეს, ასეთი სულ 250,000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

სტატისტიკის მიხედვით, გარდაცვალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს გამოვლინდა, ასეთი სულ 611,000 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო სიმსივნის – 585,000. შეერთებულ შტატებში ადამიანთა სიკვდილიანობის მიზეზებს შორის მესამე ადგილზეა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები (149,000). მეცნიერებმა სიკვდილიანობის სტატისტიკური მონაცემები 2000 წლიდან და 2008 წლამდე პერიოდის განმავლობაში ჩაატარეს.

აღნიშნული მონაცემები მეცნიერებმა 2015 წლის სიკვდილიანობის მაჩვენებელთან შეაჯამეს. სპეციალისტების განცხადებით, ექიმების სამედიცინო შეცდომებს შორისაა დაუზუსტებელი დიაგნოზის დასმა, არასწორი მკურნალობა, პაციენტისთვის მედიკამენტების გადაჭარბებული დოზით დანიშვნა.

ექსპერტებს არ განუხილავთ ოპერაციები, რამაც სიკვდილიანობა გამოიწვია. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მთელ მსოფლიოში იმ 100 ქვეყანას შორის გვხვდება, რომელიც მოქალაქეთა გარდაცვალების მიზეზების შესახებ სისტემატურ მოკვლევას არ ატარებს.

**ipress.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფრანგი თანამშრომელი მოსაწყენი სამსახურის გამო ფულად კომპენსაციას ითხოვს



ფრედერიკ დესნარი 44 წლის პარიზელი კაცია, რომელმაც იფიქრა, მოდი, ფულის შოვნის მარტივ ხერხებს მოვსინჯავო, ამიტომ ადგა და ყოფილ უფროსს მოსაწყენი სამსახურის გამო უჩივლა.

ფრედერიკი 2006 წლიდან ერთ-ერთ კოსმეტიკურ კომპანიაში მუშაობდა. 2012 წლიდან კომპანიას გაუჭირდა და საქმეც მოსაწყენი გახდა. ფრედერიკის ძირითადი მოვალეობა უკვე უფროსისთვის შოპინგზე სიარული გახდა. ამისთვის კი წელიწადში 80 ათას ევროს იღებდა.

2014 წელს ფრედერიკი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს.

როგორც თავად ამბობს, ავარია ეპილეფსიის მოულოდნელი შეტევის გამო მოუვიდა. ეპილეფსიის შეტევა კი მოსაწყენმა სამსახურმა გამოიწვია, რამაც საბოლოოდ დეპრესიამდე მიიყვანა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, პარიზელი 360 ათასი ევროს ოდენობით ფულად კომპენსაციას ითხოვს. სასამართლო კი 27 ივლისსაა დანიშნული.

**anekdot-dnya.ru**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



მამას თინეიჯერი ვაჟი ელაპარაკება:

– მამი, შეყვარებული მყავს.

– გოგოა?

– კი, გოგოა.

მამამ გახარებულმა ცოლს გასძახა:

– მაგული, გოგო ყოფილა, გოგო, გაგვიმართლა ბიჭმა!

*****

შალიკია მეგობრებთან ერთად პოკერს თამაშობს. ამ დროს მისმა პატარა ბიჭმა მიირბინა, ბანქოში ჩახედა და უთხრა:

– მამიკო, ოთხი ტუზი კარგია?

შალიკიამ კბილებში გამოსცრა:

– კი, კარგია.

ყველამ ბანქო დაყარა. შალიკიამ ფსონი მოხვეტა. პატარამ კი გულდაწყვეტით უთხრა.

– ეჰ, ცუდია, შენ რომ არ გყავდა მამიკო.

*****



მიხო მეგობარს კედელზე ჩამოკიდებულ ცხოველების თავებს ათვალიერებინებს.

– ეს ტახი ალაზანზე მოვკალი ერთი გასროლით.

– ეს დათვიც ერთი გასროლით მოვკალი სამი წლის წინათ.

– მიხო, ეს რა საშინელება გიკიდია?

– ეს ჩემი სიდედრია, შარშან შემთხვევით შემომაკვდა ნადირობისას.

– ერთი გაგივარდა და მოხვდა, ხომ?

– რას ამბობ, კაცო, ხუთჯერ დავაცალე თოფი.

*****

ორსულ ქალს ბევრი ნაყინის ჭამა ურჩიეს. გავიდა დრო და ექოსკოპისტმა მის მუცელში ასეთი სურათი დაინახა: ტყუპები მუცელში ვარჯიშობენ, ერთი მეორეს ამშვიდებს:

– არ შეგეშინდეს, გადავიტანთ ამ ზამთარს!

*****



– ბიძია, ეს დიდი მუცელი ბევრი ლუდისგან გაქვთ?

– დაიმახსოვრე, ლაწირაკო, დიდი მუცელი ლუდისგან კი არა, ლუდისთვისაა.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## პოლიციაში შესული ყველაზე იდიოტური მოთხოვნები



თავად ამ რეიტინგის შემდგენლები – სამხრეთ უელსის პოლიციის თანამშრომლები მოიხსენიებენ ასე რადიკალურად მათთან შესული მოთხოვნების თუ თხოვნების გარკვეულ ნაწილს – იდიოტური, აბსურდული, სულელური და ასე შემდეგ.

სამხრეთ უელსში ექსტრემალური სიტუაციების სპეციალური ნომერი „999“ მოქმედებს, რომელზეც რაღა თქმა უნდა, უამრავი ზარი შედის, ძირითადად, მათი მხრიდან, ვისაც დახმარება მართლა სჭირდება, თუმცა გამოერევა ხოლმე ხანდახან ძალიან უცნაურები.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად, სამხრეთ უელსის ექსტრემალური დახმარების სამსახურში აბსურდულ ზარებს ცხოველების პატრონები ახორციელებენ. მაგალითად, ერთმა გოგონამ მოითხოვა საკუთარი ბოიფრენდის დაპატიმრება იმის გამო, რომ მან წვიმის დროს ზაზუნა სახლიდან გააგდო. მეორე გოგონამ მაშველები იმისთვის გამოიძახა, რომ თურმე, მის სახლში კნუტი შემძვრალა და არ იცოდა, ცხოველი სად წაეყვანა.

სხვათა შორის, ქალებს „ჩეპე“ გაცილებით ხშირად უხდებათ, ვიდრე მამაკაცებს და იმედია, ფემინისტები ამასაც სექსიზმად არ მონათლავენ. ასე მაგალითად, ერთმა ახალგაზრდა ქალმა „999“-ზე სუპერმარკეტიდან დარეკა. მიზეზი „ძალიან სერიოზული“ იყო – ჯიბეში არ აღმოაჩნდა 1-ფუნტიანი, რომ სასურველი პროდუქტის ჩასაყრელად კალათი დაექირავებინა.

კიდევ ერთმა გოგონამ მაშველებს მასთან სასწრაფოდ სახლში მისვლა და ქმრისთვის... პულტის წართმევა სთხოვა, რადგან თურმე „ტარტაროზი მეუღლე“ ცოლს საყვარელი სერიალის ყურების საშუალებას არ აძლევდა.

– ნუთუ მამაკაცები არ რეკავენ სამაშველო სამსახურში? - ალბათ, იკითხავთ და ვინმემ მართლა სექსიზმში რომ დაგვადანაშაულოს, გიპასუხებთ: რეკავენ, როგორ არა, თანაც, არანაკლებ სულელური თხოვნა-მოთხოვნებით. ესეც ერთ-ერთი მაგალითი: ერთმა ცალტვინამ პოლიცია იმისთვის გამოიძახა, რომ სამართალდამცველები მისულიყვნენ და სახლიდან სიდედრი გაეგდოთ, რომელიც მასთან უკვე 18 დღე ცხოვრობდა! ისე, ნეტავ, თუ მოუბრუნდება ვინმეს ენა და ამ მამაკაცს უსაყვედურებს?..

ხუმრობა იქით იყოს და პოლიცია და სამაშველო სამსახურები დიდ გასაჭირში ყოფილან იმის გამო, რომ მინიმუმ ყოველი მეათე ზარის შინაარსია: „უკაცრავად, ნომერი შემეშალა“ ან, უბრალოდ, ვიღაცა ბოროტი ხუმრობის იშტაზეა დამდგარი.

*vk.com*

## პესიმიზმი და ოპტიმიზმი ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა?



აშკარად ძალიან გაუმართლა იმას, ვისაც ოპტიმისტი წინაპარი ჰყავდა, რადგან, მოგეხსენებათ, ასეთ ადამიანებს სიცოცხლე ბევრად ეიოლებათ.

მოგეხსენებათ, ზოგი ადამიანი ამბობს ხოლმე, ჭიქა სანახევროდ ცარიელიაო, ზოგი კი – ნახევრამდე სავსეო. რასაკვირველია, ეს მათ შინაგან სამყაროზე მეტყველებს და მეცნიერებმაც, ბოლოს და ბოლოს, ამოხსნეს, რა ხდება ასეთი ფუნდამენტური სხვაობის მიზეზი.

როგორც ირკვევა, ყველაფერში დამნაშავე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, ე.წ. იგრეკ ნეიროპეპტიდების დონეა. რაც უფრო მეტი ასეთი მოლეკულა სინთეზირდება თავის ტვინში, მით ოპტიმიზმისკენაა ადამიანი მიდრეკილი.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იგრეკ ნეიროპეპტიდი გენეტიკურად პროგრამირდება, ანუ ოპტიმიზმი და პესიმიზმი ადამიანს, ფაქტობრივად, მემკვიდრეობით გადაეცემა.

აღმოჩენის მთავარი პლუსი ის გახლავთ, რომ აღნიშნული ნივთიერების დონის განსაზღვრა ადრეულ ეტაპზე, საშუალებას გამოიღებს, სპეციალისტებმა უფრო ეფექტურად უმკურნალონ ფსიქიკურ დაავადებებს, დაწყებული ჩვეულებრივი დეპრესიით, დამთავრებული მძიმე შიზოფრენიით.

*utro.ru*

## აუტანელი კბილის ტკივილის გაყუჩება 1 წუთში



კარიესისა და კბილის ტკივილის პრობლემა თავს გვახსენებს. არსებობს ნატურალური საშუალება კბილის ტკივილის გასაყუჩებლად, რომლის მომზადებასაც უპრობლემოდ შეძლებთ.

ამისთვის საჭიროა:

ქოქოსის ზეთი;

მიხაკი;

მომზადებისა და გამოყენების წესი:

პირველ რიგში, ეს ორი ინგრედიენტი კარგად აურიეთ, შემდეგ კი ნაზავი წაისვით უშუალოდ იმ არეში, სადაც ტკივილი უფრო ინტენსიურია. შეიზილეთ ნაზავი მტკივან კბილზე დღეში სამჯერ 60 წამის განმავლობაში.

*daijesti.pia.ge*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**5 მაისი:** დღეს ყველასთან პატიოსანი უნდა იყოთ, განსაკუთრებით, საკუთარი თავის მიმართ. ეს ბევრ ისეთ რამეს დაგანახვებთ, რასაც ვერ ამჩნევდით.

**კურო 22.04-21.05**
**5 მაისი:** წესით, დღეს გამარჯვებული გამოხვალთ, პირველობას არავის დაუთმობთ. თუმცა, დროულად უნდა შეჩერდეთ, რომ არ გადაამლაშოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**5 მაისი:** როგორც არ უნდა მოგინდეთ, ექსპერიმენტებზე უარი თქვით. შესაძლოა, არცთუ სასიამოვნო შედეგები მიიღოთ და სანანებელი გაგიხდეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**5 მაისი:** შესაძლოა, დღეს ვიღაცამ გაწყენინოთ. გულში ნუ ჩაიტოვებთ ბოღმას, დამშვიდდით და ძალიან მალე წყენა სასიამოვნო ამბით შეიცვლება.

**ლომი 23.07-22.08**
**5 მაისი:** შეგიძლიათ, საკუთარ თავს მოდუნების უფლება მისცეთ. უნდობლობა და ეჭვები მოიცილეთ და თავს ბევრად უკეთესად იგრძნობთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**5 მაისი:** პირადი ურთიერთობები დიდ სიხარულს მოგანიჭებთ, მაგრამ საამისოდ საკმაო დროის დახარჯვა მოგიწევთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**5 მაისი:** ეს დღე შეიძლება თქვენს ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს. კონკრეტულად რა და როგორ მოხდება, თქვენზეა დამოკიდებული.

**მორიელი 23.10-21.11**
**5 მაისი:** დაუმთავრებელ საქმეებს არ მიეძალოთ, ამით სასიკეთოს ვერაფერს მიიღებთ. უმჯობესია, დაისვენოთ და სამომავლო გეგმებზე იფიქროთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**5 მაისი:** თუ სირთულეები არ გინდათ, კომპრომისებზე წასვლა მოგიწევთ. თუ ამბიციებს დაიოკებთ, ბევრად საუკეთესო შედეგებს მიიღებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**5 მაისი:** კონკრეტულ მომენტში კონკრეტული პიროვნებისთვის კომპლიმენტის თქმა დიდად დაგეხმარებათ. ეს საკმარისი იქნება, რომ საქმე მოგვარებულად ჩაითვალოს.

**მერწყული 20.01-18.02**
**5 მაისი:** ნუ იქნებით პირქუში. შეეცადეთ, მაქსიმალურად კეთილმოსურნე იყოთ. ეს ბევრი ისეთი საკითხის გარკვევაში დაგეხმარებათ, რის შესახებაც არაფერი იცოდით.

**თევზები 19.02-20.03**
**5 მაისი:** მოვლენას, რომელიც დღეს უნდა მოხდეს, ვერც შეცვლით, ვერც თავიდან აიცილებთ და ვერც დააჩქარებთ. ამიტომ ჩარევასაც აზრი არ აქვს.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## რა ფერისაა სამყარო?



ბევრი ადამიანი ყვავილის ფერსაც კი ვერ აღიქვამს ხეირიანად, მეცნიერებმა კი სამყაროს შეფერილობა განსაზღვრეს.

2002 წელს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სამყარო ბაცი მწვანე ფერისაა.

სულ რამდენიმე კვირაში ამერიკელი მეცნიერები იძულებულები გახდნენ ეღიარებინათ, რომ მათი დასკვნა არასწორი აღმოჩნდა და სამყაროს ფერი უფრო მონაცრისფრო-მოყავისფრო უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაჩნა კითხვა, რატომ არის ცა მუქი?

თუკი სამყარო უსასრულოა და მის სივრცეში უთვალავი ვარსკვლავია გაბნეული, მაშინ, სადაც არ უნდა გაიხედოს ადამიანმა, ყველგან აუცილებლად ვარსკვლავი უნდა დაინახოს და შესაბამისად, ღამის ცაც ისეთივე ნათელი უნდა იყოს, როგორიც დღის.

მეცნიერებაში ამ მოვლენას „ოლბერსის ფოტომეტრიული პარადოქსი“ ეწოდება, გერმანელი ასტრონომის ჰენრიხ ვილჰელმ ოლბერსის პატივსაცემად, რომელმაც უჩვეულო ფენომენი 1826 წელს აღწერა.

ყველაფრის მიუხედავად, კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა მაინც არავის შეუძლია.

*bustersmyth.ru*

## რატომ აწამებენ იაპონელი მეცნიერები... კარტოფილს?



ჩვენ ვთლით, ვხარშავთ და ვწვავთ კარტოფილს, რათა მისი გემო გავაუმჯობესოთ და შიმშილი მოვიკლათ. აი, იაპონელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ, იმ შემთხვევაში, თუკი კარტოფილს ელექტროშოკს გავუკეთებთ, იგი ადამიანის ორგანიზმისთვის გაცილებით მეტი დადებითი შედეგის მომტანი გახდება. კერძოდ, 10-წუთიანი „შოკური წამება“ კარტოფილს „სტრესულ მდგომარეობაში“ აგდებს, რისი შედეგიც ის ყოფილა, რომ ანტიოქსიდანტებს ის გაცილებით დიდი რაოდენობით და ორჯერ უფრო სწრაფად გამოიმუშავებს.

სპეციალისტების განმარტებით, ანტიოქსიდანტებს შეუძლიათ ადამიანს გულ-სისხლძარღვთა პრობლემების, დიაბეტის, კიბოს და კიდევ ძალიან ბევრი უსიამოვნების დამარცხებაში დაეხმაროს.

ჰოდა, იაპონელი მეცნიერებიც კარტოფილს სწორედ ამიტომ „აწამებენ“.

*micro-news.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ორი მეთევზე საუბრობს:

– რა ქენი, რობიზონ, გუშინ სათევზაოდ რომ იყავი დაიჭირე რამე?

– აბა, ტყუილად კი არ დავდივარ სათევზაოდ?!

– მერე რა ქენი, შეჭამე?

– არა, არ მიჭამია.

– კი, მაგრამ რატომ?!

– რას ამბობ, აკვალანგისტს რა მაჭმევს!?

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“
გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.55